წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ.,
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებებს მიიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

კვირა, 10 ოქტომბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 231 (1776)

დ ღ ი უ რ ი

- — პოლონეთის ზლოტის კურსი ეცემა.
- ავსტრალიამ 45.000.000 მანეთი გადასდო შეიარაღებისათვის.
- — ამერიკა სამხედრო ფლოტს აძლიერებს ჩინეთის წყლებში.
- — მუსოლინი დაინიშნა ნაციონალური მილიციის უფროსად.
- — დაიხურა პან-ევროპიული კონგრესი.
- — ჰამბურგის ნავთსადგურის მუშების გაფიცვა შეწყდა.
- — ჰინდენბურგმა მიიღო გენ. ფონ-სექტის გადადგომა.
- — გერმანიის კომპარტიის ყრილობა გადაიდო.
- — ამხ. მაქს ჰელცმა (ნიდერბენფელდის ციხეშია, გერმანიაში) შეწყვიტა შიმშილობა.

პარტია და გამთიშავი ოპოზიცია

(„პრავდას" მოწინავე წერილი)

მოსკოვის ორგანიზაციის უჯრედებზე სასტიკად დამარცხებულმა ოპოზიციის ბელადებმა თავისი ბედი „სცადეს" ლენინგრადის კომუნარების კრებაზე. ის გარემოება, რომ ოპოზიცია ლენინგრადზე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი იყო აგრეთვე ამ იმედების სრული უსაფუძვლობაც, მას შემდეგ, რაც ლენინგრადის ორგანიზაციის ოპოზიციის ხელმძღვანელები ეფიცებოდენ მას პარტიისა და ცენტრალური კომიტეტისადმი ერთგულებაში, შემდეგ მე-14 პარტყრილობაზე აღმოჩნდა, რომ ისინი ილაშქრებენ პარტიისა და მისი ცენტრალურ კომიტეტის წინააღმდეგ და ამით ორგანიზაციამ დაჰკარგა ყოველგვარი ნდობა მისდამი, რისთვისაც ის გადარჩეულ იქნა სარაიონო და საგუბერნიო სასწრაფო პარტიულ კონფერენციებზე. ოპოზიციამ ეს მიაწერა „აპარატის ზეგავლენას" (ახალი კურსის ავტორის ტერმინოლოგიით), სწორედ ისე, როგორც „აპარატის ზეგავლენას" მიაწერა ის ერთსულოვანი გამანადგურებელი წინააღმდეგობა, რომელიც გაუწია ოპოზიციას მოსკოვმა. ამ ოპოზიციამ, წინააღმდეგ პოლიტბიუროს 4 ოქტომბრის დადგენილებისა, თავისი გამოჩენილი ძალები გადაისროლა ლენინგრადის კოლექტივების დასაპყრობად, მაგრამ შუბლი შეახეთქა ერთიან, უძლევ ბოლშევიკურ კედელს. ლენინგრადის ისეთ ბუმბერაზ - საწარმოთა კომუნარებმა, როგორიცაა „კრასნი პუტილოვეცი", „კრასნი ტრეუგოლნიკი", „ბოლშევიკი" და სხვ., ოპოზიციის ბელადების,— ზინოვიევის, ევდოკიმოვის, ზორინის, ნიკოლაევის და სხვ. გამოსვლას კიდევ უფრო გამანადგურებელი პასუხი გასცეს, ვიდრე, ვსთქვათ, „ავიოპრიბორის" უჯრედმა მოსკოვში. ლენინგრადის ბოლშევიკ - მუშების ეს განსაკუთრებით ერთსულოვანი წინააღმდეგობა აღნიშნულია ცენტრალურ კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებაში.

ამრიგად, ოპოზიციის დაზვერვა, რომელსაც მცირე გამარჯვების დროს შედეგად უნდა მოჰყოლოდა პარტიის ფართო დისკუსია, ხოლო ამის „საბოლოო" მიზანი კი ლენინურ ცეკას დამხობა იყო,—დასრულდა სამარცხვინო მარცხით. არც მოსკოვში, არც ლენინგრადში, არც სხვა რომელიმე ადგილას ოპოზიციამ ვერ შექმნა ვერც ერთი პლაცდარმი, ვერც ერთი დასაყრდენი წერტილი, ვერც ერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი ჯგუფი ჩვენი პარტიის წევრებისა, რომელთა ავტორიტეტიც შესაძლებლობას მისცემდა მას დაეფარა და გაემართლებია თავისი გამთიშველი მუშაობა, პარტდისციპლინის მიუტევებელი დარღვევა. ოპოზიცია შეეცადა პარტიისათვის თავს მოეხვია დისკუსია, მაგრამ ლენინის ფოლადისებურ რიგებისგან მიიღო მტკიცე და ერთსულოვანი პასუხი: ძირს პანიკის გამვრცელებელნი და მჩხავანები, რომელნიც აფერხებენ ჩვენს საქმიან მუშაობას.

ასეთია ბოლშევიზმის პრაქტიკული გაკვეთილი, რომელიც მისცა ოპოზიციის ბელადებს ჩვენმა პროლეტარულმა ორგანიზაციებმა. ოპოზიციის გეგმა ჩაფუშულია. პარტიამ და ბოლშევიკმა პროლეტარებმა უწინარეს ყოვლისა გამოიჩინეს პოლიტიკური სიმწიფის მეტად მაღალი დონე, რომელიც უსათუოდ არ მიუღიათ მხედველობაში პარტიულ მასებიდან მოწყვეტილ ოპოზიციის ლიდერებს. (აიღეთ მაგალითად, მათი დემაგოგიური ლოზუნგები, რომელთაც სირიოზულად მხოლოდ პოლიტიკურად ჩამორჩენილი ფენები თუ მიიღებენ). უბრალო მუშა-კომუნისტებმა დაგვანახეს ბოლშევიკური სიმტკიცის და ჩვენი პოლიტიკის უდიდეს საკითხებში გარკვევის უნარის ისეთი ხარისხი, რომელიც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ოპოზიციისთვის და უკუეგდოთ დიდი ბელადების ყველა უპრინციპო და დემაგოგიური ოინბაზობა.

და ამით დაფასებულ იქნა ოპოზიციის პოლიტიკური გაკოტრების მთელი სიღრმე, დაფასებულ იქნა იმ პარტიული კაპიტალის ველური გაფლანგვა, რომელსაც პარტია წლობით და ათეულ წლობით აგროვებდა, კერძოთ ამ ამხანაგების სახით.

ბავშობა იქნებოდა ამის პასუხისმგებლობის პარტიასა და მის ორგანოებზე დაკისრება. ვინაიდან ყველამ იცის, რომ ის ბარბაროსული ფლანგვა მოხდა ბრძოლაში პარტიის ნება-სურვილების წინააღმდეგ. ამიტომ პარტია ვერ აგებს პასუხს იმაზე, რომ პარტიის კაპიტალი, რომლისაც ეს ამხანაგები ერთ დროს ატარებდენ, გაფლანგული და დაქსაქსულია მათ მიერ და რომ მისგან მხოლოდ საცოდავი ნაშთიღაა დარჩენილი. პარტია არ არის დამნაშავე იმაში, რომ ეს ამხანაგები, რომლებიც ოდესღაც სხვებთან ერთად იყვნენ პარტიის პოლიტიკური გამოცდილების მატარებელნი, გადაიქცენ ბოლშევიზმის სახელოვან და ისტორიულ ტრადიციების დამრღვევლებად. პარტია უფრთხილდებოდა და სათითაოდ უვლიდა თვითეულ ძალას, რომელსაც რაიმე სარგებლობის მოტანა შეეძლო. პარტიამ გამოიჩინა არაჩვეულებრივი მოთმინება, ფიქრობდა რა სამართლიანად, რომ პარტიის ხელმძღვანელთა კადრის მომზადება იოლი საქმე კი არაა, არამედ ხანგრძლივი და ძნელი, და იმედი ჰქონდა, რომ ოპოზიციის ბელადები გამოასწორებდენ შეცდომებს. პარტიის ბრალი როდია, თუ მისი იმედები არ გამართლდა. პარტიის დანაშაულობის კი არა, მისი სიმწიფის მაჩვენებელია, როცა მორიგი პროლეტარი - კომუნარები ლაგამს სდებენ ოპოზიციის თავაშვებულ ბელადებს.

თუ ჩვენ გვსურს, რომ პარტია მომავალშიაც არ შეარყიონ ოპოზიციის ამ ბელადებმა, თუ ჩვენ გვსურს გვქონდეს პატარა იმედი მაინც, რომ ისინი გონს მოვლენ და შეიგნებენ საკუთარ მძიმე შეცდომებს, პარტიამ უნდა მიბაძოს „კრასნი პუტილოვეცის" კომუნარების მაგალითს, რომელთაც ზინოვიევის გამოსვლის შემდეგ მიღებულ საუცხოვო რეზოლიუციაში კარგად გამოხატეს პარტიის ნამდვილი გრძნობები.

ისინი მოითხოვენ ცეკასაგან „ბოლო მოუღოს" ოპოზიციის ბელადების „აღმაშფოთებელ გასტროლიორობას", რომელსაც „ფაქტიურად ახალ დისკუსიისაკენ მივყევართ".

ისინი კატეგორიულ პროტესტს აცხადებენ „ოპოზიციის ბელადების—ზინოვიევის, ტროცკის და სხვ. არაბოლშევიკურ ყოფაქცევის წინააღმდეგ, რომლებიც დადიან კოლექტივებში და აფერხებენ მე-14 პარტყრილობის რეზოლიუციების ცხოვრებაში გატარებას".

ისინი მოითხოვენ ოპოზიციის „მე-14 პარტყრილობის და ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმების გადაწყვეტილებებისადმი უსიტყვოდ დამორჩილებას".

ისინი მოითხოვენ ოპოზიციისაგან „დაუყოვნებლივ შესწყვიტონ ფრაქციონული მუშაობა, რომელიც ძირს უთხრის პარტიის მთლიანობას".

ისინი მოითხოვენ „არალეგალური ლიტერატურის გავრცელების შეწყვეტას".

ისინი მოითხოვენ ოპოზიციისაგან „გარკვევით გაემიჯნოს ოსოვსკის, მედვედევის და შლიაპნიკოვის ლიკვიდატორულ კონტრ-რევოლიუციონურ პოზიციას და ამ პოზიციის დაგმობას".

და მართლაც, არ შეიძლება იქნეს ოდნავ მაინც დამშვიდებული პირობები პარტიის მუშაობისათვის, რომელსაც ის აწარმოებს უდიდეს სიძნელეთა გადალახვით საბჭოთა კავშირში სოციალიზმის დასამყარებლად და ჩვენი დიდი ინტერნაციონალური ამოცანების განსახორციელებლად, თუ ოპოზიციის ბელადები კომუნისტური ინტერნაციონალის წინაშე აშკარად არ განაცხადებენ, რომ მათი ფრაქციონული მუშაობა საზიანოა, თუ დაუყოვნებლივ არ შესწყვეტენ მას, თუ გადაჭრით და გარკვევით არ გაემიჯნებიან ყოველგვარ ოსოვსკებს, კორშებს, რუტ ფიშერებს, მედვედევებს, შლიაპნიკოვებს და ყველა მათ მსგავსთ, თუ ისინი უკან არ წაიღებენ პარტიის და მის ხელმძღვანელების მიმართ მათ მიერ გავრცელებულ სამარცხვინო ცილისწამებას.

უამისოთ არ შეიძლება არსებობდეს, თუნდაც პატარა, რწმენა, რომ პარტიის შერყევის ცდა არ განმეორდება ჩვენი მძიმე აღმშენებლობითი მუშაობის შემდეგ ეტაპებზე.

პარტიამ კი თავისი მხრივ უნდა მიმართოს მის განკარგულებაში არსებულ ყველა ზომებს, რათა უზრუნველყოს თავის თავი ანალოგიურ შერყევისაგან მომავალში, კერძოდ კი—„სასჯელს", როგორც ნათქვამია პოლიტბიუროს რეზოლიუციაში, უნდა მიმართოს „სათანადო პარტიულ სასჯელს", რომელიც დაწესებულია პარტიული წესდებით და პარტიული ყრილობების დადგენილებებით, კერძოდ ლენინის მიერ დაწერილ მე-10 ყრილობის რეზოლიუციით პარტიის მთლიანობის შესახებ.

ამის გარდა, საჭიროა მასიური შესწავლა ოპოზიციის შემოტევის გაკვეთილებისა და ოპოზიციის პროგრამული გამოსვლებისა, რათა ბოლშევიკური პარტიის მდიდარი არსენალი შეივსოს პარტიაში წვრილ-ბურჟუაზიულ მერყეობასთან და პროლეტარიატზე წვრილ-ბურჟუაზიული გავლენასთან ბრძოლის კიდევ ერთი გამოცდილებით.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 9 ოქტომბერი.

ჩვენი სასამართლო და სახალხო მსაჯულები

იწყება სახალხო მსაჯულთა სიის შედგენა 1927 წლისათვის. სასამართლოს წყობილების დებულებით, სახალხო სასამართლოს, ოლქის სასამართლოს და უზენაეს სასამართლოს შემადგენლობა სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების არსებით განხილვის დროს, განისაზღვრება სამი წევრით, რომლებიც ერთი მუდმივი და ორი სახალხო მსაჯულისაგან შესდგებიან. სახალხო მსაჯული საქმის გარჩევის და გადაწყვეტის დროს სრულუფლებიანი მოსამართლეა, როგორც თვით მუდმივი მოსამართლე, რომელიც მარტო თავმჯდომარეობს სხდომაზე.

საბჭოთა სასამართლოს სახალხო მსაჯული ამით განირჩევა ძველ ნაფიც მსაჯულებისაგან, რომელიც იღებდა მონაწილეობას მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებში და სწყვეტდა მარტო დანაშაულის საკითხს, სასჯელის გამოტანაში კი მონაწილეობას არ იღებდა. ჩვენი სასამართლოს მსაჯული კი სწყვეტს როგორც დანაშაულობის, ისე სასჯელის საკითხს.

სასამართლოს წყობილების დებულების 15 მუხლი აღნიშნავს, რომ სახალხო მსაჯულად შეიძლება იყოს ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა მშრომელი მოქალაქე ორივე სქესისა, რომელსაც უფლება აქვს არჩევის, თითონაც იქნას არჩეული საბჭოს წევრად და რომელიც შეზღუდული არ არის არც სასამართლოს განაჩენით და არც საზოგადოებრივი და პროფესიონალური ორგანიზაციების დადგენილებით.

საბჭოთა სასამართლოს სახით შექმნილია იმისთანა ორგანო, სადაც მტკიცეთ ჩამოყალიბებულია მშრომელი ხალხის კლასობრივი მისწრაფება. ჩვენი სასამართლოები გადაცემულია მუშათა და გლეხთა ხელში და მათი შემადგენლობა შევსებულია მშრომელთა წარმომადგენლებით, საქმის ყოველმხრივ გასაშუქებლად და ხალხის აზრთან და ცხოვრებასთან მჭიდროთ კავშირის დასამყარებლად.

ყოველმა მუშამ და გლეხმა უნდა იცოდეს, რომ კანონი და მისი გამომხატველი სასამართლო არის სახელმწიფოს წყობილების ერთი საფუძველთაგანი, რომლის სიმტკიცეზე დამყარებულია მისი სიძლიერე და სწორი მუშაობა.

უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს დღეს, როდესაც კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასმულია საკითხი რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების შესახებ, რომლის ცხოვრებაში გატარების საქმეში სასამართლოს აქვს მინიჭებული უმთავრესი როლი.

ამიტომ, მომავალ წლისათვის, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები, ჯარის ერთეულების მეთაურები და თემაღმასკომები, რომლებსაც კანონით ევალებათ მსაჯულთა კანდიდატების სიების შედგენა, სერიოზულად უნდა მიუდგნენ ამ საქმეს და აირჩიონ იმისთანა შეგნებული და პოლიტიკურად მომზადებული პირები, რომლებიც ღირსეულად შეასრულებენ მსაჯულის საპასუხისმგებლო მოვალეობას.

თანახმად სასამართლოს წყობილების დებულების 21 მუხ., მსაჯულთა კანდიდატების სიები უნდა გამოიკიდოს ფაბრიკის, თემის აღმასკომის, მუშათა კლუბის და სხვა თვალსაჩინო სადგომებში და ყველა მშრომელს უნდა მიეცეს უფლება ერთი კვირის განმავლობაში ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ განაცხადოს აცილება, სათანადო საფუძვლის აღნიშვნით. აცილებულ მოქალაქეს უნდა აეხსნას, რომ თავის მხრივ მას შეუძლია ერთი კვირის განმავლობაში მისი აცილება გაასაჩივროს უმაღლეს ანალოგიურ დაწესებულებაში.

ყველა მუშა და გლეხი, ვისაც გული ტკივა მშრომელთა კეთილდღეობისათვის, ვალდებულია გადაათვალიეროს კანდიდატთა შედგენილი სია და, თუ აღმოაჩენს მასში არა სასურველ ელემენტს, განაცხადოს აცილება, რომ ამით მიეცეს კომისიებს საშუალება სიაში დასტოვონ ღირსეული მუშა-გლეხები.

აუცილებლად საჭიროა ფაბრიკებში, ქარხნებში, თემებში, ჯარის ნაწილებში, პროფესიონალურ კავშირების, თემ-აღმასკომების და პოლიტგანყოფილებების ხელმძღვანელობით სისტემატიურად მოეწყოს საერთო კრებები და გაკეთდეს მოხსენებები საბჭოთა სასამართლოს და სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტის მნიშვნელობის შესახებ.

სამწუხაროდ, მიუხედავათ იმისა, რომ სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობიდან ექვსი წელიწადი სრულდება, იგი ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე და ამის მიზეზი ის არის, რომ მსაჯულები სისტემატიურად არ ცხადდებიან სასამართლოში.

მსაჯულების გამოუცხადებლობა საშინლად აფერხებს სასამართლოს მუშაობას, ერთი იმით, რომ საქმეები იდება და მით ძველდება, რის გამო საქმეს ეკარგება თავისი მნიშვნელობა და, მეორე, მხარეები, მოწმეები მოდიან სასამართლოში შორ მანძილიდან და მსაჯულების გამოუცხადებლობის გამო იცდიან რა დღის 3—4 საათამდე, გამოსთქვამენ უკმაყოფილებას საქმის გადადების შესახებ, რითაც ეცემა სასამართლოს პრესტიჟი ფართო მასის თვალში.

ასეთ არა ნორმალურ მოვლენას უნდა მოეღოს ბოლო. საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებმა, ჯარის ნაწილების ერთეულების მეთაურებმა, თემაღმასკომებმა და დაწესებულებების მეთაურებმა თვალყური უნდა ადევნონ, რათა გამოწვეული მსაჯულები სწორად ცხადდებოდენ სასამართლოში; როგორც გასულ წელში, ისე ამ წელშიაც ზოგიერთი დაწესებულებათა მეთაურები არ ანთავისუფლებენ მსაჯულად—გამოწვეულ მოსამსახურეებს, რაც დაუშვებელია.

მსაჯულების გამოუცხადებლობით მაზრებშიაც შეფერხდება სახალხო სასამართლოს მუშაობა, მაგრამ, იქ მძიმე პირობებშია ჩაყენებული მათი გამოცხადების საქმე. გლეხობა, უმეტესად მისი ღარიბესი ნაწილი, ვერ ცხადდება სასამართლოს ცენტრში. ამას ხელს უშლის გარდა პირადი საქმისა, უმთავრესად ის გარემოება, რომ გასამრჯელოს, მიუხედავად კანონის მოთხოვნილებისა, ვერ იღებს; რაც სახალხო სასამართლოები გადაიდენ ადგილობრივ ხარჯზე. დღემდე მათ არ მიუღიათ მსაჯულებისათვის ჯილდო (თბილისის მაზრა შეადგენს გამონაკლისს) და არც აღმასკომების ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული ასეთი სახის ხარჯები. მსაჯული გლეხს, რომელიც მიდის შორ მანძილიდან სასამართლოში თავის მოვალეობის ასასრულებლად, იქ არ ყავს ნაცნობი და არც მან არ იცის სად შეაფაროს თავი.

პროვინციებში მსაჯულებისათვის ჯილდოს საკითხი ცოტათი მაინც მოგვარდება მომავალ წლიდან, ვინაიდან აღმასკომებმა მცირეოდენი თანხები მაინც შეიტანეს თავიანთ ხარჯთაღრიცხვაში. მაგრამ მეორე საკითხიც უნდა იქნეს აუცილებლად მოგვარებული,—ეს სახალხო სასამართლოსთან ოთახის შოვნა და მოწყობა, რომ შორ მანძილიდან მოსულ გლეხ-მსაჯულმა, რომელიც ექვს დღეს რჩება სასამართლოში, მოისვენოს.

ეხლანდელი მდგომარეობა აიძულებს სასამართლოს გამოიწვიოს მსაჯული სასამართლოსთან ახლო მდებარე სოფლებიდან, შორ სოფლების გლეხ-მსაჯულები რჩებოდენ მართმსაჯულების საქმეში მონაწილეობის მიუღებლად.

მომავალ წლისათვის სიის განმნაწილებელ კომისიებმა აუცილებლად ყველა კუთხიდან უნდა შეიტანონ სიაში გლეხ-მსაჯულები, მიუხედავად სასამართლოდან დაშორებისა, ჩვენ კი ხელი უნდა შეუწყოთ გლეხ-მსაჯულების გამოცხადებას, სათანადო ჯილდოს მიცემით, ბინის დათმობით და ადგილობრივ სესიების მოწყობით.

რევოლიუციონური კანონიერების შემეცნების შეტანა ფართო გლეხობაში შეიძლება, უმთავრესად, სახალხო მსაჯულების სახით მათი მართმსაჯულების საქმეებში ჩაბმით, აქ ტომ ადგილობრივმა აღმასკომებმა ამას უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება.

მსაჯულთა სიებში ქალთა რიცხვი გასულ წლებში სულ მცირე პროცენტს შეადგენდა, რასაც უნდა მიექცეს ამომრჩევ ორგანოს ყურადღება და აუცილებლად მომავალი წლისათვის ქალთა რიცხვიდან რაც შეიძლება მეტი პროცენტი იქნეს მსაჯულთა სიაში გატარებული.

ყველა გლეხმა და მუშამ მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა სასამართლო არის მისი საქმე და თავის არიდება მსაჯულობის მოვალეობისაგან დაუშვებელია.

კ. კაჭარავა.

სატარიფო თათბირის შედეგები

პროფკავშირების საბჭოს მიერ მოწვეულ რესპუბლიკანურ სატარიფო-საეკონომიო თათბირზე გარჩეული იყო მთელი რიგი საკითხები, რომელნიც საყურადღებო არის არა მარტო პროფესიონალური, არამედ სამეურნეო ორგანოებისათვისაც. თათბირზე განხილულ იქნა კოლექტ. ხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარების და ხელფასის მომატების საკითხები, ხელფასის სანარდო და პრემიალური სისტემების პრაქტიკა, კავშირების საკონფლიქტო მუშაობა, კავშირების სატარიფო მუშაობა კერძო წარმოებებში და საწარმოვო თათბირების მუშაობის გამოცოცხლების პრაქტიკული საკითხები.

კოლექტიურ ხელშეკრულებების გადასინჯვის კამპანიის და ხელფასის მომატების საკითხების შესახებ სატარიფო თათბირმა აღნიშნა. რომ საჭიროა ამ კამპანიის მეტი მომზადებით ჩატარება, ვიდრე გასულ წლებში ხდებოდა იქ, სადაც ხელშეკრულების დროზე გადასინჯვა ვერ მოხერხდება, შეიძლება მისი დაგვიანებით გადასინჯვა, მაგრამ მოუმზადებლათ ხელშეკრულების დადებას ადგილი არ უნდა ექნეს.

ხელშეკრულების გადასინჯვის კამპანია უნდა გატარდეს ისე, რომ ხელფასის მხრივ ჩამორჩენილ წარმოებებში შეძლებისდაგვარათ გაზრდილი იქნეს ხელფასი. ამას გარდა თვითეულ წარმოებაში უნდა იქნეს მიღებული ზომები სხვადასხვა მუშათა ჯგუფების ხელფასის შორის არანორმალურ განსხვავების შესუსტებისათვის და ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის გაზრდისათვის.

სატარიფო თათბირმა აღნიშნა, რომ ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის მომატება არ უნდა გატარდეს ხელფასის გათანასწორების თვალსაზრისით. შიგნი წარმოებაში სხვადასხვა ჯგუფების ხელფასის არანორმალურა განსხვავების შემცირება უნდა ხდებოდეს სანარდო და პრემიალურ სისტემებში შესწორებების შეტანით და არა მექანიკურათ სატარიფო განაკვეთის აწევით.

თათბირმა არ სცნო მიზანშეწონილათ კოლექტიურ ხელშეკრულებებში ნატურალური მიცემების შეტანა. ნატურალური ხელფასი, სადაც ეს შესაძლებელია, მთლიანათ უნდა შეიცვალოს ფულადი ხელფასით.

კოლექტიური ხელშეკრულებები, სატარიფო თათბირის დადგენილებით უთუოთ უნდა მუშავდებოდეს მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებებზე. კავშირები ხელშეკრულების შედგენის დროს უთუოთ უნდა ხელმძღვანელობდენ საერთო კრებების გადაწყვეტილებებით. ხელშეკრულების დადებაში კავშირი უნდა გამოდიოდეს მუშების გადაწყვეტილების აღმასრულებელ ორგანოთ. ყოველგვარი დახევა საერთო კრების გადაწყვეტილებიდან კავშირმა უნდა გაატაროს მუშების საერთო კრებაზე. რესპუბლიკანური მასშტაბით დასადები ხელშეკრულება უნდა ტარდებოდეს არა მარტო თბილისის წარმოების მუშების საერთო კრებაზე, არამედ მაზრების იმ წარმოების მუშების საერთო კრებებზე, რომლებზედაც ხელშეკრულება ვრცელდება. გამონაკლისი ამ მხრივ არ შეიძლება იქნეს დაშვებული.

ხელფასის სანარდო და პრემიალურ სისტემების შესახებ თათბირმა აღნიშნა, რომ ამ საკითხების მოგვარებაზე უმეტეს ნაწილათ არის დამოკიდებული მუშების სხვადასხვა ჯგუფების ხელფასის არანორმალური განსხვავების შესუსტება. ამიტომ ხელშეკრულებათა გადასინჯვის კამპანიას წინ უნდა უძღოდეს სანარდო და პრემიალური სისტემების პრაქტიკის შესწავლა და აქ არსებულ ნაკლულოვანებათა გამომჟღავნება.

თათბირის მიერ აღნიშნული იყო სანარდო და პრემიალური სისტემების დამახინჯება და სუსტათ გატარება. ამის მიზეზათ თათბირი სთვლის ჩვენი სამეურნეო ორგანოების ამ საკითხებისადმი უხეირო და არა სამეურნეო თვალსაზრისით მიდგომას. ზოგგან სამეურნეო ორგანოები თვით ეწინააღმდეგებიან სანარდო სისტემის შემოღებას, მაშინ, როცა ისინი უნდა გამოდიოდენ ამ საკითხებში ინიციატორებათ. ზოგან ინდივიდუალურ სანარდო მუშაობის მაგივრათ აწყობენ კოლექტიურ სანარდო მუშაობას, რომელიც შრომის ნაყოფიერების აწევაში უფრო ნაკლებ როლს თამაშობს, ვიდრე პირადი ნარდი მუშაობა. პრემიალური სისტემები ხშირათ დამახინჯებულათ ტარდება და ისინი არავითარ წაქეზებას შრომის ინტენსივობის გაზრდაში არ იწვევენ. სუსტათ არის დაყენებული დამხმარე მუშების და ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ პერსონალის დაჯილდოვება. დამახინჯებულათ ტარდება ნარდი მუშაობის დროს მუშაობის დროებით შეჩერების და გაფუჭებულ ნაკეთობის დაჯილდოვება. ამ საკითხებში ზოგან ადგილი აქვს შრომის კანონმდებლობის დარღვევას.

თათბირმა აღნიშნა, რომ ძალიან სუსტათ ტარდება ცხოვრებაში სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროებში მომუშავეთა პრემიალური დაჯილდოვება, იმის და მიუხედავათ, რომ კანონით ეს საკითხი უკვე ორი წელია რაც გადაჭრილია. თათბირის აზრით, მოგებიდან ან ბრუნვიდან სავაჭრო მუშაკების პროცენტული დაჯილდოვება ბევრ სარგებლობას მოუტანს, როგორც სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებს, ისე თვით მოსამსახურეებსაც.

საკონფლიქტო მუშაობის საკითხებში თათბირმა აღნიშნა, რომ სამეურნეო ორგანოების კონფლიქტების გადაჭრისადმი ცუდი მიდგომით სახელმწიფო საგრძნობლათ ზარალობს. დამახინჯებულათ გადაჭრილი კონფლიქტი ისევე დავას იწვევს, რომელიც გრძელდება რამოდენიმე თვე, რის შემდეგ წარმოება-დაწესებულება იძულებულია გადაიხადოს რამოდენიმეჯერ მეტი, ვიდრე უნდა გადაეხადა კონფლიქტის დაწყების დროს. ბევრი ადმინისტრატორი კონფლიქტებს აჭიანურებს პირადი ჯიუტობით. თათბირმა გამოიტანა დადგენილება, რომ შრომის პროკურატურამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მისცეს ის ადმინისტრატორები. რომელნიც თავის დროზე არ აკმაყოფილებენ მუშა-მოსამსახურეთა კანონიერ მოთხოვნებს.

კავშირების კერძო წარმოებებში სატარიფო მუშაობის შესახებ თათბირმა გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებები. თათბირმა აღნიშნა, რომ ხელფასი კერძო წარმოებებში უნდა იყოს მეტი, ვიდრე სახელმწიფოებრივში, რამდენათაც კერძოში შრომის გამოყენება უფრო ინტენსიურად ტარდება.

თათბირმა აღნიშნა, რომ კონფლიქტები კერძო მწარმოებლებთან უნდა იჭრებოდეს არა ადმინისტრატიული ზეგავლენის გზით, არამედ გაფიცვების და ბოიკოტების მოწყობით, თათბირმა აღნიშნა ამ მხრივ კავშირების სუსტი მუშაობა და დაადგინა, რომ კავშირებმა გაფიცვები ხშირათ უნდა გამოიყენონ.

საწარმოო თათბირების მუშაობის შესახებ თათბირმა გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცოცხლებას. კერძოთ აღნიშნულ იქნა მუშებისათვის ჯილდოს მიცემის საჭიროება სხვადასხვა მიზანშეწონილ წინადადებებისათვის. ჯილდოს მიცემა, თათბირის აზრით, უნდა ხდებოდეს მაშინაც, როცა წინადადება უმნიშვნელო არის, მაგრამ მისი გატარება იწვევს ერთგვარ ეფექტს. საწარმოო თათბირებზე უნდა ირჩეოდეს კონკრეტული და პრაქტიკული საწარმოო საკითხები. საერთო ხასიათის საკითხების გარჩევა, თათბირის აზრით, შეიძლება ხდებოდეს დროგამოშვებით. უმეტესათ კი საწარმოო თათბირები უნდა არჩევდენ წვრილმან და წარმოებისათვის სასარგებლო საკითხებს.

სატარიფო თათბირმა აღნიშნა, რომ საწარმოო თათბირების მიერ გამოტანილი დადგენილებები უნდა იყვნენ კონკრეტული და ჩამოყალიბებულნი, საერთო და დაუსაბუთებელ დადგენილებების მიღება არ ვარგა, როგორც სამეურნეო, ისე მუშების საწარმოო აღზრდის თვალსაზრისით.

ს.ვ.

პოლონეთში მოელიან 100.000 ფეიქარის გაფიცვას

მოკლე ხანში დაიწყება მოლაპარაკება ლიტვა-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ

გენ. იან-სენი გადავიდა კანტონის მხარეზე და თავს დაესხა უ-პეი-ფუს ჯარებს

გერმანიის მშრომელთა კონგრესი შეიკრიბება ნოემბრის მეორე ნახევარში

პოლონეთი დიდი გაფიცვის წინ

კონფლიქტი ლოძის მრეწველობაში

ვარშავა, 8 ოქტომბერი. მოლაპარაკებამ საფეიქრო მრეწველობის მუშებსა და მრეწველებს შორის არავითარი შედეგი არ გამოიღო. მრეწველები დასთანხმდენ მხოლოდ 5 პროც.-ის მომატებაზე, მუშები კი 15 პროც.-ის მომატებას მოითხოვენ. თათბირის შედეგებზე არის დამოკიდებული გაფიცვის საკითხის გადაწყვეტა. გაფიცვა რომ გამოცხადდეს, იგი გავრცელდება ლოძის, პეტროკოვის და ვარშავის რაიონის 100.000 მუშაზე.

„კურიე პოლსკის" რედაქტორი კირკინი, რომელსაც პირადი კავშირი აქვს ლოძის მრეწველებთან, სწერს: „ივლისში ბარტელს სურდა მრეწველების კავშირთან დაემყარებია კარგი განწყობილება, ამისათვის მან საიდუმლო თათბირზე იკისრა კანონმდებლობითი გზით შეეტანა კანონი 10 საათის სამუშაო დღის შესახებ. ბარტელმა, როცა ივლისში ლიკვიდაცია მოუხდინა კონფლიქტს ლოძში, კვლავ განიმეორა თავისი დაპირება ლოძის მრეწველობისადმი. ამის მიხედვით გასაგები ხდება ეხლანდელი კონფლიქტი ლოძში".

ლოძის ციხეების საშინელებანი

ვარშავა, 8 ოქტომბერი. პოლონეთის სეიმის კომფრაქციამ სასწრაფო შეკითხვა შეიტანა იმ საშინელებათა შესახებ, რომლებიც ხდება ლოძის ციხეებში.

ელჩების ჩამოსვლა

ვარშავა, 8 ოქტომბერი. ვარშავაში ჩამოვიდა პოლონეთის ელჩი ლონდონში სკირმუნტი. 8 ოქტომბერს პარიზიდან ჩამოვა პოლონეთის ელჩი საფრანგეთში ხლაპოვსკი.

პოლონეთის ღერბი

პოლონეთის სახელმწიფოს სიმბოლოდ გადაიქცა ჩექმა და მათრახი.

(დეპეშებიდან).



(კარიკატურა უცხოეთის გაზეთებიდან)

ამის გამო „კურიე ჩერვონნი" იუწყება, რომ მოსალოდნელია მნიშვნელოვანი დიპლომატიური ცვლილებანი. ხლაპოვსკის ჩამოსვლას „კურიერ პოლსკი" პოლონეთის მთავრობის ახალი დიპლომატიური გამოსვლის განზრახვას უკავშირებს.

ლიტვასთან შეთანხმების შემდეგ

ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულობა და პოლონეთი

ვარშავა, 8 ოქტომბერი. პოლონეთის ორივე ოფიციოზი „გლოს პრავდი" და „პოლსკა ზბროინა" ფიქრობენ, რომ პოლონეთის პრესის განგაში ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულობის გარშემო, არაფრით არ შეიძლება იქნეს გამართლებული.

„გლოს პრავდის" აზრით ხელშეკრულობის შინაარსმა უფრო უნდა დაამშვიდოს და არა აღელვოს პოლონეთის ფორმალისტები, ვინაიდან ხელშეკრულობა ამყარებს ერთიერთ ნეიტრალიტეტს. მაგრამ პოლონეთის დიპლომატია უნდა შეეცადოს, რომ რუსეთმა ასეთივე ხელშეკრულობანი არ დასდოს ბალტიის მხრის სხვა სახელმწიფოებთან.

ბრძოლა ჩინეთში

პეკინი, 8 ოქტ. ცნობებმა, ცზიან-სის ჩრდილოეთ ნაწილში მდგომარეობის შესახებ, კვლავ ერთი მეორის საწინააღმდეგო ხასიათი მიიღეს. მტკიცდება კანტონის მიერ ტეხანის აღება ცზიუ-ცზიან—ნან-ჩანის რკინის გზაზე. მეორე მხრივ გაზეთები გადმოგვცემენ ცნობას სუნ-ჩუან-ფანისა და ჩან-კაი-შის შეთანხმების შესახებ, რომლის მიხედვით სუნ-ჩუან-ფანი ანთავისუფლებს პროვინცია ხუ-ბეის აღმოსავლეთ ნაწილს მდინარე იან-ცზი-ცზიანის რაიონში და თავის ჯარები გადაჰყავს შუ-ჩანთან პროვინცია ცზიან-სიში.

ვან-სიანის ამბებთან დაკავშირებით, პეკინის მთავრობამ შეიმუშავა ჩინეთის წყლებში ნაოსნობის ახალი წესდება, რომლის მიხედვით უცხოეთის სამხედრო გემებს ეკრძალებათ ჩინეთის შინა-სანაოსნო წყლებით სარგებლობა, ხოლო ცოტათი შეზღუდული იქნება უცხოეთის კომერციული გემების თავისუფლება, ჩინეთის ხელისუფალთა კონტროლის ქვეშ.

დადასტურდა იმ წინასწარ მიღებული ცნობების სინამდვილე, თითქოს გენერალი იან-სენი, რომლის კონფლიქტმაც ინგლისელებთან გამოიწვია ვან-სიანისათვის ყუმბარების დაშენა, გადავიდა კანტონის მთავრობის მხარეზე და გამოვიდა უ-პეი-ფუს მომხრეების წინააღმდეგ პროვინცია ხუ-ბეის დასავლეთ ნაწილში.

ამერიკის სამხედრო გემები

ბერლინი, 9 ოქტომბ. გონკონგში ჩამოვიდა 6 ამერიკული ნაოსანი. ეხლა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გემების რიცხვი ჩინეთის წყლებში უკვე 52-ს უდრის.

ბანდიტები ხენანში

პეკინი, 8 ოქტომბ. ხენანის პროვინციაში ბანდიტებმა ხელახლა გაძარცვეს ორი ქალაქი: — ტუნ-სუ და ტენ-ვუ. ბანდიტებმა ბევრი მძევლები წაიყვანეს თან; მათ შორის არის ინგლისელი მისიონერი.

მემაღაროეთა ბრძოლა

კუკის განცხადება

ლონდონი, 8 ოქტომბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან სპეციალურ საუბარში კუკმა განაცხადა:

„საბჭოთა კავშირის მუშებისათვის, ალბად, საინტერესო იქნება, რომ 23 კვირის განმავლობაში ბრძოლის შემდეგ ინგლისის მემაღაროეებმა ერთხმად უარყვეს მთავრობის წინადადების მიღება. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მივიღეთ ბრძოლაში გაწევა, და არცა გვაქვს დაკარგული გამარჯვების იმედი.

სადელეგატო კონფერენციის მიერ მიღებული დადგენილება სამთამადნო მუშათა ფედერაციის პოლიტიკის შესახებ უახლოესი დროისთვის, წარმოადგენს ერთს, ოდესმე მიღებულ მტკიცე გადაწყვეტილებათაგანს. ის ნიშნავს იმას, რომ სამთამადნო მუშათა ფედერაციის ყველა ღონისძიებები მიმართული იქნება იქითკენ, რათა შეწყვეტილ იქმნას ინგლისში ნახშირის შეზიდვა და მოწყობილ იქნას ანარიცხების აკრეფა კავშირებში გაერთიანებულ ყველა მუშებისაგან გაფიცულთა სასარგებლოთ.

რაც შეეხება დადგენილებას, მაღაროების მცველ მუშების ადგილიდან მოხსნის შესახებ, მემაღაროეები ფიქრობენ, რომ რამდენადაც ჩვენს წინააღმდეგ მთავრობა იბრძვის პოლიციის და საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონის საშუალებით, იმდენად **მემაღაროეებს სხვა არაფერი დარჩენიათ რა, რომ მათაც მიმართონ იმ იარაღს, რომელიც მთავრობას უპყრია ხელში, თუ გინდაც რომ ამ იარაღს წარმოადგენდეს მაღაროების წყალით ამოვსება.** ბრძოლის გამწვავების ამ ახალ ფაზაში მემაღაროეებს ესაჭიროებათ დახმარება და ხელის შეწყობა, რადგან მოუხდებათ კაპიტალისტური სახელმწიფოს უფრო გაფართოებული იერიშის მოგერიება, რადგან ის არავითარ ზომებს არ დაერიდება.

იმ დიდმა დახმარებამ, რომელიც მივიღეთ ჩვენ რუსეთის ამხანაგებისაგან, შესაძლებლობა მოგვცა გაგვეწია წინააღმდეგობა და გაიმაგრებულიყავით 5 თვის განმავლობაში.

სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის უარის გამო, მიიღოს თავის შემადგენლობაში ჩვენი რუსი-ამხანაგები, ჩვენ გადავწყვიტეთ დავამტკიცოთ სამთამადნო მუშათა ინგლის-რუსეთის კომიტეტი, რომ გვქონდეს თანამშრომლობის შესაძლებლობა საბჭოთა კავშირისა და ინგლისის პროლეტარიატის ინტერესების დაცვის საქმეში. ასეთი კომიტეტის დაარსებით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა საბოლოოდ დაუკავშირდეთ იმათ, რომელნიც ჩვენი თავგანწირული ბრძოლის უმძიმეს მომენტში მოიქცნენ ისე, როგორც ნამდვილი ამხანაგები.

ბრძოლა გამარჯვებამდე

ლონდონი, 9 ოქტომბ. მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციის გადაწყვეტილობის გამო კუკმა განაცხადა: კონფერენციის დადგენილება ყველაფერს ამართლებს. რასაც მე ვაკეთებდი და ვლაპარაკობდი ბრძოლის დაწყებიდან. ბრძოლის მეოცდასამე კვირაში ჩემი პირადი ლოზუნგი **რჩება მთელი სამთამადნო მუშათა მასის ლოზუნგებათ.**

მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენცია

ლონდონი, 8 ოქტომბერი. სადელეგატო კონფერენციამ გაარჩია ჯორჯ სპენსერის, (მუშათა პარტიის წევრი თემთა პალატაში), საქციელი, რომელმაც, როგორც ბროკსტოუს და ნოტინგამშირის სამთამადნო მუშათა ორგანიზაციის სათანამდებო პირმა, დასდვა კერძო ეთანხმებები ორ მაღაროს მეპატრონესთან.

სპენსერსა და ორ სხვა დელეგატს ჩამოერთვათ ფედერაციის აღმასკომის [illegible] უფლება.

ამას გარდა, კონფერენციამ მოისმინა მოხსენება სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის საქმიანობის შესახებ და ამასთან დაკავშირებით განიხილა მისი მდივნის ხოჯესის საქციელი. ამ უკანასკნელ საკითხზე ჯერ-ჯერობით არავითარი გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი და ამიტომ ხოჯესის საქმე გადაეცა სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომს. უორკშირის სამთამადნო მუშათა ფედერაციამ, რომლის წევრიც იყო ხოჯესი, ის უკანასკნელი უკვე გამორიცხა თავის რიგებიდან.

კონფერენციის დახურვა

ლონდონი, 8 ოქტომბერი. 8 ოქტომბერს დაიხურა მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენცია. ფედერაციის თავმჯდომარე სმიტი დაბეჯითებით მოითხოვდა იმ პუნქტების ამოშლას, სადაც ნათქვამია მაღაროების მცველ მუშების სამუშაოდან მოხსნისა და, აგრეთვე, ნახშირის შეზიდვის შესახებ, რადგან მას ეს პუნქტები განუხორციელებლათ მიაჩნია. სმიტის ცდამ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ, როგორც ფედერაციის თავმჯდომარემ მაინც მოახერხა კონფერენციის დარწმუნება იმაში, რომ საჭიროა და აუცილებელი ამ რეზოლიუციის ადგილობრივ ორგანიზაციებზე გადაცემა განსახილველად და დასამტკიცებლათ.

რეზოლიუციისათვის კენჭის ყრის შედეგები ფედერაციის აღმასკომს ეცნობება 14 ოქტომბერს. ეჭვს გარეშეა, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები დაამტკიცებენ რეზოლიუციას, რის შემდეგაც ფედერაციის აღმასკომი დაუყონებლივ შეუდგება მის ცხოვრებაში გატარებას.

მემაღაროეთა მთლიანი ფრონტი აღდგენილია

ლონდონი, 8 ოქტომბერი. ინგლისის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია: „ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ იმას, რომ ყველგან აღდგენილია სამთა-მადნო მუშათა მთლიანი ფრონტი. მუშათა მოძრაობა არასაპატიო შეცდომას ჩაიდენს, თუ ეხლა, ბრძოლის ამ უკანასკნელ წუთებში ის გამოიჩენს რაიმე სისუსტეს და ამით არაფრად ჩაატარებს მემაღაროეთა გმირობას".

გაფიცვის შედეგი

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბ. რიო-დე-ჟანეიროდან იუწყებიან, რომ ბრაზილიის მთავრობის განცხადებით, ნახშირის ნაკლებობის გამო, რომელიც ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვითაა გამოწვეული, ბრაზილიაში უნდა შემცირებულ იქნეს სარკინიგზო მიმოსვლა.

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა პრესა

ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა

ეხლანდელი ოპოზიცია პარტიას ბრალსა სდებს, სხვათა შორის, იმაში, თითქო ის საკმაოდ მტკიცედ არ ატარებდეს კლასობრივ ხაზს საგადასახადო დარგში, თითქო ის საჭირო რაოდენობით არ ბეგრავდეს მდიდარ გლეხობას და კერძო ვაჭრობა-წარმოებას. ეს იაფფასიანი დემაგოგიაა და სინამდვილეს სრულებითაც არ შეეფერება. პარტიის საგადასახადო პოლიტიკა გამოიხატება ერთი მხრივ მუშა-მოსამსახურეთა და ღარიბ გლეხობის სრულ განთავისუფლებაში გადასახადისაგან, ან მის რაოდენობის მაქსიმალურად შემცირებაში, მეორე მხრივ—დაბეგვრის სიმძიმის ცენტრის გადატანაში შეძლებულ და კულაკურ ელემენტებზე, კერძო ვაჭრებზე და მწარმოებლებზე. რა სურათი გვაქვს ამ მხრივ სას.-სამეურნეო გადასახადის სახით? ამხ. ე. პოლიუდოვი „პრავდა"-ში ამის შესახებ წერს:

„მიმდინარე წელს სრულებით განთავისუფლებულია გადასახადისაგან გლეხურ მეურნეობათა არა ნაკლებ 20 პროცენტისა; 1925-26 წ. შედარებით დაბეგვრის სიმძიმე კლებულობს ღარიბ და საშუალო მეურნეობათა უფრო მეტი ჯგუფისათვის, რომლის ხვედრითი წონა შეადგენს დაახლოებით გლეხურ მეურნეობათა მთელი რიცხვის 45 პროც.; რჩება წარსული წლის დაბეგვრის სიმძიმე შუათანა მეურნეობათა ჯგუფისათვის, რომლის წლიური შემოსავალი სულზე უდრის 50—70 მან.; ასეთი მეურნეობანი დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენენ. დაბოლოს, საგრძნობლად მატულობს გადასახადის სიმძიმე უფრო მაგარი შუათანა და განსაკუთრებით კულაკურ მეურნეობათათვის. ამ ჯგუფის ხვედრითი წონა დაახლოებით 15 პროც. შეადგენს. მეურნეობათა ეს 15 პროცენტი, რომელსაც აქვს დასაბეგრ შემოსავლის დაახლოებით 25 პროც., იხდის გადასახადის 47 პროც., ე. ი. თითქმის 150 მილ. მან."

ამგვარად აშკარაა, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის უმთავრესი სიმძიმე კულაკურ ელემენტებს აწევთ. რა მდგომარეობაა საშემოსავლო გადასახადის დარგში? ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ, იმაზე, თითქო კერძო კაპიტალისტური დაგროვება უდრიდეს 400 მილ. მან. აქ დიდი შეცდომაა, რაც გამოიხატება საერთო და წმინდა მოგების ცნებათა აღრევაში. ფინკომისარიატის გამოანგარიშებით, კერძო კაპიტალისტური დაგროვება არ აღემატება 130—150 მილ. მ. და ეს ჯამი მოდის პროგრესიულ საშემოსავლო გადასახადის 828 ათას გადამხდელზე. ამ გადასახადის გადამხდელთა შესახებ 1925-26 წ. პირველ ნახევრის ცნობები ასეთ სურათს იძლევიან:

„გადამხდელთა ძირითადი მასსა (89,8%) ეკუთნის გადამხდელებს, რომელთა წლიური შემოსავალი უდრის 3.200 მან. მათ ხელშია გადამხდელთა მთელი რაოდენობის აღნუსხულ შემოსავლის საერთო ჯამის დაახლოებით ორი მესამედი (64,8 პროც.). გადამხდელთა ეს ძირითადი მასსა იძლევა აღნუსხულ გადასახადის მთელი რაოდენობის 35,1 პროც. გადამხდელთა უმაღლესი ჯგუფი კი (რომლის წლიური შემოსავალი უდრის 6 ათას და უფრო მეტს) შეადგენს გადამხდელთა სულ 3,2 პროც., მას აქვს აღნუსხულ შემოსავლის მთელი ჯამის 19,5 პროც. და იხდის ის საშემოსავლო გადასახადის მთელი ჯამის 46,4 პროც. თუ გამოვყოფთ იმ პირების ჯგუფს, რომელთაც აქვთ წლიური შემოსავალი 16 ათ. მან. და უფრო მეტი, ეს ჯგუფი შეადგენს გადამხდელთა მხოლოდ 0,4 პროც., მას აქვს შემოსავლის 6,5 პროც. და იხდის ის გადასახადების 22,6 პროც., ამასთან გადასახადი [illegible] მას აღნუსხულ შემოსავლის მეოთხედს ხოლო ვისაც წლიური შემოსავალი აქვს 150.000 მ., ის აქედან იხდის 48 პროცენტსაც".

ცხადია, რომ პარტია და ხელისუფლება მტკიცედ ატარებენ კლასობრივ ხაზს საგადასახადო პოლიტიკაში. რა თქმა უნდა, ადვილი არ არის კერძო კაპიტალის ყველა შემოსავლის სისწორით გამორკვევა. მაგრამ საგადასახადო აპარატი ყოველ ზომას იღებს ამ ამოცანის გადასაჭრელად. ამ მუშაობას საფუძვლად უდევს კერძო კაპიტალის რაც შეიძლება სრულად დაბეგვრა, ამ გზით კერძო კაპიტალისტურ დაგროვების შეზღუდვა და საშუალებათა გადიდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის.

უცხოეთის პრესა

გერმანიის მუშათა მე-2 დელეგაცია „ფორვერტს"-ის წინააღმდეგ

ბერლინის „როტე ფანე"-ში მოთავსებულია სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „ფორვერტს"-ის წინააღმდეგ წერილი გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის იმ ჯგუფის, რომელმაც ციმბირ-ურალი ინახულა. წერილს ხელს აწერენ თერთმეტი სოციალ-დემოკრატი, ორი კომუნისტი, ერთი უპარტიო და ერთიც ცენტრის პარტიის წევრი—ყველა, როგორც ვსთქვით, წევრები დელეგაციის. წერილი გამოწვეულია შემდეგი გარემოებით. „ფორვერტს"-მა დაბეჭდა სტატია სათაურით: „ტყუილი თუ უმეცრება", სადაც ის ბრალს სდებდა გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციას იმაში, რომ თითქოს ის საბჭოთა მთავრობის ხარჯზე გაემგზავრა საბჭოთა კავშირში, რომ ის იყო სტუმარი ამ მთავრობის, მიერ შეკრებილი ცნობები არ გამოხატავენ სინამდვილეს საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებისას და რომ ლენინგრადისა და მოსკოვის მუშების შედარებით უკეთესი ცხოვრება არ წააგავს სხვა კუთხეებში მშრომელთა მდგომარეობას და სხვ.

დელეგაცია სწერს:

„სინდისიერთ მოქცევა, რომლითაც უმასპინძლდებიან რუსეთში ყოფილ დელეგაციას, კარგად გამოხატავს იმათ ზნეობრივ ავლადიდებას, რომლებიც დღესაც ფიქრობენ გერმანელ მუშებს [illegible] რომ მოკლე ხნის განმავლობაში დელეგაციის [illegible] ლები, რათა მათ ვერაფერი დაინახონ რუსეთის ცხოვრებაში. ამ სტატიის ავტორებს კარგად მოეხსენებათ, რომ გერმანელ მუშების დელეგაცია გაემგზავრა რუსეთში არა ბოლშევიკური მთავრობის, არამედ თავის საკუთარ ხარჯზე. გაემგზავრა იმ ფულებით, რომლებიც მუშებმა შეაგროვეს თავიანთ შორის ამ მიზნით და ეს დელეგაცია იყო სტუმარი არა ბოლშევიკური მთავრობის, არამედ პროფკავშირების. თუმცა უნდა განვაცხადოთ, რომ ბოლშევიკურ მთავრობასთან სტუმრობა ჩვენ უფრო კანონიერად მიგვაჩნდა, ვინემ სტატიის ავტორების მიერაც ხშირათ შენიშნული, მათ მიერ არასოდეს დაგმობილი, პირიქით ძალიან ხშირათ მოწონებული მათი სტუმრობა ბურჟუაზიულ მთავრობებთან და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან... მუშებისა და გლეხების სახელმწიფოს შესახებ ცილისწამებამ და ტყუილი ამბების გავრცელებამ ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული უფრო კანონიერად მიგვაჩნია, ვინემ სტაკუთხებულ. სურვილი რუსეთის მდგომარეობის გაცნობისა. ჩვენი საკუთარი გამოცდილების თანახმად უნდა განვაცხადოთ აქ, რომ ეს სურვილი სულ სხვა ხასიათის იყო, ვინემ ზემოხსენებულ წერილში მოთხრობილი. სირცხვილის გრძნობამ მოგვიცვა ჩვენ, როდესაც დავრწმუნდით, რომ წარსული წლების განმავლობაში გერმანელ მუშებს ატყუებდენ უტიფრად მათი ბელადები ყოველივე იმის შესახებ, რაც შეეხება რუსეთს. ამიტომ გერმანიის მუშებმა გადასწყვიტეს პირადათ გაეცნობოდნენ საბჭოთა კავშირის მდგომარეობას. ყოველი ცდა ეჭვი შეეტანათ დელეგაციის მუშაობაში, დასცინონ მას, მნიშვნელობა დაუკარგონ მისი კვლევის შედეგებს—ეს ცდა დაიმსხვრევა ყველა დელეგატების სიმტკიცეზე, იმ მუშების სიმტკიცეზე, რომელთა უმრავლესობა მოხუცდა და დაჭაღარავდა მუშათა მოძრაობაში".

გაზეთის საპასუხოთ იმის შესახებ, რომ მარტო დიდ ცენტრებშია კარგად მოწყობილი მუშათა ცხოვრება დელეგატები ამბობენ:

„არა მარტო ქალაქებში და მრეწველობაში, არამედ სოფლებშიც და სასოფლო-მეურნეობაში ერთნაირად ხელსაყრელი პირობებია; ბევრგან სოფლად უკეთესადაც არის მოწყობილი საქმე და ამის აღნიშვნა შეგვეძლო ჩვენ".

ერთ-ერთ არგუმენტათ, როგორც მოვიხსენიეთ ზემოთ, მოჰყავთ მენშევიკებს დელეგაციის წინააღმდეგ ის, რომ რამოდენიმე თვის განმავლობაში შეუძლებელია გაიცნონ მუშებმა მით უმეტეს „უბრალო მუშებმა", თუ როგორია მდგომარეობა საბჭოთა ქვეყნებში.

„ნუ თუ არ არის აღმაშფოთებელი—სწერს ამის საპასუხოთ დელეგაცია—რომ გერმანელ მუშებისათვის არ სცნობენ იმის უფლებას, რომ რამოდენიმე თვის განმავლობაში მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, მათ შეუძლიათ გარკვეული აზრი იქონიონ საბჭოთა კავშირზე, ხოლო იმავე დროს [illegible] ასაღებენ იმათ არგუმენტებს და ცნობებს, რომლებსაც ცხრა წელიწადია არ უნახავთ რუსეთი და ემყარებიან მხოლოდ ემიგრაციაში გავრცელებულ ხმებს?.. მას შემდეგ, რაც ვნახეთ რაც გვატყუეს, გერმანიის მუშებმა გადასწყვიტეს დელეგაციის გაგზავნა რუსეთში მდგომარეობის გასაცნობათ და ჩვენ მივცემთ ამხანაგებს ანგარიშს ჩვენ მიერ ნახულის შესახებ. რაც შეეხება გერმანელ უბრალო მუშებს უნარს საქმის გაგებისას და ასეთსავე უნარს ჩვენი ბელადებისას—ამის შესახებ მართლა საინტერესო [illegible] შეგვეძლია მივიღოთ დღეს გერმანიაში".

დასკვნა, რომელსაც აკეთებს დელეგაცია წერილის ბოლოს ასეთია:

1918 წლიდან გერმანიის მუშათა ბელადების მიერ წარმოებული ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ [illegible] ამ ბელადების მიერ გერმანიის მუშათა კლასის მოტყუებას. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამ ბრძოლისა და ცილისწამების [illegible] პროლეტარიატის წინაშე".

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისელ კონსერვატორების კონფერენცია

არ სცხრებიან

ლონდონი, 8 ოქტომბერი. კონსერვატორულ პარტიის კონფერენციაზე სკარბოროში, თემთა პალატის კონსერვატორმა წევრმა მაიორმა კინდერსლეიმ შეიტანა საპროტესტო რეზოლიუცია „ბრიტანეთის იმპერიის შიგნით საბჭოთა აგენტების გამანადგურებელ მოღვაწეობის“ წინააღმდეგ. რეზოლიუციაში მთავრობას ჰპირდება დახმარების აღმოჩენას ყოველგვარ ისეთი ღონისძიების გატარებაში, რომელსაც მთავრობა საჭიროთ ჩასთვლის „ამ საფრთხის“ წინააღმდეგ საბრძოლველად.

კინდერსლეის რეზოლიუცია ერთხმათ მიიღო კონფერენციამ.

კონსერვატორების შიში

ლონდონი, 8 ოქტომბერი. საბოლოო სხდომაზე კონსერვატიული პარტიის კონფერენციამ სკარბოროში ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც შიშს გამოსთქვამს „ინგლისში საბჭოთა აგენტების მიერ წარმოებულ ყოვლის შემძლე აგიტაციის გაძლიერების გამო“. დასმულია წინადადება მიღებულ იქნას ზომები ყველა საბჭოთა წარმომადგენლობების სალიკვიდაციოდ ინგლისში და ამ წარმომადგენლობათა შემადგენლობაში შემავალ უცხოელთა გასაძევებლად. შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვენ „რეპრესიული ზომების ზრდის საშიშროების წინააღმდეგ, რომელსაც ცეცხლს უნთებენ რევოლიუციონური ელემენტები“.

კონფერენცია დაიხურა ნაციონალური ჰიმნის—„ღმერთო, ჰფარავდე მეფეს“—სიმღერით.

გენ. სექტის გადადგომა

გადადგომა მიღებულია

ბერლინი, 9 ოქტომბ. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის პრეზიდენტმა მიიღო რეიხსვერის უფროსის გენერალ სექტის გადადგომა.

მშრომელთა კონგრესი

ბერლინი, 8 ოქტომბ. გერმანიის მშრომელთა კონგრესის მომწვევმა კომისიამ დაადგინა კონგრესი მოიწვიოს ნოემბრის მეორე ნახევარში.

საჩუქარი ჰოჰენცოლერნებს

პარიზი, 9 ოქტომბ. ბერლინიდან მიღებული ცნობით, პრუსის რეიხსტაგმა წინააღმდეგ სოციალისტებისა და კომუნისტებისა, დაადასტურა დეკრეტი ჰოჰენცოლერნებთან შეთანხმების შესახებ, რომლითაც ყოფილ კრონპრინცს და მის ოჯახობას ეთმობა საცხოვრებლად ზესილიგოფის სასახლე პოსტდამის მახლობლად.

ჰოჰენცოლერნების პრეტენზიები

ბერლინი, 8 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „პრუსიის სახელმწიფო საბჭომ, კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების ხმების წინააღმდეგ, მიიღო ჰოჰენცოლერნების პრეტენზიების მომწესრიგებელი კანონპროექტი. პროექტის დამტკიცება უზრუნველყოფილია პრუსიის ლანდტაგის მიერ“.

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

ბერლინი, 8 ოქტომბ. გერმანიის კომპარტიის მორიგი ყრილობა გადადებულია და შესდგება კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის შემდეგ.

პან-ევროპიული კონგრესი

ვენა, 8 ოქტომბერი. 6 ოქტომბერს დაიხურა პირველი პან-ევროპიული კონგრესი. იუწყებიან, რომ ერთა ლიგის წარმომადგენლებმა წინადადება შეიტანეს, რათა ინგლისიც შეყვანილ იქნას პან-ევროპიულ კონგრესში.

„ჰამბურგელი მუშები არ დამარცხებიათ“

გერმანიის კომპარტიის მიმართვა

ბერლინი, 8 ოქტომბერი. ჰამბურგის ნავთსადგურის მუშათა გაფიცვის შეწყვეტის გამო, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცეკამ, გერმანიის მუშათა კლასის მიმართ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია:

„ჰამბურგის მუშები ჩააჩუმეს, მაგრამ არ დაუმარცხებიათ, კომუნისტური პარტია მოუწოდებს გერმანიის პროლეტარიატს რეფორმისტ - ბიუროკრატების მოღალატურ პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველათ“.

მენშევიკები თავს იმართლებენ

ბერლინი, 9 ოქტომბერი. მუშების უდიდესმა აღშფოთებამ ტრანსპორტელების პროფკავშირის ხელმძღვანელთა გამცემლური მოქმედების წინააღმდეგ, რომლებმაც ჩაშალეს ჰამბურგის გაფიცვა, აიძულა გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანება, რომ თავი ემართლებია. გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანება აცხადებს, რომ კონფლიქტების მოგვარების არსებული წესი შეუძლებლად ხდის გაფიცვის გამოცხადებას, თუ სამედიატორო სასამართლოს გარდაწყვეტილება სავალდებულოდ გამოცხადდა, მაგრამ თუ მუშათა ცალკე ჯგუფები მაინც იწყებენ გაფიცვას, ისინი არღვევენ პროფდისციპლინას და ამით ძირს უთხრიან მუშათა ორგანიზაციების ძალას.

ვრცელ პასუხში ამ განცხადებაზე კომუნისტური „როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ კონფლიქტების მოგვარებას არსებული წესი შემოღებულია საგანგებო რწმუნებულობის კანონის მიხედვით, რომელსაც თავის დროზე, ხმა მისცა გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებამ და რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ. რეაქციონურ კანონშიაც კი კონფლიქტის მოგვარების შესახებ არ არის ისეთი მუხლი, რომელიც პროფკავშირებს გაფიცვას უკრძალავდეს იმ შემთხვევაში, როცა სამედიატორო სასამართლოს გარდაწყვეტილება სავალდებულოდ იქნება გამოცხადებული. **რეფორმისტების დამოკიდებულება ჰამბურგის გაფიცვისადმი მოწმობს იმას, რომ ისინი სისტემატიურად ატარებენ კაპიტალთან თანამშრომლობის პოლიტიკას. რეფორმიზმმა, რომელმაც თავისი პოლიტიკით პროფკავშირებიდან განდევნა 5 მილიონი სინდისიერი პროლეტარი, ისეთი გზით მიჰყავს მშრომელი ხალხი, რომ ისინი ზედი-ზედ განიცდიან მარცხს.**

მუსოლინი მილიციის უფროსი

რომი, 8 ოქტომბერი. სტეფანის სააგენტო იუწყება: „გენერალი გონზაგა გადადგა ნაციონალური მილიციის უფროსის თანამდებობიდან. ამ პოსტს დაიჭერს მუსოლინი“.

ბულგარეთის ციხეებიდან

მოსკოვი, 9 ოქტ. რემედასის ამასკომის ცნობით განთავისუფლებულია სექტემბრის დასაწყისში სოფიის „ოხრანკის“ მიერ დატუსაღებული ბულგარეთის ცნობილი მწერალი სტრაშიმიროვი და ბულგარეთის დამოუკიდებელ პროფკავშირთა ბელადი ბოიაჯიევი.

საბერძნეთ-ოსმალეთის შეთანხმება

ანგორა, 8 ოქტომბერი. ანატოლიის სატელეგრაფო სააგენტოს ცნობით ოსმალეთის მინისტრთა საბჭომ პრინციპიალურათ დაადასტურა ათინაში დადებული საბერძნეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება, ორივე სახელმწიფოთა ქონების გაცვლა-გამოცვლაზე (იგულისხმება იმ ბერძნების ქონება, რომლებიც გადმოსახლებული იყვნენ ოსმალეთიდან და იმ ოსმალების, რომლებიც საბერძნეთიდან გააძევეს, თანახმად ლოზანის ხელშეკრულებისა ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის უმცირესობათა გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

1880 მსხვერპლი

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. ტენესის შტატში რკინის მაღაროებში აფეთქების დროს მოკლულ იქნა 30 მუშა. შეერთებულ შტატების ვაჭრობის სამინისტროს ცნობებით, 1926 წ. 9 თვის განმავლობაში ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების ქვა-ნახშირის მაღაროებში დაიღუპა 1880 მუშა.

სიმშილობის შეწყვეტა

ბერლინი, 8 ოქტომბ. მაქს გელცმა შესწყვიტა სიმშილობა, ვინაიდან მისი მოთხოვნილებანი ნიდერშენფელდის ციხის ადმინისტრაციის მიერ ნაწილობრივ იქმნა დაკმაყოფილებული.

სიმშილობა 7 დღე გაგრძელდა.

ახალი სპარსული გაზეთი

თეირანი, 9 ოქტ. გამოვიდა, რეაქციონერების ერთ-ერთი ბელადის მუდარესის გაზეთის პირველი ნომერი. მოწინავე, რომელსაც სათაურად აქვს „სახელითა მოწყალე უფლისათა“, მოუწოდებს ყურანიდან ამოღებული ციტატებით, ქვეყნის გაერთიანებისა და მმართველობის ნაკლთა მოსპობისაკენ.

ინგლისელ და გერმანელ მრეწველების თათბირი

ბერლინი, 9 ოქტ. უკანასკნელი ცნობებით, ინგლისში მყოფი გერმანიის მრეწველთა დელეგაცია დიუსბურგის მეთაურობით, შეისწავლის ინგლისის მრეწველობასთან თანამშრომლობის შესაძლებლობის მხოლოდ ძირითად ხაზს.

სხვადასხვა

ვერცხლის ფულების შესყიდვა

პარიზი, 9 ოქტომბ. ბრიუსელიდან მიღებული ცნობით, ბელგიის მეფემ გამოსცა დეკრეტი, რომელიც უფლებას აძლევს ეროვნულ ბანკს—შეისყიდოს ოქროს და ვერცხლის ფული.

ავსტრალია თავდაცვას აძლიერებს

ლონდონი, 8 ოქტომბ. სიდნეიდან იუწყებიან, რომ ავსტრალიის მთავრობა იხილავს მხარის სანაპირო თავდაცვის გაძლიერების საკითხს. ახალ შეიარაღების ღირებულება უდრის 4 მილ. გირვანქა სტერლ. უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრალია პირველათ თავის არსებობის განმავლობაში მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს შეიარაღებაზე.

ბრაზილიის მთავრობის ცნობა

ლონდონი, 9 ოქტომბ. ბრაზილიის მთავრობამ თავის საელჩოს ლონდონში გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც იგი კატეგორიულად უარჰყოფს ცნობას პროვინცია მატტო დროსსოში ახალი რევოლიუციის დაწყების შესახებ.

ზანგების მოკვლა

ლონდონი, 9 ოქტომბ. „დეილი მეილის“ ცნობით ნიუ-იორკიდან, მოქალაქეთა ბრბო დაეცა ციხეს ეკენში (სამხრეთ კაროლინა) და ლინჩის წესით დასაჯა იქ მყოფი სამი ზანგი, მათ შორის ერთი ქალი.

რა ხდება უცხოეთში

კონტროლი ბანკებზე

(წერილი რომიდან)

„კონტროლი ბანკებზე“—ასეთია ფაშიზმის ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ლოზუნგი.

იდეოლოგიურად ეს ლოზუნგი ემყარება იმ ფაშისტურ თეორიას, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას უნდა დაემორჩილოს „ყველა ეროვნული ძალები“, კერძოდ კი იმ აუცილებლობას, აიძულონ ბანკები, რომ თავიანთ ოპერაციებში იხელმძღვანელონ არა მარტო კომერციული სარგებლიანი ას მოსაზრებით, არამედ „საერთო ეროვნულ ინტერესებითაც“. მაგრამ სინამდვილეში ლოზუნგის წარმოშობას უფრო პროზაიული ხასიათი აქვს. „ეროვნული“ იდეოლოგია საჭიროა ფართო პუბლიკისათვის,—არსებითად კი ბანკებზე კონტროლის იდეა დაიბადა თვით საბანკო წრეებში,—უკვე, რომ ვსთქვათ, იტალიის ზოგიერთ მსხვილ ბანკებში, რომელთაც მთავრობის საშუალებით სურთ თავისი მზრუნველობა გაავრცელონ უფრო სუსტ საბანკო ორგანიზაციებზე. ამ ლოზუნგის ავტორად სრულის საფუძვლით შეიძლება ჩაითვალოს „ბანკა კომერჩიალე“, რომლის მთავრობაზე გავლენაც საკმაოდ ცნობილია.

ამას, სხვათა შორის, კიდევ ემატება მისწრაფება უზრუნველყონ იტალიის ფულის ბაზარი იმ შერყევისაგან, რომელიც ამ უკანასკნელ დროს გამოიწვია რამდენიმე საკმაოდ დიდი ბანკის გაკოტრებამ; ამ გაკოტრებიდან განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია „პარმის სახოფლო-სამეურნეო ბანკის“ გაკოტრებამ. ბანკების გაკოტრებამ დიდი კოზირი მისცა ხელში კონტროლის მომხრეებს, — და ამჟამად ეს ლოზუნგი უკვე პრაქტიკულად განხორციელების გზაზეა.

პირველად ბანკებზე კონტროლი წარმოდგენილი ჰქონდათ მთავრობის უშუალო მეთვალყურეობის სახით, ფინანსთა სამინისტროს პროექტის თანახმად უნდა შექმნილიყო განსაკუთრებული შტატი მთავრობის ინსპექტორებისა, რომელნიც პერიოდულად მოახდენდენ ბანკების რევიზიას და ყურადღებას მიაქცევდენ ყველა „არა სად მოვლენებს, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისითაც“. გარდა ამისა მთავრობას უნდა მიეღო უფლება დაენიშნა ბანკების ადმინისტრატიულ საბჭოებში (გამგეობაში) თავისი წარმომადგენლები. რომელთაც ექნებოდათ გამგეობის წევრის ყველა უფლებები და კიდევ ზედმეტად ვეტოს უფლება ადმინისტრატიულ საბჭოს ყველა გადაწყვეტილებების მიმართ.

მაგრამ ეს პროექტი დაიწუნეს. იტალიის ეხლანდელ სავაჭრო კოდექსის გამომცემამდე არსებულმა მთავრობის ინსპექციის გამოცდილებამ ნათელჰყო, რომ ინსპექციის მოღვაწეობა უშედეგოა: ჩვეულებრივად რევიზიის დროს ყველაზედ უფრო „საეჭვო“ ბანკებში ფორმალური თვალსაზრისით ყველაფერი საუცხოვოდ იყო. რაც შეეხება მთავრობის კომისრების დანიშვნას ბანკის გამგეობაში, უნდა ითქვას, რომ მეტ წილად გამგეობას მხოლოდ მოხსენებას უკეთებენ უკვე მომხდარ ფაქტებზე; მუშაობის ხელმძღვანელობა კი ნამდვილად ეკუთვნის კომპანიის თავმჯდომარეს და გენერალურ დირექტორს. ამავე დროს გამგეობაში ამ „კომისრების“ ყოფნა შეცდომაში შეიყვანდა ბანკის წვრილი კლიენტების ფართო პუბლიკას, რომელიც ამაში მთავრობის სერიოზულ გარანტიას დაინახავდა.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო, პირვანდელი პროექტი უკუაგდეს და კონტროლის გეგმა, რომელიც მინისტრთა საბჭომ ერთი კვირის წინად მიიღო, აგებულ იქმნა სხვა საფუძვლებზე.

მიღებულ გეგმის მიხედვით, ბანკების შესახებ კანონმდებლობაში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი: წესდება მინიმალური პროპორცია ბანკის ძირითად კაპიტალისა და იმ ანაბარების ჯამს შორის, რომელნიც შეიძლება მიიღოს ბანკმა, არ შეიძლება მთავრობის ნებადაურთველად ახალი ბანკების და უკვე არსებულ ბანკების ახალი განყოფილებების გახსნა; ბანკები, რომელნიც ღებულობენ ანაბარებს, ვალდებულნი არიან გადარიცხონ წლიური მოგების ათი პროცენტი სათადარიგო კაპიტალში, სანამ იგი არ მიაღწევს ძირითადი კაპიტალის ორმოც პროცენტს; იტალიის ბანკს (ე. ი. მთავრობის საემისიო ბანკს) შეუძლია კერძო ბანკებს თამასუქების განაღდების დროს მოსთხოვოს ყოველგვარი ცნობები გამნაღდებელ ბანკის მოღვაწეობის შესახებ და გაისინჯოს წარმოდგენილი ცნობები ბანკის წიგნებისა და საბუთების მიხედვით.

თუ პირველი სამი ახალი წესი მიზნად ისახავს შედარებით უფრო სუსტი ბანკების ოპერაციების შეფერხებას და შევიწროებას,—უკანასკნელი ზომა კი მათ საერთოდ ხელში უგდებს იტალიის, ე. ი. მთავრობის ბანკს. იტალიის ბანკში თამასუქების გაუნაღდებლობის გარეშე ვერ იარსებებს ვერც ერთი ბანკი; მაშასადამე იტალიის ბანკს ყოველთვის ექნება შესაძლებლობა დაწვრილებით გაეცნოს თვითეული ბანკის ოპერაციებს და სურვილისამებრ ან წააქეზოს, ან, პირიქით, „შეკვეცოს“ იგი.

ეს უკვე კონტროლი კი არა, არამედ ბანკზე აქტიური გავლენის მოპოვებაა. და ძნელი არაა იმის გათვალისწინება, თუ რა ხასიათის იქნება ეს გავლენა. საფინანსო და საბირჟო წრეებში უკვე გარკვევით ასახელებენ საერთო იტალიური მნიშვნელობის ექვს მსხვილ ბანკს, რომელნიც უზრუნველყოფილი იქნებიან მთავრობის ფარველობით, ესენია — „ბანკა კომერჩიალე“, „კრედიტ იტალიანო“, „ბანკა დი რომა“, „ბანკა ნაციონალე დი კრედიტო“, „ბანკა აგრიკოლა იტალიანა“ და „ბანკა დამერიკა ე დიტალია“. დანარჩენ ბანკებში მფარველობას უწინასწარმეტყველებენ მხოლოდ ზოგიერთ ადგილობრივ ბანკს.

რა თქმა უნდა, ყველა ეს წინასწარმეტყველებანი ნაადრევია და გამოწვეულია, ალბად, იმ შიშით საშუალო და წვრილ საბანკო წრეებში, რომელნიც დაკავშირებულნი მოსალოდნელ კონტროლთან. მაგრამ საეჭვო არ არის, რომ კონტროლის იარაღი საერთოდ და მთლიანად სამსახურს გაუწევს რამდენიმე მსხვილი ფავორიტ-ბანკების პოლიტიკას და ინტერესებს.

რომი, 25 სექტემბერი. **ანჯელო.**

უკანასკნელი ცნობები

კაიზერის ბინა

პარიზი, 9 ოქტომბერი. „ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით ექს-კაიზერმა შეატყობინა ბრიტანეთის მთავრობას, რომ იგი ფიქრობს იცხოვროს გამბურგენის ციხე-სიმაგრეში.

სამგლოვიარო წუთი

პარიზი, 9 ოქტომბერი. კოვნოდან იტყობინებიან, რომ დღეს მთელ ლიტვაში გამოცხადებულია 1 სამგლოვიარო წუთი, ნიშნად პოლონეთის არმიის მიერ ვილნოს დაკავების 6 წლის თავისა.

ანტიგერმანული დემონსტრაციები ბელგიაში

ბერლინი, 9 ოქტომბერი. ბრიუსელის კინო თეატრში ფილმის ჩვენების დროს გაიმართა დიდი ანტიგერმანული დემონსტრაცია. ფილმაში ნაჩვენები იყო გერმანიის დელეგაციის ჩასვლა ჟენევაში.

ზლოტი ეცემა

ვარშავა, 8 ოქტომბერი. უკანასკნელ სამრეწველო აქციების კურსმა დაიკლო.

ფრანგებზე თავდასხმა

პარიზი, 9 ოქტ. ჰავასის სააგენტოს ცნობით უცნობმა ველოსიპედისტმა ქალ. მაინცში რევოლვერით დასჭრა ფრანგი უნტერ-ოფიცერი.

პოლიცია აწარმოებს კვლევა-ძიებას.

კანტონელები იმარჯვებენ

პეკინი, 9 ოქტომბერი. უცხოეთის დიპლომატიური წყაროებიდან მიღებული ცნობებით კანტონის ჯარებმა მიაღწიეს ცზიუ-ცზიანს (ნანჩანის რკ.-გზის უკანასკნელი პუნქტია).

„ინდო“

გაფიცვა დასრულდა მუშების გამარჯვებით

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. კავშირთგაბმულობის პროფკავშირის ცეკაში შესდგა თათბირი ინდო-ევროპის ტელეგრაფზე გაფიცვის ლიკვიდაციის საკითხის განსახილველად. თათბირს დაესწრო საზოგადოების მთავარი რწმუნებული მოსკოვში კენიგამი და საზ-ბის ინჟინერი—კუკი.

საზოგადოების წარმომადგენლებმა განაცხადეს თავისი მზათ ყოფნა დაუთმონ გაფიცულებს ყველაზე უფრო სადავო პუნქტის ირგვლივ—სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების დროის განმავლობაში. გაფიცვის განმავლობაში კუთვნილი შვებულებები ანაზღაურებული იქნება. ამასთანავე საზოგადოების წარმომადგენლებმა აღუთქვეს, რომ არ მიიღებენ რეპრესიულ ზომებს გაფიცვის აქტიურ ხელმძღვანელების მიმართ.

მთელ ხაზზე მუშაობა დაიწყება 11 ოქტომბერს ღამის 12 საათიდან.

გაფიცვა გაგრძელდა 40 დღე და ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ იყო მოლაპარაკების ცდა. მაგრამ კონცესიონერები ადვილად არ მიდიოდენ დათმობებზე და მოლაპარაკებანიც უშედეგოთ თავდებოდა. მხოლოდ 8 ოქტომბერს მიიღეს საზ-ბის წარმომადგენლებმა ლონდონიდან ფიცხელი განკარგულება გაფიცვის ლიკვიდაციის შესახებ. ამის გამო საზოგადოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მუშებთან შეთანხმებას, უკანასკნელების მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებით.

ოპოზიციის წინააღმდეგ

ლენინგრადის საგუბერნიო პარტკომის მოწოდება

ლენინგრადი, 9 ოქტომბერი. ლენინგრადის საგუბერნიო პარტკომმა მოწოდებით მიმართა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ყველა წევრებს, რომელშიაც აცხადებს: „ოპოზიციონერები, მოსკოვში დამარცხების შემდეგ, შეეცადნენ ლენინგრადში გამოსვლას. მაგრამ აქაც სასტიკად დამარცხდნენ. ლენინგრადის მუშა-კომუნისტებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება პარტიის და ლენინის იდეებისადმი. ოპოზიციას სურდა პარტიისათვის დისკუსიის თავზე მოხვევა, მაგრამ ოპოზიციის გამთიშველ საქმიანობას პარტიამ სასტიკი პასუხი გასცა.

ლენინგრადის ორგანიზაციის პარტიული მასა მოითხოვს, რომ ამ აღვირახსნილ მჩხავანებს კვლავ ამოედოთ ლაგამი“.

ბაქოს პროლეტარიატის ხმა

ბაქო, 9 ოქტომბერი. დღეს ბაილოვო-ბიბიეიბათის ორგანიზაციის რაიონული აქტივის გაფართოებულ კრებაზე, რომელსაც 800 კაცზე მეტი დაესწრო, ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ბაილოვო-ბიბი-ეიბათის პარტიული ორგანიზაციის რაიონული აქტივის გაფართოებულმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება ოპოზიციის ლიდერების ახალი ფრაქციული გამოსვლების შესახებ მოსკოვისა და ლენინგრადის უჯრედებში და საქართველოში ოპოზიციის მომხრეთა ფრაქციული მუშაობის შესახებ, ამ გამოსვლებს აღიარებს პარტიული დისციპლინის და მე-14 პარტყრილობისა და საკ. კომ. პარ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კომ. პლენუმის დადგენილებათა დარღვევად.

აქტივი კმაყოფილებით აღნიშნავს, იმ პასუხს, როგორიც გასცეს ოპოზიციას მოსკოვისა და ლენინგრადის მუშებმა. აქტივი მოითხოვს დაუზოგავ ბრძოლას ოპოზიციონერებთან.

გაუმარჯოს საკ. კომპ. (ბ) ცეკას!

გაუმარჯოს პარტიის ურყევ მთლიანობას!

წითელი არმია ოპოზიციის წინააღმდეგ

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. ამხ. ვოროშილოვმა გამოსცა მიმართვა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ საშემოდგომო აღლუმების, 1903 წ. დემობილიზაციის და 1904 წლიანების გაწვევასთან დაკავშირებით, მოსული უამრავი რეზოლიუციები და მისალმებანი ამტკიცებენ, რომ წითელი არმია ურთგულესი დამცველია საბჭოთა ხელისუფლების.

სამხედრო პარტორგანიზაციების მიერ გამოგზავნილ რეზოლიუციებში აღნიშნულია, რომ ისინი ერთსულოვნათ ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ გამოსვლას, თუ ის პარტიის მთლიანო-

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის პლენუმი

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. 10 ნოემბრისათვის მოსკოვში მოწვეულია ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის გაფართოებული პლენუმი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

გემები შავი ზღვისათვის

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. გემების ქარავანი, რომელიც თეთრი ზღვიდან შავ ზღვაში მოდიოდა, ჩამოვიდა ნავთსადგურ ორაში.

სახელმძღვანელოები

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. ბეჭდვითი სიტყვის მთავარ კომიტეტის ცნობებით, მოსახლეობისათვის სახელმძღვანელოების მიწოდება ამ წელს სავსებით უზრუნველყოფილია.

აზნავთის საწარმოო-ფინანსიური გეგმა

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამრეწველო საგეგმო კომისიამ მიიღო აზნავთის საწარმოო-ფინანსიური გეგმა 1926—27 წლისთვის. ნავთის ამოღება გამოანგარიშებულია 6.242.000 ტონას რაოდენობით, 5.333,000 ტონას ნაცვლად 1925—26 წელში. მუშაობის საწარმოებლათ თანხების რაოდენობა მიღებულ იქნა 86.625.000 მან. რაოდენობით.

საქმე ამხ. ხუშოიანის მოკვლის შესახებ

ერევანი, 8 ოქტომბერი. 8 ოქტომბერს დილის 10 საათ. ს. დაიწყო სოფლის საბჭოს მდივნის მანუკ ხუშოიანის მკვლელობის საქმის გარჩევა.

საბრალდებლო დასკვნა ასეთია:

1925 წ. 25 ივლისს, ღამით სოფელ ნერკინ-აღდჯკალაში სამი ტყვიით მოკლულ იქნა მანუკ ხუშოიანი. წინასწარმა გამოძიებამ გამოარკვია შემდეგი:

1924 წ. ივლისში ხუშოიანი საცხოვრებლად დასახლდა სოფ. ნერკინ-აღდჯკალაში. ვინაიდან ხუშოიანი თავისი კულტურული და პოლიტიკური განვითარებით მაღლა იდგა ადგილობრივ მცხოვრებლებზე, მას არ შეეძლო არ შეენიშნა ის პატრიარქალური ურთიერთობა, რომელიც არსებობდა აღაგიზის რაიონში და არ ებრძოლა საბჭოთა საზოგადოებრიობის დამყარებისათვის თავის რაიონში. 1924 წ. სექტემბერში იგი არჩეულ იქნა სოფლის საბჭოს მდივნად, ოქტომბერში კი გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარედ, 1925 წ. კი სოფლის საბჭომ დაავალა მას მასწავლებლის მოვალეობაც.

ხუშოიანი თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდშივე ყურადღებას აქცევს დაშნაკელთა პარტიის არალეგალურ ორგანიზაციას. ხუშოიანის მოღვაწეობისათვის სახელის გასატეხად ეს ელემენტები თხზავენ ჭორებს და საჩივარიც კი შეაქვთ მის წინააღმდეგ. გამოძიებამ გამოაშკარავა, რომ ეს საჩივარი შეთხზული იყო. გამოირკვა აგრეთვე, რომ ხუშოიანის მოღვაწეობას ღიად წინააღმდეგობას უწევდენ ამ რაიონ. დაშნაკური ელემენტები, რომლებსაც მეთაურობდენ პეტროიანი, ფახრადოიანი და მანუკიანი; პირველი მათგანი შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობდა დაშნაკელების მთავრობის დროს. ეს პირები ხუშოიანს უყურებდენ, როგორც საშიშარ მტერს მათი საქმიანობისა და ხშირად ემუქრებოდენ მას. 1921 წ. თებერვლის ავანტიურის შემდეგაც დაშნაკელთა პარტიის წევრები ფაქტიურად არ სწყვეტდენ კავშირს სპარსეთში მყოფ ცეკასთან და განაგრძობდენ არალეგალურ მუშაობას. დაშნაკელების არალეგალურ კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას მეთაურობდა სტეპანსონიანი. ხუშოიანი ენერგიულად მოქმედებდა მათ წინააღმდეგ და ამის გამო მათ გადასწყვიტეს მისი მოშორება. სტეპანსონიანმა არალეგალურად მომუშავე სენოიანს კომიტეტის სახელით განუცხადა, რომ საჭიროა ხუშოიანის მოკვლა. ამ აქტის შესასრულებლად სენოიანმა სტეპანოსიანისაგან მიიღო მაუზერი. მკვლელობის აქტის ჩადენა დაევალა აკოპ მოვსესიანს და აკოპ აკოპიანს, რომლებმაც შეასრულეს ეს დავალება სენოიანის გეგმის მიხედვით.

მკვლელობისათვის პასუხისგებაში მიცემულია 11 კაცი. ბრალდებულებმა: სემონიანმა, სტეპანიანმა და აკოპიანმა დამნაშავედ სცნეს თავი ტერორისტული აქტის ჩადენაში, სტეპანოსიანმა კი დაშნაკური არალეგალური ორგანიზაციების შექმნაში, ხოლო მკვლელობის ინიციატივაზე კი უარს ამბობს.

დანარჩენი ბრალდებულნი დამნაშავედ არ სცნობდენ თავს. მკვლელობის მონაწილე აკოპ მოვსესიანი მიიმალა.

გამოძიებით დადასტურებული ცნობების მიხედვით სტეპანოსიანს, სენოიანს, სტეპანიანს, პეტროიანს, ფახრაჯიანს, მანუკიანს, მკრტჩიანს, გაზარიანს, ხაჩატრიანს და აკოპიანს ბრალი ედებათ ტერორისტული აქტის მოხდენაში; სენოიანს და სტეპანიანს კი კონტრ-რევოლიუციონურ ლიტერატურის გავრცელებაში და არალეგალურ ორგანიზაციებში მონაწილეობის მიღებაში.

ოქტომბრის დღესასწაულის მოლოდინში

ცირკულიარული

წითელი ოქტომბრის მეცხრე წლის თავი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ - კულტურულ და სამეურნეო ფრონტებზე ბრწყინვალე გამარჯვების შედეგია. მეათე წელიწადში გადავდივართ, მეტი გამოცდილებით, მეტი ენერგიით, შემჭიდროებული რიგებით განვაგრძობთ სოციალისტური მშენებლობის გზას კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა სკოლამ ფართოდ უნდა გამოიყენოს ოქტომბრის რევოლიუციის დღეები ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის მიზნებით; ყველა ბავშვმა, თავის ასაკისა და მომზადების დონის მიხედვით თავისებურად უნდა იგრძნოს, განიცადოს და შეიცნოს იმ უდიდესი დატის მნიშვნელობა, რომელსაც 1917 წლ. 7 ნოემბერი (25 ოქტომბერი) ეწოდება, და რომლითაც კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება.

სკოლა ხელოვნურად, ნაძალადევად, ნაჩქარევად, თავის ჩვეულებრივი ცხოვრება-მუშაობის გარეშე არ უნდა ემზადებოდეს ოქტომბრის დღესასწაულისათვის, არამედ მის ყოველდღიურ საქმიანობაში, მის მუშაობაში აშკარად უნდა სჩანდეს ოქტომბრის ცოცხალი სული. ოქტომბრის დღესასწაულისათვის წინასწარი მზადება ეს სკოლის იგივე ჩვეულებრივი, ნორმალური მუშაობაა, იგივე პედაგოგიური პროცესია—სხვა თემების საკითხზე მუშაობა და არა სკოლის ცხოვრებაში მოულოდნელად და ნაძალადევად შეჭრილი რამ. სკოლის ცხოვრების საკითხები—სასწავლო წლის დასაწყისში დასამუშავებლად აღებული თემები, ბავშვის საზაფხულო დაკვირვება-შთაბეჭდილებათა აღრიცხვა, სკოლის ცხოვრების ორგანიზაცია, ბავშვთა კოლექტივების მუშაობის განახლება და მოწესრიგება, საზოგადოებრივი შრომა-ცხოვრების საკითხების გამორკვევა, სკოლის მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საპროგრამო საკითხები საზოგადოებათმეცნიერებიდან, საბჭოთა აღმშენებლობიდან და სხვა—ამ საკითხებზე სწარმოებს სკოლის მუშაობა და ამავე საკითხებშია მოცემული ოქტომბრის რევოლიუციის ლოზუნგები. პატარა საკითხებში—ახალი ცხოვრების შენების დიდი ამოცანები, და ეს უნდა გამომჟღავნდეს და აშკარა გახდეს.

როცა სკოლის დაბალი ჯგუფის ბავშვები კოლექტიურ ცხოვრებას იწყებენ და აყალიბებენ, თავის სამუშაო ოთახს აწყობენ, რომ შიგ მუშაობა ჰიგიენური და სასიამოვნო იყოს, თავის ნივთებს ფაქიზად ინახავენ, სისუფთავეს და წესრიგს მისდევენ; ან კიდევ, როცა საშუალო ჯგუფის მოწაფეები წლის მოსავლის აღრიცხვასთან დაკავშირებით, წამოაყენებენ საკითხს მუშაობის გაუმჯობესებული წესების შესახებ. სათანადოთ დააფასებენ მშრომელთა კოლექტიური მუშაობის უპირატესობას, და ან კიდევ, როცა უფროს ჯგუფის მოწაფეები, თანადროულობის საკითხების გარკვევის დროს, [illegible] და ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვაში კაპიტალისტურ სამყაროს ნგრევის [illegible] ნიშნებს ხედავენ და თავისუფლებისათვის მებრძოლთ აქტიურად უთანაუგრძობენ, აქ ყოველგან ოქტომბრის რევოლიუციის მიერ დასმულ ამოცანებთან გვაქვს საქმე, ყოველგან ადამიანის განთავისუფლების, ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესების საკითხებია დასმული, ყოველგან კოლექტიური შრომისა და ბრძოლის ცოცხალი იდეა ტრიალებს. ესაა მთავარი; ამ ცოცხალი იდეის პრაქტიკული საქმიანობით შესისხლხორცება და განვითარება—ეს იქნება ოქტომბრის რევოლიუციის ნამდვილი ზეიმი. ეს კარგად უნდა ახსოვდეს ჩვენს სკოლებს: თავისი ჩვეულებრივი მუშაობა უნდა ააგონ ოქტომბრის რევოლიუციის იდეებზე და ამ გზით მივიდნენ ცხრა წლის თავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

დაბალი ჯგუფის მოწაფეებთან ადგილი არ უნდა ჰქონდეს მათთვის მიუწვდომელ სიტყვიერ ახსნა-განმარტებებს ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ; აქ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვებში სათანადო ემოციების გამოწვევას და განმტკიცებას: ამისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება დღესასწაულის მხატვრულად მოწყობას და ბავშვების მოწესრიგებულ მონაწილეობას საერთო ზეიმში.

უფროსი ჯგუფის მოწაფეები საშემოდგომო თემებზე მუშაობით მომზადებულნი უნდა იყვნენ დღესასწაულისთვის და ზეიმის დღეს აღნიშნონ: მასიურ დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღებით, სკოლაში მხატვრული საღამოს მოწყობით, სადაც ადგილი ექნება მოხსენებებს, ცოცხალ სურათებს, ცოცხალ გაზეთს, რევოლიუციის ეპიზოდებს, დეკლამაციას, მოგონებებს, რევოლიუციონური შინაარსის წარმოდგენებს, პიონერთა გამოსვლებს და სხვა. სკოლის საღამოებზე დაესწრებიან მშობლებიც.

სოფლებში და დაბა-ქალაქებში სკოლები ფართო მონაწილეობას მიიღებენ მასიური დღესასწაულის მოწყობაში (სადაც საჭირო იქნება, ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, თვითონ ითავებენ მის მოწყობას, და ჩატარებას).

ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა ნათელყოფა და მის მიერ გადასაწყვეტად წამოყენებულ პრობლემების ნათელყოფა სკოლის ჩვეულებრივი მუშაობის პროცესში, მის საორგანიზაციო და მეთოდიურ-პედაგოგიური საკითხებთან ორგანიულად დაკავშირებით, თვითონ ზეიმის დღეს, ჩატარებული მუშაობის დასრულებისა და დასკვნის სახეს მისცემს. დამუშავებული მასალა, რაც დაგროვდება ოქტომბრის რევოლიუციის საკითხების გარკვევის პროცესში (მოხსენებები, ლოზუნგები, პლაკატები, სურათები, კედლის გაზეთები, სქემები, დიაგრამები, წიგნაკები, ოქტომბრის დღიური გაზეთები, მოგონებანი და სხვა). შეტანილი უნდა იქნას „ოქტომბრის კუთხეში“, რომელიც ყველა სკოლაში უნდა მოეწყოს.

საზოგადოებათ მეცნიერებიდან, საბჭოთა აღმშ

მარიამ ორახელაშვილი.

ჩვენი დროის გმირები

არაჩვეულებრივი, მაგრამ სრულიად გასაგები ინტერესი გამოიწვია ხულიგნობასთან ბრძოლის საკითხში მოსკოვის ჯანმრთელობის განყოფილების მიერ ახლახან დასრულებულმა გამოკვლევამ მოსკოვის საპატიმრო სახლებში მოთავსებულ ხულიგნების პიროვნებების.

ვინ ხულიგნობს?

ამ საკითხზე გამოკვლევა სავსებით ამომწურავ პასუხს იძლევა. ზედმიწევნითი სისწორით დამტკიცებულია, რომ 80 პროც. ხულიგნობის შემთხვევებისა ჩადენილია ლოთობის ნიადაგზე. მთვრალ კაცს ქვეყანა არაფრად მიაჩნია, ხოლო ის კი არ უკვირდება იმას, რომ მის მიერ ამ აბუჩად აგდებულ ქვეყანას მისთვის ამჟამად წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოებრიობა.

— „მიცნობდეთ, რაც ბიჭი ვარ!“— აი, ხულიგანის საყვარელი ლოზუნგი.

მაგრამ ეს აბუჩად აგდება იოლად არავის ჩაუვლის; მათ რიცხვში, ყველაზე უფრო თავზე ხელაღებულ ხულიგანსაც—მასაც მოეთხოვება პასუხი.

თუ გადავხედავთ ხულიგნების გონებრივი განვითარების დონეს, დავინახავთ, რომ 82 პროც. დაბალი განათლებისაა. აღსანიშნავია, რომ ხულიგნების ძირითადი მასა (94 პროც.) არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა არც საზოგადო და არც კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში. ჰასაკის მხრივ: 50 პროც.—19-23 წლამდე, 13 პროც.—18 წლამდე, ხოლო დანარჩენი პროცენტი—უფროს ჰასაკს ეკუთვნის. კიდევ ერთი დამახასიათებელი წვრილმანი ის არის, რომ ხულიგნების 65 პროც. მარტოხელაა.

ხულიგანთა შორის ბევრია პირდაპირ ხულიგნობით დაავადმყოფებული, ფსიქოპატი, ეპილეპტიკი და სხვ. მათთვის პირდაპირ ზედგამოჭრილი აღმოჩნდა ეს „მოძრაობა“. ხულიგნებს შორის ვხვდებით ქალებსაც—უმთავრესად როსკიპ ქალებს, მოვაჭრე ქალებს, რომლებზედაც წრე, რომელშიაც ისინი ჩავარდნილი არიან, პირდაპირ გამხრწნელ და დამღუპველ გავლენას ახდენს.

გამოუსწორებელ ხულიგნების ძირითადი მასა სისხლის სამართლის წარსულის მქონეა.

აი, ასეთი არიან ჩვენი დროის „გმირები“.

დასკვნა, რომელიც აქედან შეიძლება გამოვიტანოთ, და უნდა გამოვიტანოთ კიდეც, ისევე ძველებური რჩება. გუშინ გამართულმა დისპუტმა ამ საკითხის გარშემო, მრავალი ხალხის თანადასწრებით და ამხ. კრილენკოს, ბრანდენბურგსკის, სემაშკოს, ჩლენოვისა და მთელ რიგ პროლეტარული მწერლებისა და პოეტების მონაწილეობით, კიდევ ერთხელ დაამტკიცა ამ დასკვნების სისწორე.

აი ეს დასკვნები:

ბრძოლა ხულიგნობასთან ამავე დროს ნიშნავს ლოთობასთან ბრძოლას;

ბრძოლა ხულიგნობასთან ამავე დროს ნიშნავს პროსტიტუციასთან ბრძოლას;

ბრძოლა ხულიგნობასთან ნიშნავს ბრძოლას კულტურულ დონის, კულტურულ - განმანათლებელი მუშაობის აწევისათვის გამოუსწორებელ და ზნედაცემულ ელემენტებს შორის.

დაბოლოს, ბრძოლა ხულიგნობასთან —ნიშნავს იმ მუწუკის ძირ-ფესვიანად ამოფხვრას, რომელიც ვერავითარ მკურნალობას ვერ ემორჩილება.

ლ. შ—ლი.

მოსკოვი, 1 ოქტომბერი.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ახალი პროგრამა

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიამ ახალი პარტიული პროგრამის პროექტი გამოაქვეყნა, რომელიც, რასაკვირველია, ჩვეულებრივ პარტიულ ყრილობაზე უნდა იქმნას მიღებული. ოფიციალურ განმარტების წერილში, რომელიც პროგრამასთან ერთად „არბაიტერ ცაიტუნგში“ იყო დაბეჭდილი, ნათქვამია: „პროექტის მთელი იდეური შინაარსი მარქსისტულია“. მაგრამ დიდ მოაზროვნეს, რომლის სახელს ბატონნი ბაუერი და რენნერი ამაოთ ფიცულობენ, შეეძლო სრულიად სამართლიანათ გერმანული ანდაზა გაემეორებინა: „ვეშაპები დავთესე და რწყილები მოვიმკე“. მართალია ისიც, რომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული რწყილები სრულიად განსაკუთრებული რწყილებია. ისინი განსხვავდებიან ისეთ სისხლ მოწყურებულ, ნადირისებურ რწყილებისაგან, როგორიც ნოსკე, ველსი და მათი დამქაშებია. ისინი ბევრად უფრო ზომიერნი და გონიერნი არიან. თავიანთ საქმეს, კაპიტალისტური საზოგადოების ლაქიობას ისინი უფრო ფრთხილად და საფუძვლიანად აკეთებენ. მათ კარგი ჯამბაზობის და ოინბაზობის სკოლა განვლეს. და ამიტომ მათ მუშათა კლასის სხეული უფრო მჭიდროდ შებოჭეს, ვიდრე ეს სხვა რომელიმე ქვეყნის სოციალ-დემოკრატიამ ჰქმნა. მაგრამ ისინი მაინც მხოლოდ რწყილები არიან... ისინი ფიცულობენ მარქსიზმის სახელს. მაგრამ ნამდვილათ ახალი პროგრამის პროექტი ბეჩავი კაპიტულიაციაა წმინდა წყლის რეფორმიზმის წინაშე.

პროგრამის ავტორები კეთილშობილს პოზას ღებულობენ: ისინი აცხადებენ, რომ მათ ბევრი რამ შეიძინეს ბოლშევიზმისგან (ნუ გაგეცინებათ!), რომ ისინი ანგარიშს უწევენ იდეურ მოძრაობას ინგლისის „დამოუკიდებელთა“ და გერმანიის „ახალგაზრდა“ სოციალისტთა წრეებში. ნამდვილათ კი მათ უხეიროთ გადაუღიათ რამდენიმე ბოლშევიკური თეზისი და გულმოდგინეთ უხერხემლო და ფარისევლური პროგრამა შეუკოწიწებიათ, გამოსადეგი ქველმომქმედი დედაბრებისთვის, რომელნიც სულიერ ნუგეშს პოულობენ ინგლისის ოპორტუნიზმის თეორეტიკოსების აიაზმაში.

მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ამ ეკლექტიურ დომხალზე.

თანამედროვე კაპიტალიზმი და პროგრამის „ინტერნაციონალური“ ორიენტაცია

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ყოველი მუშათა პარტიისთვის საკითხებს დიდი მსოფლიო ომის გაკვეთილებისა, კაპიტალიზმის შემდგომი კრიზისისა, იმპერიალიზმის და სხვ. შესახებ პირველხარისხოვანი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ბედნიერი ადამიანები, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ბელადები, ყველა ამ საკითხებს გვერდს უვლიან. ორი-სამი ფრაზით კმაყოფილდებიან და წერტილს სვამენ. მართალია, რომ ომამდე ავსტრიის სოციალ-დემოკრატიამ იმპერიალიზმის საკითხი პარტიული პროგრამის ცენტრში დასვა. მართალია, რომ ომმა შემაძრწუნებელი ძლიერებით დაგვანახვა თუ რას ნიშნავს ეს საკითხი პრაქტიკულად. მართალია, რომ ვერსალის ზავმა ავსტრია მუხლზე დააჩოქა. მართალია ისიც, რომ დღეს მთელი ქვეყანა ომის მიერ გამოწვეულ ტკივილების გამო იკრუნჩხება. მაგრამ თითქო ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მოგვები ყრუ-მუნჯები იყვნენ, მათ არაფერი გაეგებათ ამ მოვლენებისა.

იმის მაგივრად რომ თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების თეორეტიული ანალიზი მოეცათ, მათ არჩიეს რომ ორიოდე უაზრო რეცეპტი შეედგინათ „სოციალისტური“ პაციფიზმის მიხედვით. თეორეტიული თვალსაზრისით ეს ხომ არა გაკოტრება და აზროვნების აუტანელი სიმხდალეა. დამახასიათებელია, რომ გერმანული „ახალგაზრდა სოციალიზმისა“ და ინგლისელი ოპორტუნისტების გულის მოსაგებათ ახალ პროგრამაში გულმოდგინეთ ამოშლილია ყველა ის ადგილები, რომელნიც ძველ სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში **სოციალიზმის ისტორიულ აუცილებლობას** ეხებოდნენ. ეს ადამიანები მეცნიერული სოციალიზმის სახელს ფიცულობენ. მაგრამ მათ ამ მეცნიერული სოციალიზმის **უმნიშვნელოვანესი** ელემენტი დაივიწყეს: მათ დაივიწყეს სოციალიზმის **აუცილებლობის** მეცნიერული დამტკიცება. ამაოთ მოვსძებნიდით ავსტრიელების პროგრამაში მარქსის გაბედული თეორიის კვალს კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა განვითარებისა, კლასობრივ წინააღმდეგობათა აუცილებელ ზრდისა, მწარმოებელ ძალთა განვითარებისა და კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობის წინააღმდეგობათა შესახებ. ამაოთ მოვსძებნიდით პროგრამაში პასუხს საკითხზე, თუ რას წარმოადგენდა მსოფლიო ომი ამ თვალსაზრისით. ამაოთ მოვსძებნიდით აგრეთვე პასუხს საკითხზე, თუ რა ბედი მოელის კაპიტალისტურ მსოფლიო მეურნეობას. პროგრამაში ეს ყოველივე მიჩქმალულია.

რატომ? მიტომ რომ ამ საკითხებს პირდაპირ მარქსისტულ (ე. ი. ბოლშევიკურ) ხაზთან მივყევართ, ან ვითომ დაძველებული“ მარქსიზმის აშკარა უარყოფასთან. „ავსტრო-მარქსისტების“ ამოცანა სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აქ მხდალათ ოინბაზობას ეწევიან. მათი „შეხედულება“ შემდეგ სიტყვებშია გადმოცემული:

„განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების კაპიტალისტთა კლასი სცდილობს ხელში ჩაიგდოს ევროპიული კულტურული წრის გარეშე მდებარე ეკონომიურად ჩამორჩენილი ტერიტორიები და გამოიყენოს როგორც ბაზარი, ნედლი მასალის წყარო და კაპიტალის დასაბანდებელი ადგილი. ქიშპი კოლონიალურ ტერიტორიებისთვის ახალ წინააღმდეგობებს ჰქმნის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. კაპიტალიზმის შეჭრა ევროპის გარეშე მდებარე ქვეყნების კულტურულ წრეში ანგრევს მათ. ტრადიციულ საზოგადოებრივ წესწყობილებას და იწვევს მათ მხრივ თავდაცველ ბრძოლას უცხო კაპიტალისტური ბატონობის წინააღმდეგ. ამ ცვლილებების შედეგია მუდმივი ომის საფრთხე. ამასთანავე კაპიტალისტური მსხვილი წარმოების ტეხნიკის განვითარებასთან ერთად შეუჩერებლივ იცვლება საომარი ტეხნიკაც. ამ რიგათ კაპიტალიზმის განვითარება მუქარას წარმოადგენს, რომ საშინელი ომებით მთელს ცივილიზაციას გაანადგურებს“. (დასასრული პირველი თავისა: „კაპიტალიზმი“).

ესაა და ეს. რა არის აქ აღსანიშნავი?

პირველი: აქ ერთხელაც არ გვხვდება სიტყვა „იმპერიალიზმი“.

მეორე: აქ მოცემულია ფაქტების ემპირიული აღწერა და არა მათი თეორეტიული განმარტება.

მესამე: აქ არაფერია ნათქვამი ომების აუცილებლობაზე კაპიტალისტურ წესწყობილებაში ე. ი. აქ ხდება აშკარა, სრული უარისყოფა უმნიშვნელოვანესი მარქსისტული პრინციპისა, რომელსაც თვით ძველი სოციალ-დემოკრატიაც კი იცავდა. თუ ბატონი ჰილფერდინგი ხანდახან სავალალო გამბედაობას იჩენს და იმისდამიუხედავად, რომ ძალიან კარგათ იცის უზარმაზარი შეიარაღებისა, ფარული ხელშეკრულებებისა და მოსალოდნელი კონფლიქტების შესახებ, მაინც თეზისს არღვენს კაპიტალიზმის ახალ ფორმებზე, პროგრამის ავტორები არც ჰოს ამბობენ და არც არას. ისინი სამარცხვინოდ სდუმან, ნამდვილად კი უარს ამბობენ მარქსიზმზე.

მეოთხე: ფაქტიურად, სწორი არ არის, რომ ბრძოლა თითქო მხოლოდ ჩამორჩენილი ტერიტორიებისთვის სწარმოებს (მაგ. ელზას ლორენის საკითხი, რურის ოლქის ოკუპაცია ფრანგების მიერ და სხ.).

მეხუთე: პროგრამის პროექტი უსირცხვილოთ და უაზროთ კოლონიალურ ხალხებს აკისრებს დანაშაულს. მართლაც, რა სწერია ზემოთ მოყვანილ აბზაცში? კაპიტალიზმი კოლონიებში „იჭრება“. იქ აჯანყება იწყება. ამის შედეგია საშინელი ომების მუქარა. ეს უცნაური ფორმულაა! იმის მაგივრათ რომ სთქვან, ომების მიზეზი იმ კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტურ პოლიტიკაშია, რომელნიც კოლონიებს ყვლეფენ და იბრძვიან ნადავლისთვისო, იმის მაგივრად, რომ ჩაგრულ ერების აჯანყების უფლება იცნონ და ნაციონალურ რევოლუციის ვალდებულების გრძნობა განამტკიცონ (დიდათ დამახასიათებელია, რომ პროგრამა ვერც კი ბედავს, რომ ამ რევოლუციებს ნამდვილი სახელი უწოდოს), ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მეთაურები კოლონიალურ მოძრაობას ომის საფრთხის მთავარ მიზეზათ სთვლიან.

ეს არის ყოვლად სულმდაბალი ყოფაქცევა. ეს იმ ძველი ტყუილებისა და ცილისწამების განმეორებაა, რომელსაც ინგლისის იმპერიალისტები ავრცელებენ, როცა ისინი, მაგალითად, ჩინეთის რევოლიუციას მშვიდობიანობის მუქარათ სთვლიან და საბჭოთა კავშირს აღიარებენ მთავარ დამნაშავეთ იმ თავისებური ქვეყნის შეფერხებაში, რომელიც იმპერიალისტმა პოლიტიკოსებმა და ვანდერველდეს ტიპის სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს ვერსალში.

ბოლოს ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელ პროექტში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი **საბჭოთა კავშირის** შესახებ. ბატონი ბაუერი, რომელსაც უეჭველია დამოკიდებულება აქვს პროგრამის პროექტთან, იძულებული იყო „არბაიტერ ცაიტუნგში“ წერილები ეძღვნა ჩვენი მრეწველობა-მეურნეობის სოციალისტური ელემენტებისთვის. უარჰყო თუ არა მან თავისი შეხედულება? ამ კითხვებზე პროგრამას აუცილებლად შესაფერი პასუხი უნდა გაეცა. ჩვენ სრულიადაც არ ვსაჭიროებთ ბატ. ბაუერისა და მისი დამქაშების ცნობას, მაგრამ უნდა დავადასტუროთ, რომ საბჭოთა რუსეთის საკითხი მხდალათ არის მიფუჩეჩებული. უფრო პატიოსანი ქცევა იქნებოდა, თუ პროგრამაში რაიმე ანტი-კომუნისტურს იტყოდნენ. მთელი ინტერნაციონალური პოლიტიკა ამ საკითხის გარშემო ტრიალებს. მაგრამ აქაც ავსტრო-მარქსიზმის მოგვები ფარისევლურად სდუმან.

ასეთია მათი თეორეტიული ანალიზი!

ის დასკვნები, რომელიც პროგრამის მეექვსე („ინტერნაციონალი“) ნაწილშია მოთავსებული, სავსებით „შეეფერება“ ამ ანალიზს.

ისინი, უწინარეს ყოვლისა, ერთა ლიგას ეხებიან. სოციალ-დემოკრატია „ებრძვის ერთა ლიგის ყალბათ გამოყენებას და კაპიტალისტური წესწყობილების დამცველ იარაღად გადაქცევას“.

ეს არის საკითხის სავსებით ოპორტიუნისტური, ანტიმარქსისტული და ანტირევოლიუციონური დაყენება. პროგრამა ფარისევლურ გულუბრყვილობას იჩენს. მისმა შემადგენლებმა კარგად იციან, რომ ერთა ლიგა გამარჯვებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოების კარტელია, რომელიც მიმართულია კოლონიებისა, საბჭ. კავშირისა და დამარცხებული სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელნიც მათ უნდათ მოსდრიკონ და მოათვინიერონ. მათ მშვენივრათ იციან, რომ დიდი უაზრობაა ასეთი ერთა ლიგის გაუმჯობესებაზე ოცნება. ერთა ლიგა ხელუხლებელი ქალწული როდია, რომელსაც შეიძლება ძალდატანებით უმანკოება წაერთვას. ერთა ლიგის ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ ის კაპიტალისტური და იმპერიალისტური კარტელია. ის კაპიტალისტური წესწყობილების დამცველ იარაღათ კი არ „გადაიქცა“, არამედ ის წარმოიშვა, როგორც ასეთი იარაღი, მოქმედობს და მომავალშიაც იმოქმედებს. მაგრამ პროგრამა ამ გარემოებას უმალავს მუშებს, რათა მათ ვერ გაიგონ ღალატი ბატონ ბონკურებისა, ტომასებისა, ვანდერველდეებისა და ერთა ლიგის სხვა თანამშრომლებისა, რომელნიც სწორეთ იმ მეორე ინტერნაციონალს ეკუთვნიან, სადაც ბატ. ბაუერიც. პოლიტიკა ერთა ლიგის „გაუმჯობესებისა“ ბეჩავი რეფორმისტული უტოპიაა. ევროპიული კონტრ-რევოლიუციის „წმინდა კავშირი“ სოციალ-დემოკრატიული ოინების ასპარეზია, რამდენადაც სოციალ-დემოკრატებმა სოციალისტობაზე უარი სთქვეს, ხოლო ზოგიერთი მათგანი უბრალო დემოკრატის სახელის ღირსიც კი არ არის.

ეგრედ წოდებული „ამშენებლობა რესპუბლიკისა“ და ამშენებლობა კაპიტალიზმისა

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ პროგრამა ინტერნაციონალურ საკითხებში სავსებით არსებული წესწყობილების ნიადაგზე სდგას. ერთა ლიგისთვის მხრის დაჭერა და უტოპისტური ცდა მისი „გაუმჯობესებისა“, პაციფისტური პროტესტები რევოლიუციონური ბრძოლების წინააღმდეგ კოლონიებში, მხდალი დუმილი საბჭოთა კავშირის საკითხში და სხ.—ასეთია ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ყოფაქცევა. ასეთსავე სურათს ვხედავთ შინაური პოლიტიკის დარგში. აქაც ისევე, როგორც იქ, დამახასიათებელია დავიწყება ძირითადი მარქსისტული პრინციპისა, შეურიგებელი კლასთა ბრძოლის პრინციპისა. იქ კლასობრივი თვალსაზრისით არ არის მოცემული ანალიზი ერთა ლიგისა, ანალიზი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ძალაუფლებისა, ანალიზი კოლონიალურ მოძრაობისა. აქ მთავარი მომენტია გამოტოვებული: კლასობრივი ანალიზი დღევანდელ ავსტრიის სახელმწიფოსა. იმის მაგივრათ, რომ მუშებს ამ რესპუბლიკის ბურჟუაზიული ხასიათი აუხსნას, რომ ბურჟუაზიული ბატონობის ფორმა გამოამჟღავნოს, პროგრამა ორივე ფეხით ამ რესპუბლიკის დადასტურების, მისი ყოველმხრივი განმტკიცების ნიადაგზე სდგას. ჭეშმარიტად რევოლიუციონური პარტიისთვის რადიკალურ-დემოკრატიული მოთხოვნილებანი მხოლოდ საშუალებას წარმოადგენენ ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დასანგრევად. ეს მოთხოვნილებანი მხოლოდ სოლია, რომელსაც პროლეტარული პარტია ბურჟუაზიის სახელმწიფოში აჭედობს, რათა ის ხელშემყრელ პირობებში გააპოს. ავსტრიის სოციალ-დემოკრატია კი, რომელიც ომამდე „საიმპერატორო სამეფო სოც.-დემოკრატიის“ სახელს ატარებდა, ამ მოთხოვნილებებს არღვენს მეტად „სერიოზული“, „მნიშვნელოვანი“, „სახელმწიფოებრივი“ და „პატივსადები“ თვალსაზრისით: ეს არის ამოცანა დღევანდელ ავსტრიის სახელმწიფოს განმტკიცებისა, „გაუმჯობესებისა“ და სხ. ამის დამიხედვით შეცვლილია ძველი ლოზუნგიც: არც ერთი გროში ჯარისთვის! არც ერთი გროში პოლიციისა და ჟანდარმერიისათვის“!

ახალ დროს ახალი „სიმღერა“ მოუტანია!

რა „სიმღერას“ მღერის ავსტრიის სოციალ-დემოკრატიისა ახალი პროგრამა?

„ჯარის შექმნა, რომელიც საკმაოთ ძლიერი იქნება, რომ ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონური აჯანყება ჩააქროს. ჯარის რესპუბლიკანური ხასიათის უზრუნველყოფა... აგრეთვე უზრუნველყოფილ უნდა იქმნას პოლიციისა და ჟანდარმერიის რესპუბლიკანური ხასიათი“.

საჭიროება მოითხოვს, რომ ცოტათი შევჩერდეთ ამ „მარქსისტულ დებულებებზე“ (თუმცა ამ ბატონებს უნდა შერცხვეთ, რომ თავიანთ თავს მარქსისტებს უწოდებენ). ძნელი არ არის იმის გაგება, რომ „ძლიერი ჯარი“ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში სრულიადაც კონტრ-რევოლიუციის დასამხობათ არ არის გამოსადეგი. ისეთ ქვეყანაში, როგორიც ავსტრიაა, რომელიც უაღრესათ გამარჯვებული სახელმწიფოების მოწყალებასა და გულისწყრომაზეა დამოკიდებული, ბურჟუაზიული სახელმწიფო, თუნდაც ის სამჯერ რესპუბლიკანური იყოს, პოლიციასა, ჯარსა და ჟანდარმერიას, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასის დასაჩაგრავად გამოიყენებს. თანამედროვე საფრანგეთის რესპუბლიკელი გენერლები გულმოდგინეთ სცდილობენ, რომ „თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობის“ დროშის ქვეშ მუშებს ესროლონ. კოლონიებში არტილერიით მთელი ქალაქები მიწასთან გაასწორონ და სხ.

არ უნდა დავივიწყოთ შეერთებული შტატები, სადაც თვით ელექტრონის მომაკვდინებელი საჯდომი, რომელსაც რევოლიუციონერების წინააღმდეგ ხმარობენ, რესპუბლიკანური სათნოების ვარდებითაა შემკული. ბატონი ოტტო ბაუერი და მისი დამქაშები ჟანდარმებისა და შუცმანების „აღზრდას“ მოითხოვენ რესპუბლიკანური ერთგულების გასამტკიცებლად, მაგრამ ერთ სიტყვასაც არ ამბობენ პროლეტარული კლასობრივი იდეის პროპაგანდაზე ჯარში. მარქსიზმი, რომელსაც ის ცუდი ჩვეულება აქვს, რომ ყველა ფორმალურ ეტიკეტებს [illegible] ჰგლეჯს, ყველა ფეტიშისტურ უაზრობას ანადგურებს, თვითეული საზოგადოებრივი დაწესებულების კლასობრივ შინაარსს ატიტვლებს, ავსტრიული მარქსიზმის წინასწარმეტყველების ხელში უხერხემლო, უფორმო მასსათ იქცევა, რომლის დანახვა ყოველ ჭეშმარიტ რევოლიუციონერს გულს აურევს.

აშენეთ თქვენი „რესპუბლიკანური“ პოლიცია, თქვენი „რესპუბლიკანური“ ჟანდარმერია, თქვენი „რესპუბლიკანური“ ჯარი! მხარი დაუჭირეთ წმინდა, უმანკო, დემოკრატიულ, უკლასსო რესპუბლიკას! (თავისთავად ცხადია, რომ მონარქისტული საფრთხის საწინააღმდეგო კონცენტრიული ბრძოლა მოსალოდნელია. მაგრამ სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები მხოლოდ საშუალებას წარმოადგენენ კლასობრივი ბრძოლის შემდგომი განვითარებისთვის და მათ არაფერი აქვთ საერთო პროგრამულ მოსაზრებებთან).

თუ ავსტრიის სოციალ-დემოკრატია ასე უცქერის თავის უმნიშვნელოვანეს კლასობრივ მოწინააღმდეგეს, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, გასაკვირალი არ არის, რომ მისი დამოკიდებულება ეკონომიური პოლიტიკის საკითხებისადმი არსებითად ანალოგიურია.

მისი თვალთსაზრისი აქაც უაღრესათ „კონსტრუქტიულია“. ავსტრიელმა სოციალ-დემოკრატებმა ეს კონსტრუქტიული მუსიკა შეითვისეს ბატ. მაკდონალდის ქადაგებებისაგან (რომელიც აგრეთვე მარქსიზმს დაძველებულად სთვლის); როგორც ცნობილია ეს ვაჟბატონი ყოველ კვირა დღეს ეკლესიაში ატარებს.

პირველი წინადადება იმ თავიდან, რომელიც „მსოფლიო პოლიტიკას“ ეხება, შემდეგი სიტყვებით იწყება:

„სოციალ-დემოკრატია ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერებას, როგორც მშრომელი მასსების კეთილდღეობის წინასწარ პირობას“.

პროლეტარულ სახელმწიფოში ასეთი ფორმულა სრულიად შესაფერია. მაგრამ ავსტრიის სოციალ-დემოკრატები ისე მოკრძალებით ექცევიან თავიანთ ბურჟუაზიულ რესპუბლიკას და ბურჟუაზიულ მრეწველობა-მეურნეობას, რომ ისინი სწორედ იმ ვალდებულებებს კისრულობენ, რომლისთვისაც ბურჟუაზიამ უნდა იზრუნოს.

კონკრეტულ მოთხოვნილებებში ბევრი სრულიად სწორია. მაგრამ ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ რევოლიუციონური პარტიის ეკონომიური მოთხოვნილებანი კლასობრივი ბრძოლის მაქსიმალურ გამწვავებას უნდა უწყობდეს ხელს. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისი კი კაპიტალისტურ წესწყობილების შენარჩუნებაა.

ამით აიხსნება, მაგალითად, ის გარემოება, რომ იმის მაგივრად, რომ ბრძოლა აწარმოონ ცხოვრების გამაძვირებელ ბაჟების წინააღმდეგ, პროგრამის ბრძენი ავტორები ლაპარაკობენ „საბაჟო სისტემის საერთაშორისო შეზღუდვაზე“.

ამ თვალთსაზრისით პროგრამაში შეტანილი ლოზუნგი „ეკონომიური დემოკრატიის“ შესახებ სპეციფიურ აზრს ღებულობს: ეს არის კაპიტალისტური „კონსტიტუციური ორგანიზაცია“, რომელშიც პროლეტარიატის გარყვნილი ზედაფენები კაპიტალისტებს მთელი ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობის შენარჩუნებაში შეუწყობენ ხელს.

აქაც იგივე ისტორია მეორდება. თუ პროლეტარიატის რევოლიუციონური პარტიისთვის ბრძოლა საწარმოო საბჭოების გაფართოებისათვის და სხ. მხოლოდ საშუალებაა კლასობრივი ბრძოლის გასაღვივებლად, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მოგვები და ფაკირები გომპერსის და გრინის გზას მისდევენ, მათი „მუშათა ბანკების“ იდეას ითვისებენ და კიდევ იმ ინგლისელ რეფორმისტებს მიჰყვებიან, რომელნიც „ინტერესთა თანხმობის“ დამყარებას სცდილობენ შრომასა და კაპიტალს შორის. ეს არის მეტად პატივსაცემი, „მარქსისტული“ ამოცანა, რომელიც საშინლად ჰგავს მარქსიზმის საფუძვლიან, „მოფიქრებულ“ ღალატს.

(გაგრძელება იქნება)

ნ. ბუხარინი.

ვენის „როტე ფანე“

სექტემბერი.

ოპოზიციის წინააღმდეგ—პარტიის მთლიანობისათვის

თბილისის კომიტეტი პარტიის მთლიანობის გამთიშველთა წინააღმდეგ

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი თავის პარტიულ მოვალეობად სთვლის აცნობოს მთელი თბილისის ორგანიზაციას, რომ უკანასკნელ ხანებში აქ შემჩნეულია ოპოზიციური ჯგუფების გამოცოცხლება და მათი გადასვლა აშკარა ფრაქციულ მუშაობაზე. ადგილობრივი ოპოზიციის ეს ფრაქციული მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს უკმაყოფილოთა, გაკოტრებულთა და შეურიგებელ ყოფილ ქართველ უკლონისტების ჯგუფი, გამოიხატება პარტიული ცხოვრების ელემენტარული საფუძვლების დარღვევაში, როგორც, მაგალითად: არალეგალურად საიდუმლო დოკუმენტების (რუსულ და ქართულ ენებზე) გავრცელება, სპეციალური კითხვარების გავრცელება, ზოგჯერ აშკარა მენშევიკური ხასიათის კითხვებით, ჯგუფური არალეგალური კრებების მოწყობა და თბილისის ორგანიზაციის რაიონებთან კავშირის გაბმა მათი წარმომადგენლების საშუალებით. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი უყურადღებოდ ვერ დასტოვებს პარტდისციპლინის ასე უხეშად დარღვევას და ოპოზიციის მიერ პარტწესდების ფარგლების ასე გადალახვას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ადგილობრივი ოპოზიციის ფრაქციული გამოსვლა 8 ოქტომბერს, ცენტრიდან ოპოზიციის ბელადების მიერ მოცემულ დირექტივის თანახმად. მორიგ პარტიულ დღეს, როცა თბილისის კომიტეტმა უჯრედებს მისცა დირექტივა, ც. კ. და ც. საკ. კომ. გაფართოვებულ პლენუმთან დაკავშირებით, პარტიის სამეურნეო პოლიტიკის საკითხის საქმიანი დამუშავებისა და განხილვის შესახებ. ჯგუფურ კრებებზე გამოცხადდნენ ოპოზიციონერები, რომ ჩაეშალათ ეს კრებები და იქ გაეტარებიათ გამთიშველი პოლიტიკა. ოპოზიციას გადაწყვეტილი ჰქონდა ერთად გამოსვლა ყველა ოთხივე რაიონში, რისთვისაც დაგზავნილი ჰყავდა თავისი ფრაქციული ორატორები. კრებებზე გამოცხადდნენ კოტე ცინცაძე, ლადო დუმბაძე, მიშა ოკუჯავა (საქ. კომ. პარტ. ც. კ. პრეზიდიუმის წევრი), ნიკო კიკნაძე, ბენო კალანდაძე (საქ. კ. პ. ც. კ. წევრის კანდიდატი), **პეტრე ზალუცკი** და სხვ. ნაწილმა მოასწრო დემაგოგიური გამოსვლა, ხოლო ნაწილი თვით კრებამ არ ალაპარაკა. ამნაირად, ადგილობრივი გაერთიანებული ოპოზიციის პირველი გამოსვლა დასრულდა მათი სასტიკი დამარცხებით (3000 ხმიდან ოპოზიციამ 25 ხმის შეკრებაც კი ვერ შესძლო ე. ი. 1 პროც.). მაგრამ, საუბედუროდ, მათი ეს უღირსი და აღმაშფოთებელი გამოსვლა პარტიას ძვირად უჯდება, შლის მის საქმიან მუშაობას ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ამ მეტად საპასუხისმგებლო მომენტში, რომლის დაძლევაც შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი ძალების მაქსიმალური დაჭიმვით.

ამიტომ თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი მიმართავს თხოვნით საქ. კომ. პარტ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და საკ. კომ. პარტ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს მოუწოდონ წესრიგისაკენ ადგილობრივი ოპოზიციის თავაშვებულ და გაკოტრებულ ლიდერებს და დააყენონ მათი ფრაქციული საქმიანობის საკითხი მათზე სათანადო პარტიული სასჯელის დასადებად. თბილისის კომიტეტი იზიარებს რა პარტიული ცხოვრების ყველა საკითხების თავისუფალ განხილვას, ამასთან ერთად ფიქრობს, რომ უჯრედები არ დაუშვებენ ზედმეტ და მავნე დისკუსიის გახსნას და თავზე მოხვევას დეზორგანიზატორთა პატარა ჯგუფის მიერ, წინააღმდეგ მთელი ორგანიზაციის კოლექტიური სურვილისა. თბილისის კომიტეტი გამოსთქვამს რწმენას, რომ თბილისის ორგანიზაცია, გამობრძმედილი ყველა გადახრების საწინააღმდეგო ბრძოლაში, კიდევ ერთხელ ბოლშევიკურად მოიგერიებს ოპოზიციას და იტყვის: **„ჩვენ არ გვინდა დისკუსია. ჩვენ არ გვინდა მოუსმინოთ მჩხავანა დეზორგანიზატორებს, რომლებიც ანგრევენ პარტიის შემოქმედებითი მუშაობას. ჩვენ არ გვინდა ოპოზიცია".**

საქ. კომპ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი—**კახიანი.**

ზინოვიევი საგასტროლოდ ლენინგრადში

ლენინგრადი, 9 ოქტომბერი. 7 ოქტომბერს ლენინგრადის ორგანიზაციის პარტიული კოლექტივების კრებებზე დასასწრებლად მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ოპოზიციონერთა მთელი რიგი, მათ შორის ცეკისტები ზინოვიევის მეთაურობით.

„წითელი პუტილოვის" კოლექტივის პლენუმზე გამოცხადდა **ზინოვიევი, ევდოკიმოვი** (მეორეჯერ, მას შემდეგ, როცა უშედეგოთ დამთავრდა მისი ცდა „წითელი ოქტომბრის" პლენუმზე გამოსვლისა), კუკლინი და ზორინი. ზინოვიევს პირველად მცირე ტაშით შეხვდნენ.

8 პარტიული მუშის გამოსვლის შემდეგ, ისეთი გამოსვლების შემდეგ, რომელნიც საქმიანად და მკაცრად აკრიტიკებდნენ ოპოზიციას, ზინოვიევს მიეცა სიტყვა 10 წუთით, ჩაწერის წესით. მას სიტყვას აწყვეტინებდნენ ასეთი წამოძახებით: „რისთვის ჩამოხვედი"? ორგანიზაციის დასანგრევად? დეზორგანიზატორი! ჩინეთში უნდა გაგზავნოს!" და სხვა. იმის შემდეგ, რაც ზინოვიევმა განაცხადა, რომ ოპოზიცია არაა ისეთი ცუდი და რომ მის რიგებში იმყოფება პოლიტბიუროს ისეთი გამოჩენილი წევრი, როგორიცაა ტროცკი, მას სიტყვა შეაწყვეტინეს აღშფოთებულმა ხმებმა.

როცა ზინოვიევმა ილაპარაკა 5 წუთი, დამსწრეთა ჯგუფმა, 200 კაცმა, დაჟინებით მოითხოვა, რომ ზინოვიევს მისცემოდა სიტყვის გაგრძელების უფლება. უეჭველია, რომ ამ ჯგუფის დიდი უმრავლესობა არ ეკუთვნოდა ოპოზიციას, მაგრამ მათ სურდათ მოესმინათ, თუ რას იტყოდა ზინოვიევი თავის გასამართლებლად. ამის შემდეგ ზინოვიევს გაუგრძელეს ვადა 15 წუთით. მისმა დემაგოგიურმა განცხადებებმა დაცინვის წამოძახილები გამოიწვია ადგილებიდან. როცა ზინოვიევმა 15 წუთი ილაპარაკა, კიდევ შეეცადა დროის გაგრძელებას, მაგრამ კრებამ დიდი ხმის უმრავლესობით უარჰყო დროის გაგრძელება და აღშფოთების ყვირილით გააცილა ზინოვიევი.

სულ კოლექტივის კრებას დაესწრო 2.000-მდე კაცი. სიტყვით გამოვიდა 24 კაცი, რომელთა შორის ოპოზიციონერი იყო 4—ზინოვიევი და კოლექტივის 3 წევრი.

რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს ოპოზიციას, მიღებულ იქნა ყველა ხმებით წინააღმდეგ 24 ხმისა. კენჭის ყრის შედეგების გამოქვეყნებას მხურვალე ტაშით შეხვდნენ. **ევდოკიმოვი შეეცადა თავისი რეზოლიუციის წაკითხვას, მაგრამ კრებამ ამის ნება არ მისცა.**

„წითელ ტრეუგოლნიკში" იყვნენ ევდოკიმოვი და კლავდია ნიკოლაევისა. კრებამ დიდი ხმის უმრავლესობით უარჰყო წინადადება ევდოკიმოვისა და ნიკოლაევისათვის სიტყვის მიცემის შესახებ. როცა ევდოკიმოვი ტრიბუნაზე ავიდა და დაჟინებით მოითხოვა სიტყვის ნებართვა, კრებამ არ მისცა ლაპარაკის საშუალება. ოპოზიციონერების საინიციატივო ჯგუფმა ასტეხა ხმაურობა.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა ყველა ხმებით (2.500 კაცი) წინააღმდეგ 30 ხმისა, სამმა თავი შეიკავა. ევდოკიმოვის ცდას, რომ წაეკითხა თავისი რეზოლიუცია, კრება სიცილითა და სტვენით შეხვდა.

შემდეგ კრება დაიხურა „ინტერნაციონალის" სიმღერით და სტვენით ევდოკიმოვის მიმართ.

კოზიცკის სახელობის ქარხანაში გამოვიდა ბაკაევი. მას სიტყვას გამუდმებით აწყვეტინებდნენ. იგი ლაპარაკობდა ხუთ წუთს, მაგრამ 15 წ. დრო მოუნდა. ბაკაევის რეზოლიუციას ხმა მისცა 13 კაცმა, უმრავლესობის რეზოლიუცია მიღებულ იქნა ყველა (380) ხმით, 4 თავი შეიკავა. რეზოლიუცია მოითხოვს ბაკაევის პასუხისგებაში მიცემას გამთიშველი მუშაობისათვის.

ვერა ასლუცკის სახელობის ფაბრიკაში იყვნენ ლილიანისა და შაროვი, მაგრამ მათ სიტყვის ნება არ მისცეს.

კრების უმრავლესობის დადგენილებით ქალი სტვენით და ხმაურობით ხელში აყვანილი გაიყვანეს კრებიდან. უმრავლესობის რეზოლიუცია მიღებულ იქნა ყველა ხმებით, წინააღმდეგ 11 ხმისა. კრებაზე იყო 180 კაცი.

კოლექტივ „ბოლშევიკში" გამოვიდა ზოფი, რომელსაც გამუდმებით აწყვეტინებდნენ სიტყვას. მის რეზოლიუციას ხმა მისცა 9 კაცმა, უმრავლესობის რეზოლიუციას კი 784 კაცმა.

თუ სათვალავში არ მივიღებთ რამოდენიმე ათეულ კრებებს ცენტრალურ ქალაქის რაიონის პატარა კოლექტივებში, სულ 7 ოქტომბერს შესდგა 150 სხდომა, რომლებსაც პარტიის 34.180 წევრი დაესწრო. კრებებზე დასწრების პროცენტი 75—90 უდრის. კრებები მეტად აქტიურ ხასიათს ატარებდნენ. სულ სიტყვით გამოვიდა 1.589 კაცი, ოპოზიციონერთა მხრით გამოვიდა—153, გამომსვლელთა 9 პროც. ოპოზიციას ხმა მისცა სულ 325 კაცმა (0,9 პროც.), თავი შეიკავა 125, დანარჩენებმა 33.729 კაცმა ხმა მისცა ცეკას ხაზს.

ამ კრებების დროს მრავალმა ამხანაგმა უარჰყვეს თავისი ოპოზიციონური შეხედულებანი. ასე, მაგალითად, ჟელიაბოვის სახელობის ქარხანაში 29 კაცმა შეიტანა კოლექტიური განცხადება, რომელშიაც ისინი უარს ამბობენ ოპოზიციონურ შეხედულებებზე. კოლექტივების კრებებზე მიღებული რეზოლიუციები მოითხოვენ ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის შეწყვეტას და კატეგორიულად გმობენ ოპოზიციას იმის გამო, რომ მას სურს დისკუსია მოახვიოს პარტიას.

კოლექტივები თავის რეზოლიუციებში მოითხოვენ ოპოზიციონერების პარტიიდან გამორიცხვას. განსაკუთრებით მკაცრად გმობდნენ ოპოზიციას პარტიული მუშები, რომელნიც უმრავლესობას შეადგენდნენ მუშურ კოლექტივებში გამართულ კამათის მონაწილეთა შორის.

ოპოზიციის წინააღმდეგ

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები პარტიული კრებების შესახებ ოპოზიციის გამთიშველი საქმიანობის გამო.

უკრაინის სახელმწ. პოლიტსამმართველოს უჯრედის საერთო კრებამ, 200 კაცის შემადგენლობით, ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვს ცეკასაგან გადამჭრელი ზომების მიღებას გამთიშველ ოპოზიციონერების მიმართ.

მარტის სახელობის ქარხნის პარტიული აქტივი თავის რეზოლიუციაში პროტესტს აცხადებს ოპოზიციის გამოსვლების წინააღმდეგ და გამოსთქვამს კმაყოფილებას იმ პასუხით, რომელიც გასცეს ოპოზიციას მოსკოვის მუშა-ბოლშევიკებმა.

სტალინის ოლქის ქარხნებიდან და მაზრებიდან. აგრეთვე კონოტოპიდან და ლუგანსკიდან გრძელდება რეზოლიუციების მიღება, რომლებიც სასტიკად გმობენ ოპოზიციის საქმიანობას და მოითხოვენ, რომ ცეკამ უსასტიკესი ზომები მიიღოს ოპოზიციონერების წინააღმდეგ.

მინსკის ორგანიზაციის პარტაქტივის კრებამ, რიცხვით 800 კაცმა, ორმა თავი შეიკავა, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც უაღრეს აღშფოთებას გამოსთქვამს ოპოზიციის გამოსვლებისა და მისი ლიდერების ცდის გამო, პარტიას ძალით მოახვიონ თავზე ზედმეტი და მავნე დისკუსია.

ბელორუსიის ა. ლ. კ. კ. ცეკა, ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში გმობს ოპოზიციის ცდას ჩაითრიოს პარტიის საწინააღმდეგო ბრძოლაში კომკავშირი და მისი ლენინური ცეკა.

უზბეკისტანის კომპ. ცეკას და ა. ლ. კ. კ. ცეკას გაერთიანებული პლენუმი მოითხოვს საკ. კომპ. (ბ) ცეკასაგან გადამჭრელი ზომების მიღებას ოპოზიციის გაძლიერებული ფრაქციული ცდების წინააღმდეგ—დაარღვიოს ლენინური სიმტკიცე.

კომკავშირი ლენინიზმის სადარაჯოზე

საკავშირო ა. ლ. კომკავშირის ცეკას ბიუროს დადგენილება *)

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. საკავშირო ლენინური კომკავშირის ცეკას ბიურომ 8 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა რა საკითხი ოპოზიციონური ბლოკის ფრაქციული ანტიპარტიული მუშაობის შესახებ და ოპოზიციის ბელადების ტროცკის, ზინოვიევის, პიატაკოვის, სმილგას, რადეკის, ევდოკიმოვის და სხ. დეზორგანიზატორული გამოსვლები პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების—ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის წინააღმდეგ, გადაჭრით გმობს ოპოზიციის გამთიშავ მოქმედებას, რომელნიც ბოლშევიკური პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ არის მიმართული და ამით ზიანს აყენებს პროლეტარიატის დიქტატურას ჩვენს ქვეყანაში.

იმ მომენტში, როდესაც პარტიის წინაშე სდგას სოციალისტური აღმშენებლობის უძნელესი ამოცანები, როცა მთელი პარტიული მასის და მუშათა კლასის ნებისყოფა და ყურადღება მიპყრობილია სამეურნეო აღმშენებლობის ურთულესი ამოცანების გადასაწყვეტად, გაკოტრებულმა პარტიის ყოფილმა ბელადებმა უპრინციპო ბლოკში გააერთიანეს პარტიის მიერ გაკიცხული ოპოზიციონური ჯგუფების ნამსხვრევები და სცდილობენ ჩაშალონ პარტიის შემოქმედებითი მუშაობა და მოახვიონ მას თავზე, მისი სურვილის წინააღმდეგ, ახალი დისკუსია.

ოპოზიციონური ბლოკი, რომელიც ტროცკიზმის იდეური ჰეგემონიის ქვეშ იმყოფება, არის ლიკვიდატორების წვრილ ბურჟუაზიული ბლოკი, რომელიც ბოლშევიკური ტაქტიკისა და ლენინის მოძღვრების წინააღმდეგ არის მიმართული. თავის ფრაქციულ მუშაობაში ოპოზიციის თავაშვებული ბელადები პარტიის ისტორიაში გაუგონარი თავხედობითა და უპრინციპობით არღვევენ ბოლშევიკურ დისციპლინის საფუძვლებს და ლენინის პრინციპი სურთ შესცვალონ ნახევრად მენშევიკური ტროცკისტური შეხედულებით.

ოპოზიციის ბელადები იყენებენ დაუშვებელ დემაგოგიურ საშუალებებს და ბრალს სდებენ საკავშირო კომპარტიის ცეკას გადაგვარებაში და ოპორტუნიზმში, ამავე დროს მფარველობას უწევენ ისეთ რენეგატებს, როგორიცაა ოსოვსკი, რომელიც თავისი შეხედულებებით პროლეტარული დიქტატ. ლიკვიდაციამდე და ბურჟუაზიულ დემოკრატიამდე მივიდა; ისინი კავშირში არიან აგრეთვე შლიაპნიკოვთან და მედვედევთან, რომელნიც აშკარა მენშევიკურ შეხედულებებს ქადაგებენ და ლაპარაკობენ კომინტერნის, პროფინტერნის ლიკვიდაციაზე და სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმებაზე.

ყველა ეს ფაქტები, ოპოზიციის მთელი გამთიშავი მუშაობა, მიუხედავად მისი მემარცხენე ფრაზებისა, ააშკარავებენ ოპოზიციონური ბლოკის წვრილბურჟუაზიულ არსებას, რომელიც ლენინიზმის წინააღმდეგ აწარმოებს მუშაობას. როგორც წინედ, ტროცკიზმთან ბრძოლის ხანაში, 1923 წელში და ახალი ოპოზიციის გამოსვლის დღეებში 1925—26 წელში, ისე ეხლაც ოპოზიციონური ჯგუფები სცდილობენ, რომ თავიანთ მიზნებისთვის გამოიყენონ ახალგაზრდათა კავშირი და ლენინური კომკავშირი დაუპირდაპირონ ბოლშევიკურ პარტიას. ამას მოწმობს ოპოზიციის ცდა ჩაება ფრაქციულ მუშაობაში ლენინგრადის ორგანიზაციის ცალკე კომკავშირელები, იგივე დასტურდება იმ ფაქტით, რომ მოსკოვის გუბერნიაში კომკავშირელები ჩაითრიეს ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობაში, მაგ. კომკავშირელი რეზცოვას ქალის საქმე, რომელიც საკავ. ლენინურ კომკავშირის მოსკოვის კომიტეტის მიერ კავშირიდან იქმნა გამორიცხული. ოპოზიციის ყველა ამ ცდებს, რომ დეზორგანიზაცია მოეხდინათ პარტიისა და კომკავშირის რიგებში, ერთხმოვანი და გადაჭრილი პასუხი შეხვდა ლენინგრადისა და მოსკოვის პარტიული მუშებისა და კომკავშირელების მხრივ. ოპოზიციის ბელადებს იმედი ქონდათ თავისი ყოფილი ავტორიტეტისა, მაგრამ სასტიკი მარცხი განიცადეს მუშა-ბოლშევიკებისაგან, რომლებმაც აშკარად განაცხადეს, რომ ისინი არ დაუშვებენ პარტიის მთლიანობის დარღვევას და იმ მუშაობის შეფერხებას, რომელიც სოციალიზმის აღმშენებლობისათვის სწარმოებს.

ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით წინააღმდეგია ოპოზიციის ცდისა, რომ დისკუსია მოახვიოს პარტიას და კომკავშირს და მოუწოდებს კავშირის ყველა ორგანიზაციებს მიბაძონ მოსკოვისა და ლენინგრადის კომკავშირელების მაგალითს და სასტიკი პასუხი გასცენ თავაშვებულ ოპოზიციონერების ჯგუფს.

საკავშირო ლენინური კომკავშირის ცეკა მოთხოვნილებით მიმართავს საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიას, რომ წესრიგისაკენ მოუწოდოს ოპოზიციის ბელადებს, რომელნიც თავიანთ ოპოზიციონური მუშაობით ხრწნიან პარტიას და კომკავშირს.

ოპოზიციის ანტიპარტიული მუშაობის საპასუხოდ ლენინგრადის კომკავშირი დარაზმავს თავის რიგებს პარტიისა და მისი ცეკას ირგვლივ, უფრო მეტის ენერგიით განაგრძობს თავის მუშაობას ახალგაზრდობის ლენინურ პრინციპების მიხედვით აღსაზრდელად და გარკვეულ ძალებით სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებებს.

ძირს გამთიშველები!

გაუმარჯოს პარტიისა და კომკავშირის მთლიანობას!

---

*) ეს დადგენილება შემოკლებით მოთავსებული იყო „კომუნისტი"-ს გუშინდელ ნომერში. დღეს ვბეჭდავთ მას სრულად.

საქ. ა. ლ. კ. კ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის რეზოლიუცია

განიხილა რა შინაპარტიული მდგომარეობა, საკ. ა. ლ. კ. კ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა აღშფოთებული გმობს ოპოზიციის გაკოტრებულ ბელადების უმსგავსო, გამთიშველ და ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში ჯერ არ გაგონილ საქციელს, მიმართულს საკავშ. კომ. პარტ. (ბ) მთლიანობისა და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირში.

ამხ. ტროცკის, ზინოვიევის, პიატაკოვის და ოპოზიციის სხვა წარმომადგენლების გამოსვლა პარტიულ კრებებზე მოსკოვსა, ლენინგრადსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. აგრეთვე კოტე ცინცაძის, მ. ოკუჯავას, პ. ზალუცკის, ლ. დუმბაძის და სხვა ოპოზიციონერების დემაგოგიური გამოსვლა თბილისში პარტიულ კრებებზე 8 ოქტომბერს; ცდა პარტიაში დისკუსიის გაჩაღებისა განსაკუთრებით მძიმე სამეურნეო და საერთაშორისო პირობებში, რომელშიც არის მოქცეული პარტია დღეს,—აუცილებლივ ცუდ გავლენას იქონიებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეზე, პროლეტარიატის დაკავშირებაზე გლეხობასთან და სოციალიზმის მშენებლობაზე.

ოპოზიცია თავის ბრძოლაში პარტიის ლენინური ხაზის წინააღმდეგ, როგორც წინედ, ისე ახლა სცდილობს ამ ფრაქციულ ბრძოლაში გამოიყენოს ა. ლ. კ. კავშირი.

როგორც მოსკოვსა და ლენინგრადში, ისე აქაც ოპოზიციონერები გამოდიან კომკავშირში. ამიერ-კავკასიის კომკავშირის ორგანიზაციები, ც. კ. და ცენ. საკონტრ. კომისიის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავების შემდეგ, სრულიად და მთლიანად, როგორც ყოველთვის, დადგნენ ლენინის პოზიციებზე ოპოზიციონური ბლოკის გამთიშველი ხაზის წინააღმდეგ, რომელსაც მეთაურობენ ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, პიატაკოვი და სხვ. კომკავშირი, ისევე, როგორც 1923-24 წელში, გააფთრებით იბრძოლებს ლენინიზმის ტროცკიზმით შეცვლის წინააღმდეგ, რაც უკვე დასახული ჰქონიათ ზინოვიევს და სხვებს.

შინაპარტიულმა მდგომარეობამ ჩვენი ორგანიზაციების წინაშე მეტი სიმწვავით და უფრო სერიოზულ ფორმაში დააყენა საკითხი ლენინიზმის შესწავლის გაძლიერებისა და კომკავშირში ლენინური იდეის მობილიზაციისა გადამწყვეტი ბრძოლის მიზნით მუშათა კლასის და მისი პარტიის — საქ. კომ. პარტ. (ბ) —საწინააღმდეგო იდეოლოგიასთან.

საკ. ა. ლ. კ. კ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მთლიანად და სავსებით უერთდება საკ. ა. ლ. კ. კ. ც. კ. ბიუროს ყველა გადაწყვეტილებას შინაპარტიული მდგომარეობის საკითხების შესახებ.

საკ. ა. ლ. კ. კ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი გადაჭრით გმობს ოპოზიციის ცდას, წინააღმდეგ პარტიის სურვილისა, პარტიას და კომკავშირს მოახვიოს თავზე დისკუსია, რომელიც ძირს უთხრის პარტიის შემოქმედებითი მუშაობას. საკ. ა. ლ. კ. კ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მოუწოდებს კავშირის ყველა ორგანიზაციებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ პარტიულ და კომკავშირის ოპოზიციონერებს მათ ცდაში გააჩაღონ დისკუსია, აწარმოონ კომკავშირში გამთიშველი მუშაობა და ამით ბოლშევიკურ პარტიას დაუპირდაპირონ ლენინური კომკავშირი.

საკ. ა. ლ. კ. კ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მიმართავს საქ. კომ. პარტ. (ბ) ცენტრ. კომიტეტისა და ა.-კ. საოლქო კომიტეტის თხოვნით ძირფესვიანად აღმოფხვრან ყველა თავაშვებულ ოპოზიციონერების გამთიშველი საქმიანობა, რომელმაც გადალახა ყველა საზღვრები და რომელიც შლის პარტიის ფოლადისებურ რიგებს. საქ. კომ. პარ. (ბ) წევრების—ზინოვიევის, ტროცკის, პიატაკოვის, ევდოკიმოვის, კამენევის და სხ. გაუგონარ ფრაქციულ ბრძოლას უნდა მოეღოს ბოლო ლენინის ცენტრალურმა კომიტეტმა სასტიკ პარტიულ სასჯელის დადების გზით, თუ ისინი არ შესწყვეტენ ფრაქციულ მუშაობას და არ დაემორჩილებიან პარტიის დადგენილებებს.

ოპოზიციის ფრაქციული გამოსვლის საპასუხოდ, ლენინურმა კომკავშირმა უფრო უნდა შეამჭიდროვოს თავისი ლენინური რიგები პარტიისა და მის ცეკას გარშემო.

ძირს ზედმეტი დისკუსია! გაუმარჯოს შემოქმედებითი მუშაობას სოციალიზმის გამარჯვებისათვის!

ძირს ფრაქციები! გაუმარჯოს ბოლშევიკური პარტიის მთლიანობას და სიმტკიცეს!

გაუმარჯოს პარტიის ბოლშევიკურ მოზარდ თაობას!

გაუმარჯოს ლენინის ცეკას!

საქართველოს კომორგანიზაციების ხმა

პარტიას არ სურს დისკუსია

როგორც აღნიშნული იყო „კომუნისტის" გუშინდელ ნომერში, ერთიან პარტიულ დღეს ოქტომბერს შესდგა ქალაქის სხვადასხვა რაიონების კომუჯრედების ჯგუფური კრებები, ასეთივე კრება შესდგა მესამე რაიონშიც, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. გუსეინოვი. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა მოხსენება ამხ. გუსეინოვისა პარტიის სამეურნეო პოლიტიკისა და საკავშირო კომპარტიის ც. კ. და ც. ს. კ. ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ ჯაგრის სახელოსნოს, სამშ. წისქვილის, ქალაქის პირველი საავადმყოფოს, ქალაქის აბანოების, სპეციალური დანიშნულების იზოლიატორის, საქართველოს სახელ. სათბობის, სატრიკოტაჟო ფაბრიკის, რადიო-სადგურის, ამიერ-კავ. სახელმწიფო ვაჭრობის, საკავშირო საფეიქრო სინდიკატის, ამიერ-კავკ. მებამბეობის კომიტეტისა და მეორე ზეთის ქარხნის უჯრედთა გაერთიანებული კრება—სცნობს ამ გადაწყვეტილებებს მიზანშეწონილად, და აღიარებს, რომ მათ მივყავართ უმოკლესი გზით სახელმწიფოს ინდუსტრიალიზაციისა და ჩვენი მეურნეობის სოციალისტური მეურნეობის განმტკიცებისაკენ. მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის გზით შეიძლება საქონლის ნაკლებობისა და მისგან გამომდინარე ყველა შედეგების ლიკვიდაცია.

ჩვენ დავასრულეთ ჩვენი მრეწველობის აღდგენის პროცესი, მივაღწიეთ ომის წინა დროინდელ ნორმის 95% და მრეწველობის ზოგიერთ დარგებში თითქმის გადავაცილეთ ომის წინა დროის ნორმასაც-კი.

ჩვენ უდიდესი მიღწევა გვაქვს საქონლის ბრუნვის საქმეში. საბითუმო ვაჭრობის 90% და საცალო ბრუნვის 61% სახელმწიფოსა და კოოპერატიული ვაჭრობის ხელშია. ახალი ამოცანები, რომლებიც პარტიის წინაშე სდგას სამეურნეო დარგში, მოითხოვს ძალების უაღრესად დაჭიმვას და უდიდეს ენერგიას.

ოპოზიცია შორდება ლენინის ხაზს და გადადის ტროცკიზმის გზაზე, როცა ის უარჰყოფს ჩვენი მრეწველობის სოციალისტურ ხასიათს და არ სწამს სოციალიზმის დამყარების შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში. ოპოზიციის მოთხოვნილება მრეწველობის გაძლიერების შესახებ გლეხებზე გაძლიერებული გადასახადებისა და საბითუმო ფასების გადიდების გზით—მიგვიყვანს ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის დანგრევამდე და ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის გაწყვეტამდე.

პარტიისა და მისი ხაზის წინააღმდეგ ოპოზიციის დემაგოგიურ გამოსვლის საწინააღმდეგოდ პარტიული მასა მჭიდროდ შეკავშირდება ლენინურ ცენ. კომ. გარშემო და სასტიკად გაილაშქრებს ოპოზიციონური ბლოკისა და მისი ცდის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია პარტიის საქმიანი მუშაობის ჩასაშლელად.

კრება აღშფოთებით გმობს იმ ფრაქციულ ბრძოლას, რომელსაც ოპოზიცია განაგრძობს—და რომელიც მიმართულია ხელმძღვანელ ორგანოების გადაწყვეტილებებისა და საერთოდ მთელი პარტიის წინააღმდეგ.

კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციის მიერ წამოყენებული დებულებები ფრაქციებისა და ჯგუფების თავისუფლად დაშვების შესახებ ჩვენს პარტიაში—არის ლენინური პრინციპებისა და პარტიის მშენებლობის უარყოფა.

აუცილებლად საჭიროა სასტიკად გალაშქრება იმ ერთი მუჭა დეზორგანიზატორ-ოპოზიციონერების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ პარტიის მთლიანობას მძიმე მომენტში. თუ საჭირო იქნება არ უნდა შევჩერდეთ მათი თუნდაც პარტიის რიგებიდან გამორიცხვის წინაშეც კი, ასეთია პარტიის ნება-სურვილი. კრება აღშფოთებით უარჰყოფს ოპოზიციის ცდას თავზე მოახვიოს პარტიას დისკუსია, რომელიც გამოიწვევს პარტიის საქმიანი მუშაობის დანგრევას.

ძირს ანტიპარტიული ოპოზიციონური ბლოკი!

გაუმარჯოს პარტიის ლენინურ მთლიანობას!

გაუმარჯოს ლენინიზმის მებრძოლ შტაბს საკავ. კომპარტიის ცენ. კომიტეტს.

შემჭიდროებული რიგები ოპოზიციის წინააღმდეგ

მოისმინა რა ამხ. ხ. ხანოიანის მოხსენება პარტიის ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ, სანიტარულ-ტეხნიკური მუშაკების, მტვირთავთა, მე-3 ქარხკომის, „გრუზშვეიპრომის" და მე-3 რაიონის მკერავთა კოლექტივის კომუჯრედების გაერთიანებული კრება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის დადგენილებას სთვლის სავსებით სწორად.

პლენუმი, თანახმად მე-14 პარტყრილობის გადაწყვეტილებისა, სამართლიანად აყენებს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის საკითხს, როგორც სოციალისტური მშენებლობის საფუძვლის, საკითხს. თავისი მხრივ ინდუსტრიალიზაცია წარმოუდგენელია სოციალისტური დაგროვების გარეშე, რაც შესაძლებელია ქალაქსა და სოფელს შორის ნორმალური ურთიერთობის დროს და რასაც ოპოზიცია უპირისპირებს საბითუმო ფასების აწევას და გლეხობის ზედმეტად დაბეგვრას. ეს მოთხოვნილებანი სრულიად მიუღებელია, ვინაიდან მათი ცხოვრებაში გატარება დიდ ზიანს მიაყენებდა მუშისა და გლეხის კავშირს.

კრება სასტიკად ჰკიცხავს და გმობს ოპოზიციის მოქმედებას ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და აღშფოთებულია ოპოზიციის ცდით გამოიწვიოს დისკუსია, რომელსაც შეაქვს უთანხმოება პარტიის რიგებში.

გაერთიანებული კრება აღიარებს, რომ მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებული ხაზით შესძლებს პარტიის შემჭიდროვებული რიგები იმ მძიმე საქმის წარმატებით განხორციელებას, რომელიც ჩვენს პარტიას დააკისრა ისტორიამ.

გაუმარჯოს მთლიან, ფოლადისებურ ლენინის პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მშენებლობას!

სამხედრო ორგანიზაციაში

ძირს ანტიპარტიული ოპოზიციონური ბლოკი

მოისმინა რა ამხ. ნემერლის მოხსენება ახალი ოპოზიციონური ბლოკის უკანასკნელ ფრაქციულ გამოსვლებისა და ოპოზიციის ანტიპარტიულ, არალეგალურ მუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის რიგებში, კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სამართველოთა უჯრედების კრება კატეგორიულად ჰკიცხავს ოპოზიციის მუშაობას, რომელსაც მივყევართ ლენინური პარტიის რიგების მთლიანობის დარღვევისაკენ.

კრება სთვლის, რომ დისკუსია მავნებელია პარტიისათვის, რადგან პარტიის მთლიანი შეკავშირებული რიგების. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სამეურნეო და საერთაშორისო დაბრკოლებათა დაძლევას და სოციალისტურ აღმშენებლობის წარმატებით მსვლელობის საქმეს.

კრება სთვლის რომ საკავშირო კომპარტიის ცეკამ და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ და საქართველოს კომპარტიის ცეკამ და ცენტ. საკონ. კომ. გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ, რათა ძირშივე იქნეს აღმოფხვრილი ოპოზიციის მუშაობა და ყოველგვარი ცდა გადატანილ იქნეს ოპოზიციის დამრღვევი მუშაობა წითელი არმიის რიგებში.

ფრაქციების და ჯგუფების წინააღმდეგ!

უსარგებლო დისკუსიების წინააღმდეგ!

საქ. კომპარტიის ფოლადისებურ მთლიანობისათვის—ლენინურ ცეკას ხელმძღვანელობით!

სამხედრო პარტორგანიზაციაში

გუშინ შესდგა კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სამხედრო პარტორგანიზაციების კრებები, ოპოზიციის იმ გამოლაშქრების განსახილველად, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარასკევს და რომელშიაც მონაწილეობდნენ ზოგიერთი სამხედრო მუშაკები—კომუნისტები.

სამხედრო პარტორგანიზაციამ გადაჭრით დაჰგმო ოპოზიციის გამოსვლები და გადასწყვიტა წესიერებისაკენ მოუწოდოს ოპოზიციის წევრებს.

მიღებულ რეზოლიუციებში ის პროტესტს აცხადებს ოპოზიციის ცდის წინააღმდეგ დისკუსია მოახვიოს თავზე პარტიას და ეს დისკუსია სამხედრო პარტორგანიზაციაშიც გადაისროლოს.

სამხედრო პარტორგანიზაცია მტკიცედ სდგას ლენინიზმის სადარაჯოზე.

მოგვყავს დამახასიათებელი რეზოლიუციები.

მტკიცეთ ბოლშევიკურ შტაბის გარშემო

სამხკომების, პარტბიუროების მდივნების და თბილისის გარნიზონის სპეც. ნაწილების უჯრედების მდივნების თათბირმა, მოისმინა რა ნემერზელის მოხსენება კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პარტორგანიზაციის შინაპარტიულ მდგომარეობაზე და განიხილა რა იგი ს. კ. პ. (ბ) შინაპარტიულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, სთვლის, რომ ის დიდი ამოცანები, რომლებიც სდგას პარტიისა და ქვეყნის წინაშე, მოითხოვენ პარტიულ მთლიანობის სიმტკიცეს და მისი რიგების შემჭიდროებას.

თათბირი ერთხმად ჰკიცხავს ოპოზიციის და მისი ლიდერების ფრაქციულ მუშაობას, რომელიც მიმართულია ხელმძღვანელ პარტორგანოების და მთელი პარტიის წინააღმდეგ. ოპოზიციის ჯგუფების გამთიშავი პოლიტიკის დაუშვებელი ფაქტები, სცილდებიან პარტიის მიერ დაშვებულ ბრძოლის მეთოდების საზღვრებს და აბუჩად იგდებენ პარტიას, პარტყრილობებს, ც. კ. და ცენტ. საკ. კომისიის და მათ გარდაწყვეტილებებს. თათბირი აღნიშნავს. რომ ყოვლად დაუშვებელია ასეთი მუშაობის წარმოება წითელ არმიაში, რომელიც ასუსტებს მის სამხედრო ძალას.

ოპოზიციონური მუშაობის გადატანა სამხედრო პარტორგანიზაციაში ჩაითვლება ბოროტმოქმედებათ, რომელსაც შეუძლია დაიყვანოს ნულამდე ის მუშაობა, რომელსაც აწარმოებენ სამხედრო ნაწილებში პოლიტიკური აპარატები და პარტიული ორგანიზაციები.

თათბირმა გაიგო რა, რომ ადგილობრივ ოპოზიციონერების გუშინდელ გამოსვლაში მონაწილეობას იღებდა ზოგიერთი სამხედრო ამხანაგები და აგრეთვე კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ერთ ერთი ხელმძღვანელი ამხ. ზალუცკი, სასტიკად ჰკიცხავს ამ ანტიპარტიულ მოქმედებას და მოითხოვს ს. კ. პ. (ბ) ცეკასაგან, სასტიკი ზომების მიღებას იმათ წინააღმდეგ, ვინც თავის ფრაქციონურ თავდაუწყებაში აყენებს ზიანს პარტიის მთლიანობას და საბჭოთა კავშირის დამცველის — წითელი არმიის მთლიანობას.

სრულიად დაუშვებელია ის გარემოება, რომ ზოგიერთი ამხანაგები ოპოზიციიდან, ეჭირათ რა მათ საპასუხისმგებლო პოსტები, შეგნებულათ ეწეოდენ საბოტაჟს და იყენებდენ თავიანთ გავლენას ფრაქციულ ბრძოლის მიზნით.

დარწმუნებულია რა იმაში, რომ ახალ ოპოზიციის ცდები — ააცდინოს პარტია პრაქტიკულ მუშაობის გზას და მოახვიოს მას უპასუხისმგებლო დისკუსია, იგემებს დამარცხებას ლენინურ პარტიის ფოლადისებურ რიგებში,—თათბირი მოუწოდებს ყველა პარტორგანიზაციებს უფრო მტკიცედ შეამჭიდროვონ თავისი რიგები პარტიის ლენინურ ცეკას ირგვლივ და სთქვან გარკვეული სიტყვა დისკუსიის და ოპოზიციის განმანადგურებელ ფრაქციონულ მოღვაწეობის წინააღმდეგ.

ლენინური მთლიანობა, ლენინურ-ბოლშევიკური დისციპლინა, — პარტიისათვის დაუშვებელი დისკუსიისა და დამღუპველ ფრაქციონულ მოღვაწეობის წინააღმდეგ, — ასეთია ჩვენი გზა. ამ გზით ივლის პარტია, ის დასძლევს შექმნილ სიძნელეებს და დარჩება მონოლითურ ლენინურ პარტიათ.

ძირს ახალი ოპოზიციონური ბლოკი!

გაუმარჯოს ს. კ. პ. (ბ) მთლიანობას!

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

15.000 მანეთის ეკონომია

პარკის დამზადების კამპანია საქართველოში უკვე თავდება და უნდა აღვნიშნოთ, რომ დამზადების გეგმა 120 პროცენტითაა შესრულებული. 160 ათას ფუთ საქონლის პროდუქციისაგან გამოვიდა 140 ათასი ფუთი ნედლი პარკი.. აქედან მეთესლეობისათვის გადაიდო 3.000 ფუთი. დანარჩენი 137 ათასი ფუთი გამოხრჩოლილი და გახმობილია ნაწილობრივ მექანიკურ წესით, ნაწილობრივ უბრალო ორთქლით.

როგორც ვიცით, საქართველოში პარკის დამზადების საქმე მარტოდ-მარტო კოოპერატიულ დაწესებულებათა ხელშია. ასეთები არიან საზ-ბა „აბრეშუმი" და აფხაზეთში—ა.-კ. კავშირი აფხაზეთის კავშირის საშუალებით. ხსენებულ ორგანიზაციებს რესპუბლიკის სააბრეშუმო რაიონებში მოწყობილი ჰქონდათ პარკის შესასყიდი პუნქტები, სადაც გადაჭრილ ფასებში 20—22 მ. ფუთი—ყიდულობდენ ნედლ პარკს ნაღდზე.

საზ-ბა „აბრეშუმის" მიერ გახმობილ პარკისაგან გამოვიდა 15 ათასი ფუთი ხმელი პარკი, აქედან 8.000 ფ. უნდა ამოახვიონ ძაფად ადგილზე [illegible], რომ ნედლი მასალა მიაწოდოს საკავშირო წარმოებას, დანარჩენი 7.000 ფუთი ევროპაში იქნა გატანილი.

უფრო მოსაგებია, რომ კაცმა პარკს ადგილობრივად უყოს რეალიზაცია, ვიდრე ის საზღვარგარეთ გაიტანოს. და სწორედ იმიტომაა, რომ პარკის დამამზადებელი ორგანიზაციები ხალისიანად არ თანხმდებიან პარკის საზღვარგარეთ გასატანათ ჩაბარებაზე.

აზერბეიჯანის ბაზრებზე გამხმარ პარკის ფუთი 140 მანეთამდე ფასობს. „აბრეშუმმა" თავის დამზადებ პარტიის ზედმეტი 5—6 ათასი ფუთი ადგილობრივათ 120 მანეთად გაყიდა ფუთი, იმ დროს როცა მილანისა და მარსელის ბაზრებზე გასასყიდად გაგზავნილ პარკში ფუთზე 93—95 მანეთზე მეტს ვერ აიღებს. აქედან გადაზიდვისათვის საჭირო ხარჯები რომ გამოვიდეთ, დარჩება ფუთზე 88 მანეთი. ასე რომ, საზღვარგარეთ გატანილი პარკი მოგების მაგიერ წრეულს ცოტათი გვაზარალებს კიდეც, თუ არ ვეცადეთ და არ შევამცირეთ თვითღირებულება საქონლისა.

საზ-ბა „აბრეშუმმა" უკვე გადადგა ნაბიჯები ამ მხრივ და იმის ცდამ კარგი ნაყოფიც გამოიღო.

საექსპორტო პარკი წინად ჯერ ბათომში იგზავნებოდა და იქ ინახებოდა საგანგებოდ ამისათვის დაქირავებულ საწყობებში, და სანამ გემზე არ დატვირთავდენ, მრავალგვარ ზედნადებ ხარჯს ეწეოდა. ეს ხარჯები უნდებოდა „აბრეშუმის" საგანგებო აპარატის შენახვას, ენდებოდა ბანკებს, რომელნიც პარკისათვის სესხს იძლეოდენ, გამზიდველ ორგანიზაციებს. საჭირო ხდებოდა დაზღვევა საქონლისა და სხ.

თავი რომ დავანებოთ, ზემოაღნიშნულ ზედნადებ ხარჯებს, რომელიც ფუთზე ორ მანეთამდე აღწევდა, არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ პარკს და ბარდანებს ვირთხები აფუჭებდნენ და საქონელს ფასს უკარგავდნენ.

იმ საექსპორტო კამპანიის დროს საზ-ბა „აბრეშუმმა" მოახერხა ყველა ამ დაბრკოლებათა დაძლევა. პარკი დასამზადებელ პუნქტიდან (სამტრედია) სამარშრუტო მატარებლებით ბათომში გადაგზავნა სწორედ გემის მოსვლის დღეს, ასე რომ საქონელი გემზე იტვირთებოდა პირდაპირ ვაგონებიდან.

აქ დართული ფოტოგრაფიული სურათები გვიჩვენებენ, თუ როგორ იტვირთება გემი სამარშრუტო მატარებლიდან. ასე რომ, საექსპორტო პარკის გადაგზავნა სამარშრუტო მატარებლებით და დაცლა პირდაპირ გემში უნდა ჩავთვალოთ უფრო მიზანშეწონილად და ერთად-ერთ საშუალებად, როგორც ზედნადებ ხარჯების შესამცირებლად, ისე პარკის დასაცავად გაფუჭებისაგან.

საქონლის ფრახტი ბათომ-მილანში, თანახმად მილანში საკავშირო სავაჭრო წარმომადგენელსა და საგემო საზოგადოება „ლოიდ-ტრიესტინის" შორის დადებულ პირობისა, ტონაზე 200 შილინგი იყო. საზ-ბა „აბრეშუმი" იმდენს ეცადა, რომ ეს ფრახტი 165 შილინგამდე ჩამოაყვანინა. მოლაპარაკება აგრეთვე გამართული იმის შესახებ, რომ ბარდანები, რომელიც ფუთზე მანეთზე მეტის ხარჯება, საქონლის ჩაბარების შემდეგ უკანვე დაბრუნდეს.

ამნაირად, „აბრეშუმის" მეცადინეობამ თვითღირებულების დაკლების შესახებ მიზანს მიაღწია და ყოველ ფუთ გაზიდულ პარკზე რამდენიმე მანეთის ეკონომიას ღებულობს. ხოლო სულად 15.000 ფუთ გაზიდულ პარკზე რამდენიმე ათი ათასი მანეთი დაგვრჩება.

მ. მ.

ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც ხრაო

როგორც მთავარი სახელოსნოები, აგრეთვე თბილისის საყუდის კანტორა ჩამორჩა ანგარიშების დროზე შედგენას და ჩაბარებას.

საყუდის კანტორის ჩამორჩენა აიხსნება იმით, რომ ზაფხულში ჩვეულებრივად იქნა მორიგ შვებულებებში განთავისუფლებული რამოდენიმე მოსამსახურე, და მათ მაგიერ ახლად მოწვეულ მოსამსახურეებმა დროზე ვერ ჩააბარეს სამასალო ნაწილის თვიური ანგარიშები, მაგრამ ოქტომბერში აუცილებლად უნდა იქნეს ჩაბარებული მთელი წლის ანგარიშები. ამის გამო საყუდის ადმინისტრაციამ მოითხოვა, რომ ყველა ჩამორჩენილი ანგარიშები გადაეცათ მოსამსახურეებისათვის ნარდად, რათა დროზე მოესწროთ ყველა ანგარიშების ჩაბარება. ეს იწვევდა ზედმეტ ხარჯს „ნაგრუზკის" სახით, მაგრამ არა უმეტეს 50 პროცენტის (ე. ი. თვიურად მოემატებოდათ მოსამსახურეებს ჯამაგირის გარდა 25-30 მან.). რკინის გზის სამმართველომ კი ვერ სცნო „მიზანშეწონილად" დაბალი მოსამსახურეებისათვის (10 კაცისათვის) გაეღო კრედიტი 300-500 მანეთამდე. ამით მოახდინეს ერთგვარი დაზოგვა.

ამავე დროს სულ სხვა სურათს ვხედავთ.

1. ცუკანოვი (მთავარ ბუღალტერი წევის სამსახურისა) ჯამაგირს ღებულობს სპეც-განაკვეთით, 250 მან.. ამის გარდა მან მიიღო სხვადასხვა სახით, როგორც მაგალითად „პერსპექტიული მუშაობის გეგმის" შედგენისათვის მაისში (უწყების სია № 735-ით) — 500 მანეთი. წლიური ანგარიშის შედგენისათვის ივნისში (უწყების სიის № 874) 370 მან. ბაქოს სახელოსნოების უწყების შესწორებისათვის აგვისტოში (უწყების სიის № 1231-ით) — 70 მან.

მისი თანაშემწე ზავგოროდნი ჯამაგირს იღებს სპეცგანაკვეთით 130 მან. გარდა ჯამაგირისა მან მიიღო წლიური ანგარიშების შედგენისათვის ივნისში (უწყების სია № 814-ით) 225 მან.. რაღაც ახალი სამუშაოსათვის აპრილში (უწყების სია № 621) 130 მან.

მეორე თანაშემწე ორჯენცევი ჯამაგირს ღებულობს სპეც განაკვეთით 140 მან. წლიური ანგარიშის შედგენისათვის ივნისში მან მიიღო (უწყ. სია № 814-ით) 300 მან. ბაქოს მთავარ სახელოსნოს წლიური ანგარიშის შედგენისათვის აგვისტოს (უწყების სიის № 1231) 50 მან.

ინჟენერი მანდენოვიც ჯამაგირს ღებულობს სპეცგანაკვეთით—250 მანეთს. წლიური ანგარიშის ვითომდა შედგენისათვის მიიღო ივნისში (უწყების სია № 814-ით) 250 მან. სულ დახარჯულია 2-3 თვის განმავლობაში ორ-სამ „სპეცზე" 2.665 მან. მარტო წევის სამსახურის დარგში და ანალოგიურად ამნაირი ჯილდო სხვა დარგებშიაც ბლომადაა გაცემული. დაბალ მოსამსახურეებისათვის კი ენანებათ 300-500 მანეთის მიცემა.

აქ ძალაუნებურად იბადება კითხვა. რისთვის აძლევენ ჯამაგირს სპეცგანაკვეთით, თუ ყოველ სხვადასხვა ანგარიშებში და მუშაობაში ცალკე აჯილდოვებენ ჩვენ სპეცებს, როდესაც ყველა ზემოხსენებული სამუშაოები შედის მათ ფუნქციაში და სწორედ იმიტომ აძლევენ სპეცგანაკვეთით ჯამაგირს?

ლიაპისი.

მოკლე გზით მომხმარებლისაკენ

(ფასების დაკლების გამო)

საცალო ფასების დაკლების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული საქონლის ბრუნვის მომწესრიგებელ აპარატის რაციონალიზაციასთან, რის გარეშეც შეუძლებელია მომჭირნეობის რეჟიმის გატარება, ფასების დაკლება და საერთოდ მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტის მიღება. თუმცა მთელი რიგი პირობებისა ხელს უწყობს სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის საქონლის გამტარებელ აპარატს, მაგრამ საქონლის დანიშნულების ადგილამდე გატარება ძვირი ჯდება. ამ.-კავკ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატმა გამოარკვია ამის მიზეზები და დასახა მთელი რიგი ღონისძიებათა ზედნადებ ხარჯების გამომწვევ მიზეზების თავიდან ასაცილებლად.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა საქონლის გამტარებელ ქსელის აპარატის გამარტივება იმ მიზნით, რომ შემოკლდეს საქონლის მოძრაობის გზა მწარმოებლიდან მომხმარებლამდე. ამიტომ საჭიროა საქონლის ბრუნვიდან იმ ორგანიზაციების სრულიად გამორიცხვა, რომელთაც არა აქვთ პირდაპირი კავშირი ვაჭრობასთან და რომლებიც მოგების მიზნით ძვირად ჰყიდიან საქონელს. შემდეგ საჭიროა სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის მმართველობის აპარატის გამარტივება და მოსამსახურეთა პირადი შემადგენლობის გადასინჯვა.

წესად შემოღებულ უნდა იქნას აგრეთვე, რომ ამა თუ იმ საქონელზე ფასების დაკლების დროს, ორგანიზაციებმა არ აუწიონ სხვა ჯგუფის დაუნორმავ საქონლის ფასი.

იაფი საქონელი მომხმარებელს

(„ცეკავშირის" მასალებიდან)

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებამ საცალო და საბითუმო საქონელზე ფასების შემცირების შესახებ, იმ თავითვე მიიქცია საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირის ყურადღება, როგორც ვიცით საცალო ფასების შემცირება უმთავრესად ტარდება საწვრიმალო საქონელზე. ზოგიერთ პროდუქციაზე იგი 10% მცირდება.

ფასების დაკლების კამპანიის ჩატარება „ცეკავშირმა" სექტემბერში დაიწყო. ამ ხნიდან მუშაობა ტარდება როგორც ცენტრებში, ისე სოფლად. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა საქონლის სოფლისადმი იაფ ფასებში მიწოდებას. ამის გამო „ცეკავშირმა" გამოიმუშავა სავალდებულო ნორმები საქონლის ფასებზე, რომელიც დაეგზავნა თვითეულ კოოპერატიულ ორგანიზაციას. ახალ ნორმების მიხედვით, გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ კოოპერატივის მოგება წლიურათ არ უნდა აღემატებოდეს მისი ბრუნვის 3-4 პროცენტს. ასეთი ნორმა მიღებული იყო საკავშირო მასშტაბით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფასების გაიაფებას მანუფაქტურაზე.

ფასების დაკლების კამპანია ქალაქებში უკვე ჩატარდა. ამჟამად იგი ტარდება სოფლის კოოპერატივებში.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

ერთი არანორმალობის წინააღმდეგ

ჩვენ გვქონია შემთხვევა აღგვენიშნა, რომ მუშა-მოსამსახურეთა ხშირი გადაყვან-გადმოყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე ერთობ დიდ ზიანს აყენებს წარმოებას. ჯერ ერთი ასეთ პირობებში მუშაკი მოკლებულია საშუალებას საფუძვლიანად შეისწავლოს ერთხელვე დაწყებული სამუშაო, რომ საბოლოოთ თავის საქმის მცოდნე დარჩეს. გარდა ამისა მუშა-მოსამსახურის ხშირად გადაყვანა ზედმეტ ხარჯათ აწვება დაწესებულების სალაროს. სამგზავრო ფული; სამუშაო დროის გაცდენა, დღიურები და სხვა.

ყოველივე ეს დასაშვებია, როცა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა გამოწვეულია რაიმე გადაუდებელ საჭიროებით. მაგრამ საქმე ისაა, რომ ხშირად გადაყვან-გადმოყვანა ხდება სრულიად უსისტემოდ და მოუფიქრებლად. ამ საკითხზე ჩერდება გაზ. „გუდოკი", რომელიც სწერს:

„ჯერ კიდევ სანამ მომჭირნეობის კამპანია დაიწყებოდა, ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა მუშა - მოსამსახურეთა მეტად ხშირი გადაყვან-გადმოყვანის დაუშვებლობაზე... ამისდა მიუხედავად სულ მეტი და მეტი ცნობები მოდის ადგილებიდან მუშაკთა უთავბოლო გადაყვან - გადმოყვანის შესახებ. ამნაირად ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლება გრძელდება, აქა-იქ კი ეს მოვლენა პირდაპირ ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს.

გაზეთს ამის შემდეგ მოჰყავს ერთი მეტად დამახასიათებელი ფაქტი პატარა სადგურ კუზინოს ცხოვრებიდან. ამ სადგურზე გაზეთის სიტყვით იმდენად ცოტა მუშა-მოსამსახურეებია, რომ ისინი კარგად იცნობენ არა მარტო ერთმანეთს, არამედ ერთი მეორის ოჯახებს და ნათესავებსაც. ასეთ პატარა სადგურზე:

„1925 წლის ნოემბრიდან 1926 წლის მაისამდე, ე. ი. ექვსი თვის განმავლობაში ოცჯერ მოხდა მუშა-მოსამსახურეთა გადაყვან-გადმოყვანა. და ისიც მხოლოდ მოძრაობის დარგში. არის შემთხვევები. განაგრძობს გაზეთი, რომ გადაყვანა საჭიროა, მაგრამ, როცა ის ღებულობს ავადმყოფობის ხასიათს, ეს უკვე აღარაფერს არ იმსახურება... პროფკავშირებმა უნდა შეამოწმონ. მეტის მეტ ერთგულებას ხომ არ იჩენენ ჩვენი ადმინისტრატორები მუშა-მოსამსახურის გადაყვანაში, პროფკავშირებმა უნდა მიიღონ ზომები ამ არანორმალობის აღმოსაფხვრელად".

სანერგე კოჯორში

მიწათმოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილება შეუდგა კოჯორის ახლო ახალი ტყის სანერგეს მოწყობას. ჩამოტანილია და დაითესება სხვადასხვა ტყის ჯიშების თესლები, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთიდან მოტანილი.

სანერგეს მიზანია უმთავრესად დეკორატიულ მცენარეების მოშენება.

ამავე დროს, სატყეო განყოფილება შეუდგა კევის ხის მოშენებას და დაცვას შიო-მღვიმის მონასტრის და ავჭალა-ყარაიას რაიონებში.

ტყის მოშენების საქმის სახელმძღვანელოდ და ტყის კულტურის დასაცავათ სატყეო განყოფილების მიერ მოწყობილ იქნა რესპუბლიკის რამოდენიმე ადგილას კურსები. ამჟამად ასეთი კურსები მოწყობილია კოჯორში, სადაც მეცადინეობა დამთავრდება 11 ოქტომბერს.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი

(საქ მ.-მ. ინსპექციის მასალებიდან)

საქ. მ.-გ. ინსპექციამ დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გამოკვლევა.

გამოირკვა, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საქმე, რომელიც პირველად 1924 წელში მოეწყო, ჯერჯერობით ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე.

საქართველოს სამეურნეო ბანკს, რომელიც განაგებს ამ საქმეს, მოწყობილი აქვს სესხის მიმწოდებელი ქვედა საკრედიტო ქსელი, რომელშიაც შედის 122 საკრედიტო ამხანაგობა. ამხანაგობათა რიცხვი ძალიან მცირეა, რადგან ჩვენში ითვლება 42.000-ზე მეტი მეურნეობა; ამიტომ საჭიროთ იქნა ცნობილი, რომ ქსელი ყოველწლიურად გაფართოვებული იქნეს 10 პროც-ით.

არსებული ამხ-ბები არ არიან უზრუნველყოფილი საქმის მცოდნე და გამოცდილი მუშაკებით, ბინებით, ინვენტარით და სხვა, რაც ხელს უშლის თანხების მიზიდვას და ოპერაციების ზრდას. ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით, საჭიროთ იქნა ცნობილი შესაფერი კურსების მოწყობა, ბინის საკითხის მოგვარება და სხვა.

ამხ-ბებს ცენტრიდან არ აქვს საკმაო ხელმძღვანელობა. ანგარიშები და საქმის წარმოება ამხ-ბებში მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. მნიშვნელოვან ოპერაციების წარმოებაში ამხ-ბებს, მცირე გამონაკლისის გარდა, ემჩნევათ გამოუცდელობა, გაუბედაობა და უინიციატივობა რისთვისაც საჭიროთ იქნა ცნობილი მაზრებში, ან სათანადო ეკონომიურ რაიონებში, საკრედიტო ამხ-ბათა კავშირის დაარსება, რომელსაც უნდა დაევალოს კავშირში შემავალ ამხ-ბების ხელმძღვანელობა და საჭირო დახმარების აღმოჩენა.

საქმეს ხელს უშლის აგრეთვე თანხების სიმცირე და მათი უგეგმოთ განაწილება.

საკრედიტო ამხ-ბები აერთიანებენ 45.000-მდე წევრს, ე. ი. კომლთა საერთო რიცხვის 11 პროც., აფხაზეთის გამოკლებით; მთელი წლის განმავლობაში გაცემული სესხის რაოდენობა არ აღემატება გახსნილ კრედიტების 50 პროც..

1924-25 წლის განმავლობაში საკრედიტო ამხ-ბებს მიღებული ჰქონდათ ბანკიდან გრძელვადიანი და მოკლე ვადიანი სესხის სახით 2.004.670 მანეთი ფულათ თუ საქონლით. საქონლის სახით ამხ-ბები იღებენ სოფლის მეურნეობისათვის უცილებელ მასალებს და იარაღებს. აღმოსავლეთ საქართველოსათვის ფორზონის სისტემის ტრაქტორების მიწოდებას მ.-გ. ინსპექციის კოლეგია ვერ სცნობს მიზანშეწონილად, ვინაიდან ეს სისტემა დასავლეთ საქართველოში არსებულ ბუნებრივ პირობების გამო სოფლის მეურნეობას ვერ მოუტანს სარგებლობას.

საკრედიტო ამხ-ბებს ჯერ კიდევ ვერ მოუწესრიგებია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საქმე; მ.-გ. ინსპექციის კოლეგიამ საჭიროდ დაინახა, რომ პროდუქტების დამზადება-გასაღება კოოპერატიულ პრინციპზე იქნეს დამყარებული და თუ ეს პირველ ხანებში არ მოხერხდება, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, მწარმოებელს მიეცეს დივიდენდი წმინდა მოგების არა ნაკლებ 50 პროც-სა, რომ გლეხმა ნათლად დაინახოს განსხვავება ამხ-ბებისა და სხვა სავაჭრო ორგ. შორის.

საკრედიტო ამხ-ბაში მიღებისთანავე ყოველ წევრს ეხსნება კრედიტი 200 მანეთამდე; აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წევრებათ შედიან საშუალო გლეხების 80 პროც., შედარებით მდიდარ გლეხების 10 პროც. და ღარიბი გლეხების მხოლოდ 10 პროც., რაც აიხსნება იმით, რომ ღარიბებს ეძნელდება პაის და საწევრო გადასახადის შეტანა; ამიტომ მ.-გ. ინსპექციამ საჭიროდ დაინახა, რომ 1) სახელმწიფოს დახმარებით გაძლიერებული იქნეს ამხ-ბების ძირითადი თანხები, 2) რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტში და სას.-სამეურნეო ბანკში შექმნილი იქნეს სპეციალური ფონდი ღარიბ გლეხობისათვის სესხის მისაცემად, 3) სოფლის კოოპერატიულ და საკრედიტო ამხ-ბათა მოგების ანარიცხებიდან შეიქნეს სპეციალური ფონდი, საიდანაც ღარიბ გლეხობას უნდა მიეცეს საპაიო თანხა და 4) ყოველგვარი გრძელვადიანი სესხი მიეცეს უმთავრესად ღარიბ გლეხებს და საწევრო და საპაიო გადასახადების გადახდა გაუნაწილდეს მათ 2-3 წლით.

ამხ-ბებში ადგილი აქვს წევრის მიერ სესხის არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, საჭიროთ იქნა ცნობილი, რომ ბანკმა და ამხ-ბებმა თვალყური ადევნონ სესხის მიზნობრივად გამოყენებას.

საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხ-ბების შემოღებას ჩვენში, როგორც გამოკვლევამ დაამტკიცა, შედეგათ მოჰყვა გლეხის მეურნეობის საგრძნობლად გაუმჯობესება; კრედიტს მომავალშიაც ფართო მნიშვნელობა მიეცემა, თუ ამხ-ბები უფრო კარგათ გაიგებენ თავიანთ მოვალეობას და გლეხობაში მოიპოვებენ შესაფერ ავტორიტეტს.

რაჭა-ლეჩხუმში

(საუბარი ამხ. ა. გეგეჭკორთან)

გლეხობის მონაწილეობა საბჭოთა აღმშენებლობაში.—სოფლის ეკონომიურ-კულტურული აღორძინება.— ცაგერ - ორბელის გზა.—გლეხობის თვითმოქმედება.—სოფლის მეურნეობის აღდგენა.—კოოპერაციის გაძლიერება.—მშენებლობა ქალაქებში.

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში მოგზაურობიდან თბილისში დაბრუნებულს, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და მიწადმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. **ა. გეგეჭკორს,** რომელმაც განაცხადა შემდეგი:

— რაჭა-ლეჩხუმი მე უკანასკნელად 1923—24 წლებში დავიარე. მას აქეთ ამ მაზრების მდგომარეობას დიდი წარმატება ემჩნევა.

ყურადღებას იქცევს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა და მთელი მოსახლეობის მხურვალე მონაწილეობა საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგში.

ადგილობრივ მშრომელი გლეხობის განწყობილება შესამჩნევად გაუმჯობესებულია. მან თავისი თვალით ნახა, რა უპირატესობას ანიჭებს მშრომელთ საბჭოთა წყობილება, რა რიგ ზრუნავს მათთვის მუშათა და გლეხთა მთავრობა, და თვითონაც გულმხურვალედ ჩაება საბჭოთა აღმშენებლობაში.

სოფლებში ათ სახლში თითქმის ერთი მაინც ახლად აგებულია, სწრაფად ვითარდება საზოგადოებრივი მშენებლობა —აღდგენილია ძველი და შენდება ახალი სასწავლებლები, საავადმყოფოები, სახალხო სახლები, შეკეთებულია ძველი და შენდება ახალი ხიდები, ამოძრავებულია ძველი ხე-ტყის სახერხი, აგურის, კრამიტის ქარხნები, აშენებენ ახალ ქარხნებს.

განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას გზათა მშენებლობა. მაგალითად, აკეთებენ ახალ გზას ცაგერიდან ორბელამდე, 13 ვერსის მანძილზე. გზა კეთდება ულრან კლდეებზე, იქ, სადაც თხებსაც—კი უჭირდათ გავლა. ამ გზის მნიშვნელობა მეტად დიდი იქნება, იგი გამოსავალს მისცემს ეკონომიურად ჩამორჩენილს მხარეს. ამავე დროს წარმოებს მუშაობა ძველი დანგრეული გზის შესაკეთებლად ორბელიდან ალპანამდე—ოსეთის სამხედრო გზასთან შეერთებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ეს საშვილიშვილო საქმე ადგილობრივ მშრომელი გლეხობის ინიციატივით, საკუთრივ მისს ხარჯზე სრულდება. სახელმწიფო მხოლოდ ხელმძღვანელობს საქმეს, იძლევა ასაფეთქებელ მასალას და სხვ. საქმის მთელი სიმძიმე ადგილობრივ მოსახლეობას აწევს. გზის გასაყვანად ყოველ დღე 500—600 კაცი მუშაობს, სრულიად უსასყიდლოთ, თავდადებულად იწევა მძიმე ჰაპანს, რადგან ხედავს, რომ მისი შრომა იმ საქმესა ჰხმარდება, რაც მისს მუდმივს ოცნებას შეადგენს, რომ გზის გაყვანით ადგილობრივ ნაწარმოებს ფართო ბაზარზე გასავალი მიეცემა.

ჯერ ერთი დიდი გზის გაკეთება არ გაუთავებიათ და სხვაზედაც ოცნებობენ. ჩემთან გამოცხადდენ ზუბი-ყურეშის და სხვა სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენელნი, მთხოვეს ვეშუამდგომლო, რათა მათ ნება დართონ გზის გასაკეთებლად ცაგერიდან ხონამდე. ადგილობრივი ხელისუფლება ამის ნებართვას არ იძლევა ცაგერ-ორბელის გზის დამთავრებამდე.

სასიამოვნოა, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, მაზრისაც, სოფლისაც, დიდს ყურადღებას აქცევენ სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეს. სხვადასხვა ადგილას გაშენებულია სანერგეები, საცდელ-საჩვენებელი მინდვრები და სხვ. ორსავ მაზრაში სწარმოებს, იქნებ ზოგან სტიქიური, მაგრამ, საერთოდ, სწორი ეკონომიური დარაიონება, სოფლის მეურნეობის ადგილობრივი მთავარი დარგების მიხედვით.

პირველად ეყრება საძირკველი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას მევენახეობა-მეღვინეობის, მესაქონლეობის და მეფუტკრეობის დარგში, მტკიცდება და ვითარდება სამომხმარებლო კოოპერაციის დაწესებულებათა ქსელი.

ქალაქადაც გაცხოველებული აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს. ძველ შენობებს ანგრევენ, ახლებს აშენებენ, კომუნალურ მეურნეობათაგან დამტკიცებულ გეგმებით, ვაჭრობასაც ეტყობა გამოცხოველება, ყველგან სჩქეფს სიცოცხლე, გაცხოველებული საქმიანობა.

საერთოდ, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრების დღევანდელი მდგომარეობა ვერ შეედრება იმას, რაც აქ ორი-სამი წლის წინ იყო. ყველგან შესამჩნევ წინსვლასა და უდავო გაუმჯობესებას აქვს ადგილი. ადგილობრივ ხელისუფლებას დიდი მიღწევები აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასო აბაშიძის გარდაცვალება

გუშინ, დღის 3 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკაში (ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფო) გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ვასო აბაშიძე

ავადმყოფობის ისტორია

ქირურგიული კლინიკის ცნობა

სახალხო არტისტი, ვასო აბაშიძე სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკაში მოყვანილი იქნა მიმდინარე წლის 23 სექტემბერს მეტად მძიმე მდგომარეობაში შარდის ბუშტიდან სისხლის დენის და გულის მოქმედების დაცემის მოვლენებით.

მესამე დღეს სისხლის დენის მოვლენები ავადმყოფს შეუწყდა და მისი საერთო მდგომარეობა რამოდენიმეთ გაუმჯობესდა; შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა თანდათანობითი საერთო სისუსტით და გულის მოქმედების დაცემით შეიცვალა, რისგანაც ის გარდაიცვალა 9 ოქტომბერს, დღის 3 საათზე.

კონსილიუმმა, რომელსაც დაესწრნენ პროფ. მაჭავარიანი, პროფ. ალადაშვილი და მიქელაძე დაადასტურა საშარდე ბუშტის გემორაგიული ანთება, თირკმელების მენჯის ჩირქოვანი ანთება და საერთო მდგომარეობის პროგრესიული დაქვეითება, გამოწვეული მოხუცებულობით.

ვასო აბაშიძე

(ბიოგრაფიული ცნობები)

ვასილ ალექსის ძე აბაშიძე დაიბადა 1854 წელს. მამა მისი მასწავლებელი იყო. დედა ანასტასია შატკოვსკაია ტომით რუსი,—მაგრამ ქართულის კარგათ მცოდნე. ქართული ენა პატარა ვასოს პირველად დედამ შეასწავლა.

ვასო აბაშიძე სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, რომელიც მან ბრწყინვალეთ გაათავა. გიმნაზიაში ვასო აბაშიძის უახლოესი ამხანაგები იყვენ ალექსანდრე სუმბათაშვილი—იუჟინი და ვლ. ნემიროვიჩ—დანჩენკო.

გიმნაზიის გათავების შემდეგ ვასომ პროფესიად აირჩია მამის ხელობა—მასწავლებლობა; მასწავლებლობდა შუშაში, ყაზახში და ერთ ხანს ქუთაისში.

ვასო აბაშიძის სიყმაწვილეში თბილისში ქართული თეატრი უკვე აღარ არსებობდა. ვორონცოვის მიერ დაარსებული ქართული თეატრი, ვორონცოვის წასვლის შემდეგ ჩაკვდა. დარჩა რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლებიც იმავე ვორონცოვის მიერ იყო დაარსებული.

ამ ორმა თეატრმა იქონია უდიდესი გავლენა ვასო აბაშიძეზე; მათი ზეგავლენით ვასომ მიატოვა მასწავლებლობა და გადასწყვიტა შექმნა ქართული თეატრი, სადაც ის ჯერ სცენის მოყვარეთ შევიდა და შემდეგ კი ჩვენი სცენის ბუმბერაზათ გახდა.

რუსულ დასში იმ ხანებში ირიცხებოდენ ისეთი მომავალი დიდი მსახიობები, როგორიც იყო: ლენსკი, იაბლოჩკინი, გრადოვო-სოკოლოვი, პრავდინი და სხვები. თეატრის რეპერტუარი შესდგებოდა უმთავრესად ოსტროვსკის, სუხოვო-კობილინის და გრიბოედოვის კომედიებისაგან.

იმ ხანებში გიორგი ერისთავის მიერ შექმნილი თეატრი აღარ არსებობდა. პირველი ქართული დასი დაიშალა. ვასო აბაშიძე პირველად სცენაზე გამოვიდა 1875 წელს. ამ დროიდან 1878 წლამდე ქართული წარმოდგენები დროგამოშვებით იმართებოდა, 1878 წელს კი ქართული წარმოდგენების გასამართავად დაარსდა მუდმივი წრე, რომელშიაც შედიოდენ: ბაბო ავალიშვილი, ელენე ყიფიანი, მარიამ ყიფიანი, ბაბო კორინთელი, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი. აქვს. ცაგარელი, ზ. მაჩაბელი, ნ. შიშნიაშვილი და სხვები. ამ წრემ 1878—79 წლის სეზონში გამართა 13 წარმოდგენა.

აქ მოწვეული იქნა ვასო აბაშიძე, მაგრამ ეს ადამიანი, რომელმაც პირველ დღიდანვე შექმნა სული და გული ახალი ქართული თეატრისა, მარტო არ მოსულა წრეში. მან თან მოიყვანა, როგორც მსახიობი და როგორც თავისი ცოლი, მარიამ საფაროვისა, რომელიც ადრევე თამაშობდა სცენის მოყვარეებთან.

დაახლოვებით ამავე დროს შევიდა ამ დასში მეორე დიდი მსახიობი ქალი, ნატო გაბუნია, შემდეგ—გუნია და ლადო მესხიშვილი და, ამრიგად, ჩამოყალიბდა ახალი თეატრი, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა მუდმივ ქართულ თეატრს.

ვასო აბაშიძე ჩვენს სცენაზე პირველად გამოვიდა ოსტროვსკის პიესაში. თავიდანვე მის საყვარელ რეპერტუარად შეიქნა ოსტროვსკის, მოლიერის და გრიბოედოვის კომედიები, შემდეგ აქვს. ცაგარლის და სხვა ქართველი დრამატურგების პიესები.

1902 წელს, როდესაც ვასო აბაშიძემ თავისი მოღვაწეობის 25 წლის იუბილე იდღესასწაულა, მის რეპერტუარში ითვლებოდა 209 როლი, რიცხვი, რომელიც შემდეგში უფრო გაიზარდა. თავისი ფართო რეპერტუარით მან შეაყვარა ხალხს თეატრი. ის გახდა ნამდვილ სახალხო არტისტად.

ვასო აბაშიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე ქართული დრამატურგიისა და საერთოდ ლიტერატურის წინაშე. მას დაწერილი აქვს ორიგინალური პიესები—„ვისი ბრალია“, „ცოლი თუ გნებავთ—ეს არის“, „ტასიკო“, ნათარგმნი აქვს 24 პიესა, რომლებიც ყველა ნათამაშევია ქართულ სცენაზე; მან გამოსცა გაზეთი „თეატრი“ და ამით პირველმა ჩაუყარა საძირკველი თეატრალურ ლიტერატურას ჩვენში. დაბეჭდილი აქვს აგრეთვე რამოდენიმე კრებული („პანთეონი“, „ჩვენი თეატრი“ და „ჩანგი“).

ამას გარდა, ვასო აბაშიძემ ქართულ სცენას მისცა ორი დიდი მსახიობი—მარიამ საფაროვ-აბაშიძისა და ტასო აბაშიძე.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მოხუცებულობის გამო იგი ჩამოშორდა სცენას; მისი უკანასკნელი გამოსვლა იყო კინო-სურათი „ხანუმა“-ში.

1922 წელში საბჭოთა ხელისუფლებამ ვასო აბაშიძეს გადაუხადა 50 წლის მოღვაწეობის იუბილე და მიანიჭა მას სახალხო არტისტის წოდება.

ვასო აბაშიძე იყო პირველი, რომელმაც მიიღო საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება.

ბ. დ.



ვასო აბაშიძე

ქართულ თეატრს გლოვის დღე დაუდგა: გარდაიცვალა უძველესი ვეტერანი, სული და გული ქართული სცენის, სახალხო მსახიობი ვასო აბაშიძე!

ვასო აბაშიძე — ეს მთელი ეპოქაა სათეატრო ხელოვნების ისტორიაში: მის სახელთან ორგანიულათ დაკავშირებულია ქართული თეატრის მთელი ისტორია.

სამართლიანათ აღნიშნავენ, რომ ვასო აბაშიძე არ იყო არას დროს სცენის მოყვარე, ის თავიდანვე ნამდვილ მსახიობათ მოევლინა სცენას: როგორც ლეგენდარულმა პიროვნებამ მან ერთბაშათ იგრძნო სცენა, და მით იქცა დიდ მსახიობათ. მან შექმნა კომედიის განსაკუთრებული ჟანრი. ამის და მიხედვით მან გაამრავალფეროვანა და გაამდიდრა თავისი რეპერტუარი.

ცოცხალი და ჯანსაღი სიცილი—აი, რას აძლევდა ვასო აბაშიძე სათეატრო აუდიტორიას; ხალხმა შეიყვარა ვასო აბაშიძე, რადგანაც ის თავისი მხატვრული იუმორით და შესაფერისი რეპერტუარით გასაგები და მისაწვდომი ხდებოდა მშრომელთა ფართო მასებისათვის: ის ფაქტიურად იყო სახალხო მსახიობი, ხოლო მშრომელთა ხელისუფლებამ მას ოფიციალურადაც დაუკანონა ეს საპატიო სახელწოდება.

მართალია, ქართულ თეატრმა დღეს წინ გაუსწრო ვასო აბაშიძის სათეატრო ტრადიციებს, მაგრამ აკადემიური დრამის დღევანდელი რენესანსი იმ გულწრფელობის კულტურითაც აიხსნება, რითაც ხასიათდება ვასო აბაშიძე, როგორც მსახიობი, და რითაც უნდა ცოცხლობდეს,არსებობდეს სცენის ყოველი მუშაკი.

შ. დუდუჩავა.

დამკრძალავი კომისია

მთავრობამ დაავალა განათლების კომისარიატს შეადგინოს კომისია რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვასო აბაშიძის დაკრძალვის წესის შესამუშავებლათ.

დაკრძალვის ხარჯებს კისრულობს მთავრობა.

კომისიის შემადგენლობა

დამკრძალავი კომისია შედგენილია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — დ. კანდელაკი, წევრები—შ. დუდუჩავა, კ. მარჯანიშვილი, ა. ახმეტელი, ნ. გოცირიძე, შ. დადიანი, კ. მაყაშვილი, ტ. ტაბიძე, ზ. ფალიაშვილი, აკ. ვასაძე, მ. ქორელი, ალ. იმედაშვილი, გ. ბუხნიკაშვილი და ი. გედევანიშვილი.

კომისიის პირველი სხდომა შესდგება დღეს ხელოვნების განყოფილების ბინაზე, სახელმწიფო ოპერის შენობაში.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აჭარისტანი

სუბტროპიკული ბოსტნეული

ბათომი, 9 ოქტომბერი. მიმდინარე წელში ბოტანიკურ ბაღში და კერძო მებაღეებმა აწარმოეს სუბტროპიკული ბოსტნეულის მოშენება, მაგ. ბატალას (ტკბილი კართოფილი), ფაზეოლას (ლობიოს მსგავსი მცენარე) და სხვა. ცდებმა დაამტკიცა, რომ სუბტროპიკული ბოსტნეულის მოშენება შესაძლებელია ფართე მასშტაბით.

კოოპერატიულ ამხანაგობები

ბათომი, 9 ოქტომბერი. უკანასკნელ ხანებში აჭარის-წყალისა და ქედის მაზრებში მოეწყო მერძევეთა რამოდენიმე ამხანაგობა კოოპერატიულ საფუძველზე, რომლებმაც შეიძინეს კოლექტიური სარგებლობისათვის სასოფლო-სამეურნეო ბანკის დახმარებით 30 სეპარატორი.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოწერა

ბათომი, 9 ოქტომბერი. აჭარის სასოფლო-სამეურნეო ბანკი აწარმოებს ხელის მოწერას გლეხებს შორის სამრეწველო საქონელზე, როგორც მაგ. სახურავ რკინაზე, შუშაზე და სხ. განსაკუთრებით-კი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების გამოწერაზე.

სამხრეთ-ოსეთი

საექიმო დახმარება

ცხინვალი, 9 ოქტომბერი. სამხრეთ ოსეთის ჯანსახკომმა გახსნა საექიმო პუნქტი ორთევოვოლდის რაიონში, სადაც მუშაობს ერთი ექიმის თანაშემწე და ერთი ბებია ქალი. ყოველ დღიურად პუნქტი ღებულობს 30 ავათმყოფს. ახლო მომავალში გაიხსნება საექიმო პუნქტი კემულტის რაიონში, სადაც იმუშავებს ერთი ექიმის თანაშემწე. ამჟამად სწარმოებს ჯავის საექიმო პუნქტის კაპიტალური რემონტი. კუდარის რაიონში დაასრულეს საავათმყოფოს შენობის აგება. შენობა ააგო ადგილობრივმა მოსახლეობამ თავისი ხარჯით. ცხინვალში სრულდება საოლქო საავათმყოფოს შენობის შეკეთება. საავათმყოფოში გადამდები სენით ავათმყოფებისათვის იქნება 75 საწოლი. საავათმყოფოს აქვს სამი განყოფილება: ქირურგიული, გინეკოლოგიური და თერაპევტიული. ჯანსახკომის მუშაობა ძნელდება უსახსრობის გამო. ოსი ქალები დახმარებისათვის არ ეკარებიან ექიმ მამაკაცებს. ექიმი ქალები-კი ადგილობრივად არ მოიძებნება — დაქირავება შეუძლებელი ხდება უსახსრობის გამო.

წერილები

ჩვენი ყრილობა დასრულდა

(გლეხკორის შენიშვნა)

უნდა შეგეხედათ გლეხკორების მეორე ყრილობისათვის. იქ ნახავდით ორივე სქესის წარმომადგენელთ, როგორც პირტიტველ ახალგაზრდებს, ისე თმაგათეთრებულ მამაკაცებს და ძველებურად თავ-მორთულ დედაკაცებს. ყველა ესენი მოხსენების დროს სმენად იყვნენ გადაქცეული, მაგრამ კამათის გახსნისას კი ყველა ფაქტებით ხელში ჩაებმებოდენ მსჯელობაში.

ყველა მომხსენებლებს როგორც მაგალითად, ამხ. შ. ელიავას, ისე ამხ. ი. ვარძიელს წერილობით და ზეპირად ასობით შეკითხვებს აძლევდენ. მათი მთავარი იერიშები იუსტიციის სახალხო კომისარიატისაკენ იყო მიმართული, რომლისაგან მოითხოვდნენ რევოლიუციონური კანონიერების დაცვასთან ერთად დამნაშავეების საჩქაროთ გასამართლებას.

ხედავ, ყველა ამას და გული სიხარულით გევსება, რომ სოფლის ის მშრომელი მასა, რომლის წრიდანაც ესენი არიან გამოსული მიისწრაფვის ახალი ცხოვრებისაკენ და ღირსეულათ იცავს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს.

ნ. სანიკიძე.

ახალწვეულთა სიმღერა

წავიდეთ, ძმებო, წავიდეთ,
წავიდეთ წითელ ჯარშია,
თუ მტერი შემოგვესია,
ჩავახრჩოთ სისხლის ღვარშია.
არ დაგვავიწყდეს, გვახსოვდეს,
ძალ-ღონე ერთობაშია,
გამარჯვებულნი მოვიდეთ,
ისევ ჩვენს მთა და ბარშია.
ჩვენი მშობლები და ძმები
ხედავთ, მოგვეგებენ გზაშია,
გვაცილებენ და გვლოცავენ;
— კვლავ მშვიდათ მოდით სახლშია.

ჩვენც ვანუგეშებთ მშობლებსა,
მათ არ გამოვხვევთ თალხებში,
მომხდურ მტერს მშრომელთ ქოხების
ვაბანებთ სისხლის ტალღებში..
ვინც გვიღალატოს, გვიმუხლთოს
ძალით დაჰლუნგოს ხანჯალი,
დაე მუხდალსა ყანაშიც
ნუღარ გაუჭრის ნამგალი.
წავიდეთ, ძმებო, წავიდეთ,
წავიდეთ წითელ ჯარშია,
თუ მტერი შემოგვესია,
ჩავაღრჩოთ სისხლის ღვარშია.

გლეხი გ. კანნელი.

თემის ყრილობის დადგენილების წინააღმდეგ

(ცაიში, ზუგ. მ.)

რევოლიუციას არც ცაიშელ ვაჭრებისათვის ჩაუვლია ფუჭად. მათ ისწავლეს, რომ ძალა ორგანიზაციაში და მთლიანობაშია. ამიტომ, როგორც კი რაიმე საჭიროება დაურჩებათ, ერთიანი ფრონტით გამოდიან, ორგანიზაციას ორგანიზაციას უპირისპირებენ.

თემის საერთო ყრილობამ დაადგინა აღარ ედღესასწაულათ ტრადიციული, გლეხის მეურნეობის განმანადგურებელი „მარიამობა“. ცაიშის ვაჭრუკებს, რასაკვირველია, ეს ჭკუაში არ დაუჯდათ. არა იმიტომ, რომ ისინი ერთობ ღვთისნიერი ხალხია. არ შეგვჭამოთ ჭირმა. სასწორი რომ ეკლესიაში შეუვდო, ცაიშელ ვაჭრებს შიგ ვერ შეიტყუებ.

მაშ რათ ეცეცხლა მათ მარიამობის გაუქმება? საკუთარ ჯიბის სიყვარულის გამო, რა თქმა უნდა. მარიობის მოახლოებას აქაური მედუქნეები ცის მანანასავით შესცქეროდენ. ისეთი გაცხოველებული ვაჭრობა, როგორც ამ დროს, „აღდგომის წითელ პარასკევსაც“ არ ახსოვდათ ცაიშელ ვაჭრებს.

გლეხები „პირში სულს იძრობდენ“ და უკანასკნელ კაპეიკს ვაჭრებთან მიარბენინებდეს, რომ მტერ-მოყვარეში თავი არ შეერცხვინათ და დღეობა ღირსეულად გადაეხადათ. დღეს ეს გემრიელი ლუკმა თემის ყრილობამ ერთი ხელის აწევით დააძრო კბილებიდან ცაიშელ ჩარჩებს. მართლაც ქვის გული და კამეჩის მოთმინება უნდა ქონოდა კაცს, რომ ასეთ მოულოდნელ უბედურებას დამშვიდებით შეხვედროდა.

ცაიშელ ვაჭრებს გული ქვაზე უფრო ცივი აქვთ, მოთმინება კი მამლაყინწაზე ნაკლები. ამიტომ ადგენ და შეჰკრეს პირი, რათაც არ დაჯდომოდათ ჩაშალათ სათემო ყრილობის დადგენილება. აირჩიეს კომისია სამი კაცისაგან. შემადგენლობა კომისიის ისეთი იყო, რომ „ქვეთ უკეთესი“: ვაჭარი ი. წიწავა, ვაჭარი ე. ეფეინა და ყოფილი აზნაური ა. ჟორდანია, რომელიც ძველებურ ჩვეულებას დღესაც არ იშლის და ქუდს ყავარზე დაატარებს.

ამ ჩინებულ კომისიას დაევალა ჯილდო შეეკრიბა მარულას (ცხენოსანთა შეჯიბრის) ჩასატარებლად. ორმა ვაჭარმა და ერთმა გახუხებულ აზნაურმა მთელი სოფელი ფეხით მოიარა. არწმუნებდენ გლეხებს: არ შესცოდოთ ღმერთს, არ უარჰყოთ მარიობაო. ამასთან ერთად ჰკრეფდენ ფულს მარულას გასამართავად. კომისია აქვე ადგენდა მის ანკესზე წამოგებულ გლეხების სიას. ვინც ფულს არ გადიხდიდა და ვაჭრების სიაში ჩაწერაზე უარს იტყოდა, მას კომისია საყოველთაო ბოიკოტით და თემიდან გაძევებით ემუქრებოდა.

თემაღმასკომის თავმჯდომარე ყოველივე ამას მისჩერებოდა და კრინტსაც არ სძრავდა. სინიდისის თავისუფლებაა, არ შეიძლება ადმინისტრატიულ ღონისძიებებით ბრძოლა სარწმუნოების წინააღმდეგ. ასე ჭკვიანად მსჯელობდა ჩვენი ადგილობრივი ხელისუფალი. ალბათ, ვაჭარ-აზნაურული კომისია რომ მოვიდეს და აღმასკომის თავმჯდომარე კალთით შეათრიოს ეკლესიაში, თავმჯდომარე ხმასაც არ გასცემს მათ. როგორ გეკადრებათ, ეს ხომ ადმინისტრატიული ბრძოლა იქნება სარწმუნოების წინააღმდეგ.

ვფიქრობთ, რომ მაზრაღმასკომი თავზე ხელს არ მოუსვამს ჩვენს თავმჯდომარეს ხელისუფლების დირექტივის ამგვარ დათვური ერთგულებით შესრულებისათვის.

ბუნჩუკი.

სოფლის ქრონიკა

— **შემოსავალი.** გასულ საანგარიშო წელს გორის აღმასკომს ვაჭრობა - მრეწველობიდან შემოუვიდა 15.000 მ.

— **ფიზკულტურის განსავითარებლად.** აჭარისტანის პროფსაბჭომ მოიწვია ფიზკულტურის ინსტრუქტორი ამ დარგში მუშაობის გასაფართოებლად.

— **გამოკვლევა.** ახალქალაქის აღმასკომი შეუდგა სოფ. ალავერდის გლეხებისათვის სტიქიური უბედურებით მიყენებულ ზარალის გამოკვლევას.

— **აგურხანა.** გორის აღმასკომი აგებს აგურის ქარხანას.

— **აგრონომიულ პუნქტების შესანახად** გასულ წელს გორის აღმასკომმა დახარჯა 6.331 მ.

— **მიწადმოწყობა.** ახალქალაქის აღმასკომი მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვაში მიწის მზომელთა შტატს ადიდებს 6 კაცით.

— **პურის ღირსებების გასაუმჯობესებლად** ახალქალაქის აღმასკომი შეუდგა ფურნეების გამოკვლევას

— **საბავშვო ბაღი.** გორის აღმასკომი ხსნის საბავშვო ბაღს.

— **კეთილმოწყობა.** გორის აღმასკომი შეუდგა ქუჩების და ქვაფენილების საფუძვლიანად შეკეთებას.

მუშათა ცხოვრება

მუშკორის წერილი ბიუროკრატს

ვერ შემაშინებ მუქარით,
კიდეც რომ გასწყდე წელშია,
ბატონი მყავდა, ბრძანების
„სკიპტრა“ ეჭირა ხელშია.
ძალა-უფლებით მოსილი,
რაც სურდა, იმას შვრებოდა,
თვითმპყრობლის კალთა ეფარა,
ჩვენ არას გვეკითხებოდა.
დღეს კი სხვა დროა, სულ სხვა დრო,
ჩვენია ხელისუფლება.
ვიკვლევთ, ვიძიებთ გულდასმით,
რაცა კეთდება, რაც ხდება.
კარგს ვაქებთ, ავსა ვაძაგებთ,
ხელს უწყობთ მშენებლობასა,
მტლედ დავედებით მოყვასსა,
მტრებს არ დავაკლებთ მტრობასა,
რაღად მემდური კალმოსანს,
გზა ჯვარედინზე მყვირალსა,
რადგანაც ვიძიებ ყველაფერს,
მუჯლუგუნსა ვსცემ მძინარსა.
ბედმა მარგუნა. გადვიქცე
დარაჯი მშენებლობისა,
ქვეყნის ორგულთა მტერი ვარ,
მდევნელი მფლანგველობისა.
იმ დროს, როდესაც ქვეყანა
თხოულობს აყვავებასა,
შენ ფლანგავ დაუზოგველად,
ეძლევი ნეტარებასა?!
მეც ვდევნი, ვთურგნი ასეთებს,
შენ კი არ მიძლევ ნებასა?!
მობარეს ჭირისუფალსა,
ყოველ მწრივ მაყენებ ვნებასა?!
შენ საწამლავად ჩემ კალამს
კვლავ ვილევ მოწიწებითა,
პწკარს პწკარზე კოხტად ავაწყობ,
აზრებს ავკინძავ გზნებითა.

მუშკორი შაქრო ნავთლუღელი.

შრომის დისციპლინა განმტკიცდა და წარმოებაც გაიზარდა

როზა ლიუქსემბურგის სახელობის სახელმწიფო თუთუნის ფაბრიკაში მუშაობს 423 მუშა-მოსამსახურე. აქედან ქალია—226, მამაკაცი—175 და მოზარდი 18 წლამდე ორივე სქესის—22. მუშების საშუალო თანრიგია მეექვსე, რომლითაც ისინი იღებენ 46 მანეთს 2[illegible] კაპ. საშუალოდ.

ხელფასისი მინიმუმი უდრის პირველი თანრიგით 18 მან., ხოლო მაქსიმუმი კი განისაზღვრება სპეცგანაკვეთით.

მუშებს ეძლევათ თავის დროზე სპეცტანისამოსი და „კრუჟკა“ რძე დღეში, ვისაც ასეთი ერგება. დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება ექვსი თვის ვადით ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტის ადმინისტრაციის და მუშებს შორის.

ქარხანა საშუალოდ ამზადებს თვეში ორმოც მილიონ ცალ პაპიროსს.

ქარხანას ნედლი მასალა ბლომად მოეპოვება. გახსნილია თუთუნის საკუთარი პლანტაციები სოხუმში და ლაგოდეხში, საიდანაც იმარაგება ქარხანა კარგი ღირსების თუთუნით.

განზრახულია ქარხკომის მიერ შეძენილ იქნეს სასულე ორკესტრი და დაარსდეს ფეხბურთელთა წრე.

ქარხანაში სანიტარული პირობები დაცულია. ახლო მომავალში ქარხკომი გაგზავნის წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო პუნქტში 50 კაცს.

კომისიების მუშაობა

აქ არსებობს შემდეგი კომისიები: (სადაც ჩაბმულია 110-მდე მუშა-მოსამსახურე). კულტკომისია, სარევიზიო, შრომის დაცვის, შემთანხმებელ-საკონფლიქტო, მომჭირნეობის, სარედაქციო კოლეგია, მუშკორთა წრე, საწარმოო კომისია და სხ.

აღნიშნულ კომისიების მუშაობა საერთოთ დამაკმაყოფილებელია.

კულტკომისიაში არჩეულია 9 კაცი; შრომის დაცვის კომისიაში ითვლება 5 კაცი; სარევიზიო კომისიაში 6 კაცი; „შ. ს. კ“-ში 4 კაცი; ქარხკომში 15 კაცი; კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში—9 კაცი.

საანგარიშო ხნის განმავლობაში მომჭირნეობის კომისიას ჰქონდა ორი სხდომა, სადაც გარჩა 4 სამომჭირნეო საკითხი. კომისიების კრებებს სისტემატიურად ესწრებიან მუშები.

145 მუშა-მოსამსახურე ჩაწერილია მუშათა ცენტრალურ კლუბში. ჩატარდა აგრეთვე კლუბის წევრებად ჩაწერის შესახებ კომპანია.

მოწყობილია აქ წითელი კუთხე.

გამოწერილია სხვა და სხვა გაზეთები: „კომუნისტი“—11 ცალი, „მუშა“—2 ცალი, „რაბოჩაია პრავდა“—24 ცალი, „ზარია ვოსტოკა“—6 ცალი „მარტაკოჩი“— 8 ცალი და სხ.

აქ გამოდის კედლის გაზეთი „წითელი თვასაფარი“-ს სახელწოდებით, რომელიც აშუქებს ადგილობრივ წარმოების და მუშათა ყოფა-ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. კედლის გაზეთის მუშაობაში ჩაბმულია 32 კედკორი.

დადგმულია ახალი მანქანები საგილზო (სემიონოვის) სისტემის და დამტენი ეგ. წოდ. „ნაბიევნი“.

მუშები სარგებლობენ ცენტრალურ სამკითხველოთი.

ქარხანა ამზადებს უმაღლესი და მეორე ხარისხის პაპიროსებს.

წერა-კითხვის სრულიად არ მცოდნე აქ 52 კაცია. ცოტა მცოდნე 123, რომელთაც სჭირიათ წერა-კითხვის უცოდინართა პუნქტში გაგზავნა.

შრომის დისციპლინა ქარხანაში დაცულია.

მუშკორი მებრძოლი.

ვინ და როგორ ისვენებდა წალვერის დასასვენებელ სახლებში

1 ოქტომბრიდან, სხვებთან ერთად დაიხურა ცეხხოვში მდებარე წალვერის დასასვენებელი სახლებიც. აღნიშნული სახლები მუშაობდა განუწყვეტლივ ოთხი თვის განმავლობაში 1 ივნისიდგან და 2—2 კვირით რიგ-რიგით ისვენებდენ ხანგრძლივი შრომით მოქანცულნი მუშა-მოსამსახურენი.

აქ მინდა მოკლე ანგარიშის მოყვანით ნათელვყო, თუ ვინ იგზავნებოდენ ამ სახლებში, ვის ეძლეოდა დასვენებისთვის უპირატესობა.

დასვენებულთა რაოდენობა ყოველთვიურად, ასეთი იყო: ივნისში—601. ივლისში—704. აგვისტოში—714. სექტემბერიში—552. სულ:—2.571.

მათ შორის—**მამა კაცი 1.805** (70,2 პროც.),
დედა კაცი 766 (29.8 პროც.),
ფიზიკური მომუშავე 1.700 (661 პროც.).
გონებრივი მომუშავე 871 (33,9 პროც.)
ეროვნებით—ქართველი 1.241 (48,3 პროც.), **რუსი—614** (23,9 პროც.), **სომეხი—501** (19,5 პროც.), **სხვა ეროვნებათა—215** (8,3 პროც.).

როგორც ამ მოკლე აღნიშვნიდან სჩანს ორი მესამედი დასვენებულებისა ფიზიკური მომუშავენი არიან. უპარტიონი შეადგენდენ დამსვენებელთა ორ მესამედს.

რკინისგზელები შეადგენდენ დამსვენებელთა საერთო რიცხვის 28,5 პროც. დანარჩენი სხვადასხვა 20 კავშირის წევრი 70,96 პროც. დარჩა კავშირის 05,4 პროც. (ე. ი. მუშათა ოჯახის წევრები).

აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილი ჰქონდა ერთი ოჯახიდან ორი წევრის გამოგზავნას. იყვნენ გურჯაანიდან რკინის-გზელი ცოლ-ქმარი პატარა ბავშვით. ასეთი მოვლენა არ არის მისაღები იმ პირობებში, როდესაც დასასვენებელი სახლების გარეშე ბევრი მთხოვნელები დარჩნენ.

აგრეთვე უკანასკნელ მერვე ჯგუფში ბევრს კავშირებს სულ ახალგაზრდები გამოეგზავნათ მხოლოდ 5—6 თვის დამდგრები წარმოებაში, რომლებსაც ჯიბეში ჯერ კიდევ „პუგაჩები“ ეჭყოთ და წარა-მარა სროლას ტეხდნენ.

დ. სახლების თანამშრომლებს ახასიათებდათ მუყაითი შრომა და დამსვენებლებისადმი პატივისცემით მოპყრობა.

წესრიგი დაცული იყო სასტიკად. სისუფთავე და კვება კარგი. ექსკურსიები ეწყობოდა ყოველ ჯგუფში; წარმოდგენები იდგმებოდა ყოველ კვირა სისტემატიურად და იყო კინო-სურათების ჩვენება კვირაში ერთხელ.

არ შეიძლება უყურადღებოთ დატოვება ერთი სამწუხარო გარემოების, რის გამოსწორებაც უცილებელია დ. სახლების გამგეობის მიერ.

თანამშრომელთა შტატის შედგენის დროს არ ყოფილა მიღებული მხედველობაში ზოგ თანამშრომელთა მუშაობის შრომის პირობები. მაგალითად: კანტორის მოხელე ქალს, თეთრეულების საწყობის გამგეს და მის თანაშემწეს მუშაობა უხდებოდათ დილის 6 საათიდან ბევრ შემთხვევაში ღამის 2 საათამდე. რაც დამოკიდებული იყო ბორჯომიდან მატარებლების მოსვლაზე.

აღნიშნულ თანამშრომელთათვის ეთქვათ, რომ დამსვენებელთა ჯგუფების მისვლა იქნებოდა თვეში მხოლოდ ორჯერ 1 და 16 რიცხვებში და წასვლა კი 15 და 30 რიცხვებში, აქ კი სხვაგვარ ხდებოდა: ყოველ დღე და ყოველი მატარებლით მოდიოდენ დამსვენებლები.

ამიტომ მათი ზედმეტი ნამუშევარი საათები სათანადოთ ანაზღაურებული უნდა იქნეს. მიუღებელია, რომ ერთნი იჩაგრებოდნენ მაშინ, როდესაც სხვანი ისვენებენ, ერთთა ჯანმრთელობა არ უნდა ეწირებოდეს მეორეთა კეთილდღეობას.

საერთოდ წალვერის დასასვენებელმა სახლებმა დიდი დახმარება გაუწიეს და **დაასვენეს 2 571 მშრომელი.**

მუშური გულწრფელი მადლობა წალვერის დ. სახლების თანამშრომელთ დაუღალავი და მუყაითი მუშაობისათვის.

მუშკორი დაფიქრებული.

მუშათა ქრონიკა

— **დასვენება.** ხაშურის დეპოს მუშათა საერთო კრებამ მიმართა პროფკავშირს, რათა მან აღძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს, რომ მუშებს 42 საათის ყოველკვირეული დასვენება შეჯამებული სახით მიეცეთ ყოველთვიურად.

— **ვადის შემოკლება.** ხაშურის რკ. გზ. სახელოსნოს მუშათა კრებამ მიმართა საუბნო პროფკავშირს იშუამდგომლოს ადმინისტრაციასთან, რათა შემცირებულ იქნეს სპეც-ტანისამოსის ტარების ვადა.

ცივ ზოლში. ხაშურის საუბნო პროფკავშირის პლენუმმა მიმართა ა.-კ. საგზაო პროფკავშირს შეიტანოს ცივ ზოლში ხაშურის უბანი მოვალ კოლექტიურ ხელშეკრულების დადების დროს.

— **სამკითხველო.** ბათომის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა—მოაწყოს ოზურგეთში მუშათა სამკითხველო.

— **რადიო-მიმღები.** ბათომის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა—მოაწყოს ბათომის რკ.-გზ. მუშათა კლუბში რადიო-მიმღები სადგური.

—**სასულე ორკესტრის შეკეთება.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა—შეაკეთოს პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბის სასულე ორკესტრი.

— **სეზონის გახსნა.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბთან არსებულ ქართულ დრამწრის საზამთრო სეზონის გახსნა მოხდება 10 ოქტომბერს.

— **რეპერტუარი.** ნავთლუღის რკინის გზის კლუბთან არსებულ დრამწრის რეჟისორმა ამხ. . გიორგაძემ შეადგინა რეპერტუარი. რეპერტუარში შედის: შილერის „ყაჩაღები“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“ და „ელეონორა“.

ცეკავშირში

რწმუნებულთა გადარჩევა

საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი შეუდგა კოოპერაციის რწმუნებულთა გადარჩევას, საქართველოს სხვადასხვა მაზრებში. ზოგიერთ ადგილას რწმუნებულთა გადარჩევა უკვე დამთავრდა.

ყრილობა

„ცეკავშირი“-ს გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს 15 დეკემბერს „ცეკავშირის“ რწმუნებულთა მორიგი ყრილობა. ამავე დღეს იზეიმებენ—ცეკავშირის არსებობის 10 წლის თავს.

კოოპერატიული გამომცემლობა

„ცეკავშირმა“ შეიმუშავა გეგმა ახალ საოპერაციო წლის კოოპერატიულ გამომცემლობისათვის. გეგმით გათვალისწინებულია 10 სხვადასხვა სახელწოდების პოპულიარული პრაქტიკულ-კოოპერატიული წიგნების გამოცემა. ამას გარდა განზრახულია გამოიცეს კოოპერაციის წევრთა სახელმძღვანელო წიგნაკები.

მატყლის დამზადება

საზ-ბა „მწყემსი“ შეუდგა შემოდგომის მატყლის დამზადებას. მატყლი მზადდება ახალქალაქის, ახალციხის, სიღნაღის და თელავის მაზრებში. „მწყემსი“-ს ცნობით წელს იშვიათი ხარისხის მატყლი მზადდება ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში. კახეთში მატყლის დამზადებას ხელს უშლის ცუდი ამინდი და სიცივეები. ხელშეკრულება მატყლის მისაწოდებლად საზ. „მწყემს“-ს დადებული აქვს რუსეთის საზ. „შერსტ“-თან. ხელშეკრულების ძალით წელს „მწყემსმა“ უნდა დაამზადოს 40.000 ფუთი შემოდგომის მატყლი.

თხილი

„ცეკავშირმა“ ხელშეკრულება დასდო ა.-კ. ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირთან თხილის დამზადების შესახებ. მიმდინარე შემოდგომაზე უნდა დამზადდეს 50.000 ფუთი თხილი. თხილის დამზადება იწარმოებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოში განზრახულია დამზადებულ იქნეს—15.000 ფუთი თხილი, ხოლო დასავლეთ საქართველოში კი—35.000 ფუთი. თხილს დაამზადებენ სოფლის კოოპერატივები.

თხილის ექსპორტს საბჭოთა რესპუბლიკებში აწარმოებს ა.-კ. ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირი.

სოფლის კავშირში

კვერცხის დამზადება

„სოფლის კავშირის“ საორგანიზაციო ბიურო შეუდგა კვერცხის დამზადებას. მიმდინარე შემოდგომაზე განზრახულია დამზადდეს 15 ვაგონი კვერცხი. კვერცხი გატანილი იქნება რუსეთში.

10 მსმენელი

„სოფლის კავშირის“ საორგანიზაციო ბიურომ ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტთან არსებულ კოოპერატივთა კურსებზე მსმენელებათ მიავლინა 10 დაბალ კოოპერატიულ ორგანიზაციის მუშაკი.

დაფნის ფოთოლი

„სოფლის კავშირს“ გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე სეზონში დაამზადოს 5.000 ფუთი დაფნის ფოთოლი.

ხილი

„სოფლის კავშირი“ შეუდგა შემოდგომის საექსპორტო ხილის დამზადებას. განზრახულია დამზადდეს 40.000 ფუთამდე ხილი, რომელიც სარეალიზაციოთ გაიგზავნება რუსეთში.

მეცნიერება და ტეხნიკა

გაახალგაზრდავების შესაძლებლობანი

ადვილათ გასაგები მიზეზების გამო მთელი მსოფლიო განსაკუთრებით დაინტერესებულია გაახალგაზრდავების საკითხით, და **შტეინახის და ვორონოვის** სახელები უფრო პოპულიარულია, ვიდრე მრავალ სახელმწიფო მოღვაწეთა სახელები. ეჭვს გარეშეა, რომ აღნიშნულ მეცნიერების შრომებმა ადამიანს გზა გაუხსნეს კაცობრიობის ყველაზე საშინელ მტერზე—მოხუცებულობაზე— გამარჯვებისაკენ. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გამარჯვება უკვე მიღწეულია. სასქესო ჯირკვლების გადანერგვას, ან შტეინახის ოპერაციას, მრავალ შემთხვევებში შეუძლია გაახანგრძლივოს სიცოცხლე განსაზღვრული ვადით, საერთოდ მოკლე ვადით. მაგრამ არსებობენ სხვა გზებიც, რომლებსაც მივყევართ გაახალგაზრდავებამდე. არსებობენ მნიშვნელოვანი მიღწევები ამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის სხვა დარგებშიც, მართალია, ნაკლებ ცნობილნი, მაგრამ არა ნაკლებ ბრწყინვალე მომავლის მქონენი. მე მხედველობაში მაქვს გაახალგაზრდავება წმინდა ოპერატიული გზით.

ხომ არ შეიძლება ადამიანის შეკეთება ისე, როგორც შეაკეთებენ, ხოლმე, საათს. ბოლოს და ბოლოს, ორგანიზმი არის ხომ მხოლოდ რთული მექანიზმი, რომლის ყველა ნაწილები ერთმანეთთან შეთანხმებულად მუშაობენ, როცა საათი დაძველების გამო სწყვეტს მუშაობას, ყოველთვის ირკვევა, რომ მისი რომელიმე ერთი ნაწილი სახებზე უფრო გაცვდა და აღარ შეუძლია სამსახური. არასოდეს არ ხდება ისე, რომ მთელი მექანიზმი სრულიად გაცვდეს. სრულიად ძველ საათებშიც კი შეიძლება სავსებით გამოსადეგ ნაწილების პოვნა. თუ გაცვეთილ ნაწილს ახლით შეცვლიან, საათი ისევ ამუშავდება. ასევე არ არსებობს ადამიანის „ბუნებრივი“ სიკვდილი მოხუცებულობის გამო. სიკვდილს ყოველ შემთხვევებში, განკვეთა ყოველთვის ადასტურებს, რომ დაზიანებულია რომელიმე განსაზღვრული, ადამიანისათვის საჭირო ორგანო: გული, ფილტვები, ღვიძლი, თირკმელები და სხვ., დანარჩენ ორგანოებს კი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში შეეძლოთ მუშაობა. თუ მოხერხდება გაცვეთილ ორგანოს შეცვლა ახლით, ადამიანის მექანიზმი კვლავ დაიწყებს მუშაობას ისე, როგორც შეკეთებული საათი. საათი კი, რომელშიც გაცვეთილ ნაწილებს რიგ-რიგობით ცვლიან ახლით, ხომ უკვდავია!

ქირურგიაში სხეულის სხვადასხვა ნაწილების გადანერგვა (ტრანსპლანტაცია) და ძველი, გაცვეთილი ნაწილების შეცვლა, დიდი ხანია რაც შემოღებულია. წარმატებით შეიძლება კანის ნაჭრების, ძვლების, ხრტილის, სისხლსადენი მილების მთელი მონაჭრების გადანერგვა ერთი ორგანიზმიდან მეორეში. ძვლის გადანერგული ადგილები ან სქელდება ან წვრილდება იმის და მიხედვით, თუ რა სამუშაოს ასრულებს. ზოგიერთ ავადმყოფობათა დროს ზიანდება ნერვები, რომლებსაც მოძრაობაში მოჰყავთ ტერფი. ავადმყოფს შეუძლია ფეხის ცერებზე დადგომა, მაგრამ არ შეუძლია ქუსლზე დგომა. ამ შემთხვევაში ახდენენ მეტად საინტერესო ოპერაციას. ქუსლის ძარღვების ძაფების ნაწილს ჰრიან და უერთებენ ტერფის წინა კიდურს. ახლა ერთი და იგივე ძარღვი, რომელიც ნორმალურათ ტერფის შეკუმშვის როლს თამაშობს, ასრულებს ორივე მოვალეობას: შემკუმშველისაც და გამმართველისაც. ჩქარა ოპერაციის შემდეგ ადამიანს შეუძლია თავისუფლად სიარული. ამ მოვლენის თეორია მეტად რთულია და სავსებით არ არის გამორკვეული, მაგრამ თვით ფაქტი გვიჩვენებს, რომ ორგანიზმს შეუძლია შესრულებულ ოპერაციების ყველა ნაკლოვანებათა გამოსწორება, იგი მშვენივრათ ეგუება სხეულის ნაწილების ახალ ურთიერთ დამოკიდებულებას. ამ უძვირფასესი უნარით შეიძლება ფართედ სარგებლობა.

ცხოველებზე მოხდენილ მრავალ და მრავალფეროვან ტრანსპლანტაციათა (გადანერგვათა) ცდა ადასტურებს ცოცხალი ორგანიზმის შეთვისების უდიდეს უნარს. ცდების უდიდესი ნაწილი მოახდინეს ამფიბიებზე. ამ ცხოველებს, განვითარების დროს, კიდურები უჩნდებათ პატარა ხორცმეტების სახით სხეულის ორივე გვერდზე. შემდეგ ამ კიდურებს უერთდება და შეეზრდება ხოლმე თავის ერთ-ერთი ნერვის ძაფები. ამ ცდიდან მტკიცდება, რომ ორგანიზმის ამა თუ იმ ნაწილს, ჩვენს შემთხვევაში თავის ნერვს, შეუძლია განვითარება სხვადასხვა გზით და შეუძლია სხვადასხვა მოვალეობათა შესრულება იმ პირობების მიხედვით, რომელშიც ხდება მისი განვითარება. მრავალ შემთხვევებში, ექსპერიმენტატორი (ცდების მომხდენი პიროვნება) ამ უნარით მოხერხებულათ სარგებლობს. მეცნიერმა **დეიტცაილერმა** მარტივ ცხოველზე ცდებით გამოარკვია, რომ თუ წინა კიდურის ჩანასახს უკან გადაიტანენ, ნერვები, რომლებიც ეზრდებიან წინა კიდურებს თავის განსაზღვრული ნაწილიდან, იხრებიან უკან და თვითონ ეძებენ გადანაცვლებულ კიდურს, რომელშიც, ამის შემდეგ, ნერვების სისტემის განვითარება ნორმალურათ ხდება. თუ კიდური კიდევ უფრო უკან არის გადატანილი, მას ეზრდება სხვა ნერვებიც, და, მიუხედავათ კიდურების დიდათ გადანაცვლებისა, ორგანიზმი მიხვეულ-მოხვეული გზებით მაინც აღწევს ნორმას.

როცა საათში შეირყევა ერთ-ერთი დაკბილული ბორბლის ღერძი, ამ ბორბლის კბილები უკვე აღარ მოედება მეზობელ ბორბლის კბილებს, და საათი სწყვეტს მუშაობას. სულ სხვანაირათ იქცევა ორგანიზმი. მისი ყველა დაკბილული ბორბლები შესაფერისად იკუმშებიან და კბილები კვლავ ეხებიან ერთმანეთს. ბორბლების მდგომარეობა რამდენიმეთ არანორმალური იქნება, მაგრამ ორგანიზმი იმუშავებს. თუ რამდენათ ძლიერია ორგანიზმის შეგუების და შეთვისების უნარი, ამას ცხადყოფს **გარრისონის** შესანიშნავი ცდები. გარრისონმა მიაღწია იმას, რომ პატარა თავკომბალას წინა ნაწილი შეუზარდა მეორე სახის თავკომბალას უკანა ნაწილს. წარმოიშვა ახალი, სინთეთიური თავკომბალა, რომელიც ნორმალურათ იკვებებოდა. იზრდებოდა და გადაიქცა ბაყაყად, ვინაიდან ამ ორი ჯიშის თავკომბალას ტანი სხვადასხვა ფერის იყო, ბაყაყს გარკვევით აჩნდა შეზრდის საზღვარი. გადაჭრის ოპერაცია, რასაკვირველია, მეტად ტლანქია და იწვევს ყველა შინაგანი ორგანოების დიდათ გადანაცვლებას. **ფილატოვის** ცდებით, იმავე ამფიბიებს, თავკომბალას ტანის რომელიმე სხვა ადგილას გადანერგული ყურის ჩანასახის გარშემო, შესაძლებელია გაუჩნდეს ყურის ხრტილოვანი ნაწილი ქსოვილებიდან, რომლებსაც ნორმალური განვითარების პირობებში ასეთთან არაფერი საერთო არა აქვს, როგორც **შპემანმა** დაამტკიცა, თვალის ჩანასახი, გადანერგილი ახალგაზრდა, ჯერ კიდევ განუვითარებელი ცხოველის ტანის რომელიმე ადგილას, გარშემო მდებარე კანიდან ქმნის თვალის ბროლს. ორგანიზმის შეგუებისა და შეთვისების მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა.

პრესაში მრავალჯერ იყო მოთავსებული ცნობები ცხოველებისათვის თვალის გადანერგვის შესახებ. ასეთი ცდები პირველათ **კოპპანიმ** მოახდინა ვენაში. ვირთხას ან ბაჭიას თხრიან თვალს და თვალის სიღრუეში უნერგავენ სხვა ცხოველის თვალს. რამდენიმე ხნის შემდეგ ხდება სრული შეზრდა. მეტად საინტერესოა ამ შემთხვევაში მხედველობის ნერვების ხვედრი. თვალის ამოთხრის დროს მხედველობის ნერვი უნდა გადაიჭრას, რის გამო იგი უკვე აღარ შეეზრდება ახლად გადმონერგილ თვალს, მაგრამ გადანერგილ თვალში არის ნერვის უჯრედები, რომლებიდანაც იზრდება ნერვის ძაფები. ეს ძაფები ძველი მხედველობის ნერვის გზით იჭრებიან შიგნით, ეზრდებიან გარშემო მდებარე არეს, უერთდებიან ტვინს, და, როგორც ცდებით დამტკიცდა, გადანერგილი თვალი იღებს ხედვის უნარს. ვირთხას, რომელსაც გადაუნერგეს ორივე თვალი, ისე ეჭირა თავი, როგორც ბრმას; შემდეგ მას უკვე აშინებდა მოძრავი საგნები; გავიდა ცოტა ხანი და იგი შეეჩვია ფერების გარჩევას, ერთი სიტყვით მას დაუბრუნდა ხედვის უნარი. რასაკვირველია, ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად დაქვეითდა მხედველობის ხარისხი თვალების გადანერგვის გამო რადგან ექსპერიმენტატორი ვირთხისგან ვერაფერს გაიგებს ამის შესახებ, მაგრამ საყურადღებო და მნიშვნელოვანია თვით ფაქტი მხედველობის დაბრუნებისა თვალების გადანერგვის შემდეგ.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს **შტეერისა და ვეისის** მიერ მოხდენილ გულის გადანერგვის ცდებს. პატარა თავკომბალას გულის ჩანასახი, გადანერგული მეორე თავკომბალას ტანში, ნორმალურათ განვითარდა. ამ მეორე თავკომბალას გულიც ნორმალურათ ვითარდებოდა. ამ ცდის შემდეგ მიღებული იქნა ორგანიზმი ორი გულით, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ ერთმანეთთან პირველობისათვის. თითოეული ცდილობს ხელში ჩაიგდოს ბატონობა სისხლისადენი მილების რაც შეიძლება მეტ რიცხვზე. ზოგჯერ გადანერგული გული ხელში იგდებს მთელ სისხლის მიმოქცევას. საკუთარი გული კი ფეთქს თავისთვის. მეორე შემთხვევაში ხდება პირიქით ან ორივე გული განაგებს სისხლსადენი მილების ცალ-ცალკე ნაწილს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მუშაობის დროს თითეულ გულს ახასიათებს ძგერის ცალკე რიტმი. ასეთივე ცდები მოახდინეს მაშინაც ,როცა გული უკვე ნორმალურ დონემდე იყო განვითარებული. შესაძლებელია აგრეთვე თავკომბალას გულის სრულიად ამოღება და მეორე გულის გადანერგვა მისთვის.

ასეთი ცდები ფართე პერსპექტივებს შლიან მეცნიერების წინაშე. არსებითად რომ ვთქვათ, გული ორგანიზმში საქაჩავის მეტად ტლანქ როლს ასრულებს. ამ საქაჩავის შეცვლა შეიძლებოდა რომელიმე სხვა მექანიზმით. ამჟამად გადანერგვის ტეხნიკური მხარე—განსაკუთრებით სისხლსადენი მილების შეერთებისა და შეკერვის ტეხნიკა—მაღალ დონეზე სდგას. ცნობილ მეცნიერის **კარრელის** სიტყვით, სავსებით, შესაძლებელია ადამიანის სისხლის მიმოქცევის სრულიად შეჩერება სამი წუთის განმავლობაში ისე, რომ ადამიანის ორგანიზმს არავითარი ზიანი არ მოუვა. ეს დრო კი, როგორც **კარრელმა** ცდებით დამტკიცა, სავსებით საკმარისია გადანერგვის ურთულესი ოპერაციის შესასრულებლათ. ის გარემოება, რომ გადანერგული გული განსაზღვრული დროის განმავლობაში მოკლებული იქნება ნორმალურ კავშირს გარშემო მდებარე [illegible] არ წარმოადგენს დაუძლეველ დაბრკოლებას. დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ გულს შეუძლია მუშაობა ნერვიულ სისტემასთან ყოველგვარ კავშირის გარეშეც.

საერთოდ ამ საკითხში არის მხოლოდ ტეხნიკური დაბრკოლებები და არა პრინციპიალური, და, ალბათ, ადამიანის გულის გადანერგვა არც ისე შორეული დროის საკითხია. ამავე დროს კი, სწორედ გული წარმოადგენს იმ ორგანოს, რომელიც ყველაზე უფრო იცვითება, იღლება და ეს იწვევს ნაადრევ სიკვდილს.

შტეინახის ცდებით გამოირკვა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი—მოხუცებულობით გამოწვეულ უძლურების ნაწილობრივ მოსპობის შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით შემჩნეულია დამახასიათებელი მოვლენები სხეულის ყველა ნაწილებში: საერთო წონის და ტვინის მოცულობის შემცირება და სხვ. თესლის გამტარების შეკვრას ან სათესლე ჯირკვლის გადანერგვას შეუძლია რამდენიმეთ მაინც დაუბრუნოს ქსოვილებს მათი ძველი თვისებები: რომ გავიმეოროთ საათის მაგალითი, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ძველ საათში ჩადგმულ ახალი ნაწილი იწვევს უანგის გაქრობას ყველა ძველ ნაწილებზე. ტანის ყველა ნაწილებმა ამა თუ იმ სახით განიცადეს ცვლილებები მოხუცებულობის გამო და გული სუსტად მუშაობს, ახალი გულის გადანერგვა გამოიწვევს ორგანიზმის ყველა ნაწილების განახლებას.

„მომავალი ბურუსით არის დაფარული“, და არავის არ შეუძლია იწინასწარმეტყველოს, თუ როგორი იქნება მეცნიერების მიღწევები თუგინდ უახლოეს მომავალში. ყველა ქვეყნებისა და ერების ასეული ათასი მეცნიერები მუშაობენ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გადაჭრაზე შრომობენ ისე, რომ არც კი ფიქრობენ თავისი ცდების პრაქტიკულ შედეგებზე. ეს ერთი შეხედვით უცნაური, ცხოვრებაში გამოუსადეგარი ცდები, უნაყოფო დავა „პრინციპებსა“ და „არსის“ შესახებ,—ყველაფერი ეს საჭიროა მეცნიერული აზროვნების განსავითარებლად და გასაღრმავებლათ. ყველაფერი ეს მტკიცე საფუძველს ქმნის ადამიანის უდიდესი გამარჯვებისათვის,—გამარჯვებისათვის სიკვდილზე.

პროფ. იან დემბოვსკი.

სინათლე და მისი ხელოვნურად მიღება

1. სინათლე

ადამიანის არსებობა უსინათლოდ, ისე როგორც სითბოს გარეშე, წარმოუდგენელია. სინათლე არა მარტო ადამიანისთვის, არამედ ყველა ცხოველებისათვის და მცენარეებისათვის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. კერძოდ სინათლეს დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა კვებისათვის. თუ მცენარის ძირები მიწიდან აწვდიან მცენარეს საკვებ მასალას, სამაგიეროთ ფოთლები ჰაერიდან იღებენ მას.

ჰაერში მყოფ ნახშირჟანგს, რომელსაც ადამიანი და ცხოველები ამოისუნთქავენ, ფოთლები ითქვავენ და სინათლის სხივთა გავლენით აქცევენ საკვებ მასალად. მართალია, ადამიანის კვებისათვის სინათლეს არა აქვს ისეთი უშუალო და დიდი მნიშვნელობა, როგორც მცენარეებისათვის, მაგრამ სინათლეს ადამიანისათვის სხვა მხრივ აქვს მნიშვნელობა. ადამიანის მუშაობა, შრომა შეუძლია მხოლოდ სინათლეზე, ე. ი., როდესაც მას აქვს მის გარშემო მყოფ საგანთა ხედვისა და ერთმანეთისაგან გარჩევის საშუალება. ადამიანის ორგანიზმის დაუძინებელ მტრებს წარმოადგენენ ე. წ. ბაქტერიები. ბაქტერიების მავნებლობა გამოიხატება მათ მიერ ყოველგვარ ავადმყოფობათა წარმოშობაში. ეს ბაქტერიები სინათლის სხივებს ვერ უძლებენ და მათი გავლენის ქვეშ იხოცებიან. სინათლის წყარო მზეა. როგორც ვთქვით, ადამიანს მუშაობა შეუძლია მხოლოდ სინათლეზე, მაგრამ ჩავა თუ არა მზე, სინათლე ქრება და ადამიანი უხსოვარ დროიდან შეუდგა იმის ცდას, რომ როგორმე მუშაობის დრო გაეხანგრძლივებია, რისთვისაც საჭირო იყო ხელოვნური სინათლის წყაროს აღმოჩენა.

ამჟამად ხელოვნურად მიღებულ სინათლით განათების ტეხნიკა მაღალ დონეზე სდგას. მაგრამ ცხადია, ასე არ იყო ყოველთვის. პირველყოფილ ადამიანისათვის სინათლის ერთად ერთ წყაროს წარმოადგენდა მზე. ჩავიდოდა მზე და, ბუნების მრავალ მოვლენათა და ცხოველთა წინაშე, ისედაც უმწეო, პირველყოფილი ადამიანი კიდევ უფრო უმწეო და უძლური ხდებოდა.

პირველყოფილი ადამიანისათვის სინათლე თავდაცვის საშუალებასაც წარმოადგენდა, რადგან მხოლოდ მზის სინათლეზე შეეძლო შემჩნევა და თავიდან აცილება მისთვის მავნებელ ბუნების მოვლენებისა.

ცაზე ანათებენ მთვარე (მთვარეს არა აქვს თავისი სინათლე, ის ანათებს მზის არეკლილი სინათლით) და ვარსკვლავები, მაგრამ მათი სუსტი სინათლე პირველყოფილ ადამიანისათვისაც კი არ იყო დამაკმაყოფილებელი.

სანამ გადავიდოდეთ იმის განხილვაზე, თუ როგორ მიაღწია ადამიანმა თანამედროვე განათების საშუალებებს, მოკლედ აღვნიშნოთ ის, თუ რას წარმოადგენს სინათლე.

სინათლის რაობა და მისი წარმოშობა სწავლულებში უძველეს დროიდან იწვევდა ინტერესს. მრავალ საუკუნეთა მანძილზე ბევრი თეორიები იქნა შემუშავებული სინათლის ბუნების და წარმოშობის შესახებ.

ძველ საბერძნეთის ზოგიერთ სწავლულთა აზრით, მხედველობა წარმოადგენდა უბრალო შეხების ერთნაირ შეგრძნობას და სინათლე გამოდიოდა არა საგნებიდან, არამედ თვალიდან. „თვით ჩვენი თვალის ფორმა, რომელიც ცარიელი არაა და მოწყობილია ისე, როგორც სხვა შეგრძნობათა ორგანოები“, ნათქვამია ერთ ძველ ბერძნულ ნაწერში, რომელსაც ევკლიდს მიაწერენ,—„ამტკიცებს იმას, რომ სინათლე გამოდის თვალიდან“.

ცნობილი ფილოსოფოსი **პლატონი** გრძნობდა, რომ სინათლის წარმოშობის ასეთი ახსნა არ იყო სწორი და საკმაო, მაგრამ სავსებით ვერც ის ჩამოშორდა ამ შეხედულებას. პლატონმა ამ შეხედულებას დაუმატა მხოლოდ ის შეხედულება, რომ სინათლის მიზეზია არა მარტო თვალი, არამედ ის საგანიც, რომელსაც ვხედავთ და ამ ორ წყაროდან გამომავალ სხივთა შეხვედრა იწვევს ხედვითი შეგრძნობას.

პლატონის შეხედულების წინააღმდეგ გამოვიდა საბერძნეთის მეორე ცნობილი ფილოსოფოსი არისტოტელი.

არისტოტელის აზრით, თვალი თავის აგებულობის გამო არ შეიძლება ყოფილიყო სინათლის წყარო. მხედველობა მისი აზრით წარმოსდგა იმ არეს რყევისაგან, რომელიც თვალსა და საგანს შორის მდებარეობს.

არისტოტელის მიერ გამოთქმული აზრი სინათლის ბუნების შესახებ წარმოადგენს იმ სწავლის (ტალღისებური რყევის თეორია) ჩანასახს, რომელიც შემდეგში იქნა განვითარებული და მიღებული. საშუალო საუკუნეებში სწავლა სინათლის შესახებ ისე, როგორც ბევრ სხვა დარგშიაც, არისტოტელის შეხედულებას ემყარებოდა. მაგალითად არაბეთის ერთ-ერთი სწავლული **ალგაზენი** თავის წიგნში „ოპტიკა“, ანვითარებს არისტოტელის შეხედულებას. გერმანელი ასტრონომი **იოჰანე კეპლერი** (1571—1630) პირველი მეცნიერი იყო, რომელიც მათემატიკურად მიუდგა სინათლის მოვლენებს. მართალია, კეპლერს არსებითად ახალი არაფერი შეუტანია სინათლის ბუნების გამოკვლევის საკითხში, მაგრამ მან გაარჩია რამოდენიმე მოვლენები, როგორც მაგალითად სინათლის გარდატეხა, ე. ი. მიმართულების შეცვლა, როდესაც სინათლის სხივი ერთ არედან მეორე არეში გადადის. იგივე კეპლერი ახდენდა ცდებს სინათლის ძალის გასაზომად და გამოსთქვამდა აზრს, რომ სინათლის მოვლენები ემორჩილებიან მექანიკის კანონებს. სინათლის გარდატეხის და არეკნის მოვლენებმა ცნობილი ფრანგი მათემატიკოსი **დეკარტი** (1596—1650) იმ დასკვნამდე მიიყვანეს, რომ სინათლის სხივები შესდგებიან მატერიალურ (ნივთიერ) ნაწილაკებისაგან.

მეორე ფრანგ მატემატიკოს **პიერ ფერმატის** აზრით გარდატეხის მოვლენების დროს უფრო მკვრივი (მინა, წყალი) არე მეტ წინააღმდეგობას უწევს სინათლის მოძრაობას, ვიდრე ნაკლებ სიმკვრივის მქონე (ჰაერი) და არა პირიქით, როგორც ფიქრობდა რენე დეკარტი.

სინათლის ბუნების და მოვლენების ინტერესი იმ ხანათ ძლიერი იყო და მრავალ სწავლულთა შორის **ნიუტონმაც** გამოსთქვა თავისი შეხედულება სინათლის ბუნების შესახებ. მისი აზრით: „სინათლე არის ნივთიერებათა პატარა ნაწილაკების დენა; ამ ნაწილაკების დენის წყაროს წარმოადგენს მნათი სხეული. ეს მცირე ნაწილაკები დიდი სისწრაფით მოძრაობენ სივრცეში, სანამ არ მიაღწევენ ადამიანის თვალს. მოხვდებიან თუ არა თვალს, იმ წუთსვე იწვევენ სინათლის შთაბეჭდილებას. ასეთ მცირე ნივთიერ ნაწილაკების გამოყოფა მზისაგან და მათი მოხვედრა ჩვენს მხედველობის ორგანოზე იწვევს მზის სინათლის შთაბეჭდილებას“.

ნიუტონის შეხედულება, რომელიც პირველად რომაელმა **ლუკრეციმ** გამოსთქვა, შემდეგში არ გამართლდა. მიუხედავათ ამისა ნიუტონს დიდი ღვაწლი მიუძღვის სინათლის თვისებათა შესწავლაში. მზის სინათლე ჩვენ გვეჩვენება თეთრად, სინამდვილეში კი ის მრავალფერთა ნარევს წარმოადგენს.

ამის დასამტკიცებლად ნიუტონი შემდეგ ცდას ახდენდა.

ოთახის ერთ კედლიდან (ფანჯრის პატარა რგვალ ნასვრეტში) ნიუტონმა გაატარა მზის თეთრი სინათლის სხივების კონა; მოპირდაპირე კედელზე მიიღო რგვალი ნათელი ლაქა (ПЯТНО). მაგრამ, როდესაც სინათლის სხივთა გზაზე რგვალ ნასვრეტსა და მოპირდაპირე კედელს შორის, მან მინის სკანი (მინის სამწახნაგოვანი ნაჭერი) მოათავსა, მოპირდაპირე კედელზე მიიღო არა ნათელი რგვალი ლაქა, არამედ ცისარტყელას ყველა ფერებით შეღებილი ზოლი.

ფერების მიმდევნობა ნაჩვენებია სურათზე. მართალია, ამ ზოლზე, რომელსაც სპექტრი ეწოდება გარკვევით მხოლოდ შვიდი ფერი მოსჩანს. სინამდვილეში კი გაცილებით მეტია. სპექტრის შვიდ ფერს უბრალო ფერებს ეძახიან. სპექტრის შვიდ ფრად დანაწილება სრულებით ნებითია. სინამდვილეში კი სპექტრის ყველა ფერთა შორის სამია ძირითადი: წითელი, ყვითელი, და ლურჯი. მათი შერევით კი შეგვიძლია მივიღოთ ყოველგვარი ფერი.

ამ ცდით ნიუტონმა დაამტკიცა, რომ მზის თეთრი სინათლე მრავალ ფეროვანია სინამდვილეში, მაგრამ აღმოჩენის სიზუსტისათვის საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ სპექტრის ფერთა შეკრება მოგვცემდა ისევ თეთრ სინათლეს, რის დასამტკიცებლად ნიუტონი მოიქცა შემდეგნაირად: დაშლილ თეთრი სინათლის გზაზე ნიუტონმა მოათავსა ე. წ. შემკრები მინა, რომელიც ორივ მხრივ ამოზნექილ ოპტიურ მინას წარმოადგენს. ასეთ მინებს ის თვისება აქვთ, რომ მათზე დაცემულ სხივებს ერთ წერტილში კრებენ. და სწორედ ასეთი მინის საშუალებით დაშლილი სინათლე ნიუტონმა შეკრიბა და ისევ თეთრი სინათლე მიიღო. სპექტრის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერებისათვის და კერძოდ ოპტიკისათვის.

ჰოლანდიელი მათემატიკოსი და ასტრონომი **ქრისტიანე გიუგენსი 1629—1625** მუშაობდა ამავ საკითხზე, ე. ი. იკვლევდა სინათლის ბუნებას და მის წარმომშობ მიზეზს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მთელი სამყარო სავსეა აირის მაგვარ ჰაერივით მსუბუქ და გამჭვირვალე ნივთიერებით. ამ ნივთიერებას გიუგენსმა „ეთერი“ უწოდა. თანამედროვე მეცნიერებასაც სამყაროს სივრცე წარმოდგენილი აქვს, როგორც სავსე ამ ნივთიერებით, რომლის არსებობის დამტკიცება შეუძლებელია. მიუხედავათ იმისა, რომ „ეთერის“ შეგრძნობა და მისი არსებობის დამტკიცება არ შეიძლება, მრავალი ფიზიკური მოვლენების ახსნა შესაძლებელია მხოლოდ მისი (ეთერის) არსებობის დაშვებით. „ეთერი“ ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ძლიერ თხელი და მსუბუქი აირი, რომელიც ავსებს ხანებს, მანძილებს, სხეულთა ნაწილაკების შორის, ისე როგორც ჰაერი ან წყალი ავსებს ღრუბლის სვრეტებს. „ეთერი“ აგრეთვე ავსებს ჰაერის და წყალის ნაწილაკებსშორისო ხანებს, და ბოლოს მთელი სამყაროს სივრცე სავსეა ამ ნივთიერებით.

გიუგენსის აზრით სინათლე არის ტალღისებური, რყევითი მოძრაობა „ეთერისა“, რომელმაც პირველი ბიძგება მნათი სხეულისაგან მიიღო. მზე, რომელიც გავარვარებულ აირებისაგან შესდგება, თავის გარშემო ავრცელებს დიდ ძალის სითბოს, სიცხეს.

ცხელი მიმდინარეობანი ამ აირებისა იწვევენ მზის გარშემო მყოფ „ეთერის“ რყევას. რყევა თანდათანობით გადადის „ეთერის“ ერთ ნაწილიდან მეორეზე და წარმოუდგენელი სისწრაფით მიეშურება, სანამ არ მიაღწევს ადამიანის თვალს. „ეთერის“ ტალღები ეცემიან რა თვალს, იწვევენ მასში გაღიზიანებას, რასაც ჩვენ სინათლის შეგრძნობას, ხედვას ვუწოდებთ.

რამდენადაც ძლიერია სხეულის ნათება, მით უფრო სწრაფია სინათლის ტალღათა მოძრაობა. თუ სინათლე მგვასად ბგერისა ტალღისებურ რყევას წარმოადგენს, მაშინ ყოველი ფერი სპექტრისა, რომელიც თეთრი სხივის სკანში გარდატეხით მივიღეთ, უნდა განირჩეოდენ ერთმანეთისაგან რყევის სიხშირით. ამ თვისებით, ე. ი. ტალღის სიგრძით განირჩევიან ფიზიკურად ფერები.

ყველაზე უფრო გრძელი ტალღა წითელ ფერს აქვს. ტალღის რყევის სისწრაფე კი ნაკლები. მისი ტალღის სიგრძე უდრის მილიმეტრის მე-800 მილიონედ ნაწილს, ტალღის სისწრაფე კი 400 ბილიონს წუთში. სპექტრის ფერების ტალღათა სიგრძე თანდათან კლებულობს, რყევის სისწრაფე კი მატულობს. მაგალითად ზედა ფერის—იისფერის ტალღის სიგრძე უდრის მილიმეტრის მე-400 მილიონე ნაწილს.

მზის სინათლის სპექტრის შემდეგმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ მოკლე ტალღათა იქით მოიპოვებიან უფრო მოკლე ტალღები. ეს ტალღები იმდენად მოკლე არიან, რომ არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენენ ჩვენი მხედველობის ორგანოზე. სპექტრის ამ უხილავ სხივებს „ულტრა იისფერი“ სხივები ეწოდება. ზოგიერთ ნივთიერებაზე ეს სხივები ქიმიურად მოქმედობენ, რაზედაც მაგალითად დამყარებულია ფოტოგრაფია. ადამიანის და ცხოველების ორგანიზმზე მოქმედებენ ფიზიოლოგიურად და ზოგიერთ ცხოველები ამ სხივების გავლენით ანათებენ და სხ. როგორც იისფერ სხივთა იქით მდებარეობენ ულტრა იისფერი სხივები, ისე სპექტრის მეორე მხარეზე, წითელ სხივთა იქით მდებარეობენ ე. წ. ინფრა-წითელი სხივები. მათი ტალღათა სიგრძე იმდენად დიდია, რომ როგორც ულტრა-იისფერ სხივების მოკლე ტალღები არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენენ ჩვენი მხედველობის ორგანოზე. გიუგენსის თანამედროვეს დანიის ასტრონომს ოლაფ რეომერს ეკუთვნის პირველი გამოკვლევები სინათლის გავრცელების სისწრაფის შესახებ.

სინათლის სისწრაფე რეომერმა გამოიყვანა იუპიტერის თანამგზავრთა დაბნელების დაკვირვებიან. მისი გამოანგარიშებით სინათლის სისწრაფე დაახლოვებით უდრიდა 300.000 კილომეტრს წუთში. რეომერის გამოანგარიშება დადასტურებულ იქნა ნახევარი საუკუნის შემდეგ ინგლისელ ასტრონომ ბრადლეის მიერ. მეცხრამეტე საუკუნეში სინათლის სისწრაფის გამოანგარიშებაზე მრავალი მეცნიერი მუშაობდა. მაგ. ფიზიკოსი **ფიზო** (1849), **ფუკო** (1850 და 1862), **კარნიუ** (1874), **ნიუკომბი** (1882) და სხვები. აღნიშნულ მკვლევართა გამოანგარიშებით სინათლის სისწრაფე 298.000-დან 299.860 კილომეტრს უდრიდა წუთში.

ეს სისწრაფე იმდენად დიდია, რომ ჩვენს დედა-მიწაზე მისი ზომების მიხედვით სინათლე მყის ვრცელდება.

მაგრამ მანძილი მზისა და დედა-მიწის შორის ძლიერ დიდია. (149½ მილიონი კილომეტრი) და მზის სინათლის მოღწევას ჩვენამდე შესამჩნევი დრო სჭირდება. ზუსტი ასტრონომიული გამოანგარიშებით მზის სხივი დედა-მიწამდე უნდება 8 წუთი და 18½ წამი.

მე-19 საუკუნეში, როდესაც საფუძვლიანად იქნა შესწავლილი ელექტრო-მაგნიტური მოვლენები, სინათლის ბუნების შესწავლა ახალ ნიადაგზე დგება. ცნობილმა ინგლისელმა ფიზიკოსმა **მიხეილ ფარადეიმ (1791—1867)** გამოსთქვა აზრი, რომ სინათლე ელექტრო-სხივთა ერთ-ერთი სახეს წარმოადგენს და რომ ელექტრო-სხივები ტალღისებურად ვრცელდებიან. ფარადეის შეხედულება მეორე ინგლისელმა მათემატიკოსმა **ჯემს კლერკ მაქსველმა** მათემატიკურ ფორმულებში გამოხატა.

საჭირო იყო ფარადეი-მაქსველის თეორეტიული შეხედულებანი ცდით დამტკიცებულიყო. ელექტრო-სხივთა ტალღისებური გავრცელების ცდით დამტკიცება წილად ხვდა ფიზიკოს **გენრიხ ჰერცს.** მრავალმა ცდებმა, რომელსაც ახდენდა ჰერცი ელექტრო ძალის გავრცელების შესახებ, მიიყვანეს იგი იმ დასკვნამდე, რომ ელექტრო-სხივები ემორჩილებიან იმავ კანონებს, რასაც სინათლის. უკანასკნელად მიღებულია ე. წ. სინათლის ელექტრო-მაგნიტური თეორია.

ბოლო ხანს გამოკვლევებმა ცხად ჰყვეს სინათლის წონადობა. სინათლის სხივი ეცემა რა სხეულებზე, ახდენს მათზე დაწოლას, რასაც ჩვენ შევიგრძნობთ სხეულების გათბობით.

მზე არ იძლევა სითბოს, არამედ სინათლის ნაკადს, რომელიც სითბოში გადადის მხოლოდ მაშინ, როდესაც სინათლის სხივები დედა-მიწის და მასზე მყოფ საგანთა ზედაპირს ეცემა. ეს სითბო არეკნის საშუალებით ვრცელდება ჰაერში. ასეთი მოსაზრება მტკიცდება იმით, რომ ატმოსფერის ზედა-ფენებში—მთებზე—ტემპერატურა ნულზე დაბლაა, მაშინ, როდესაც დედამიწის მახლობლად კი სიცხეა, ე. ი. თბილა. საპლანეტათაშორისო სივრცეში, რომელსაც გამოივლის მზის სხივები, ტემპერატურა რამოდენიმე ასეულ გრადუსს აღწევს ნულს დაბლა.

ჩვენი ცოდნათა განუწყვეტელი განვითარება თანდათან გვაახლოვებს ჭეშმარიტებას სინათლის ბუნების საკითხში. ის, რაც გუშინ ჭეშმარიტებათ მიგვაჩნდა, შეიძლება დღეს უარყოფილ იქნეს და ამრიგად ადამიანის აზროვნებას უფრო და უფრო ფართო ჰორიზონტი ეშლება ჭეშმარიტების ძიებისათვის...

ა. ბ—ძე.

ლი-სუან-ჩანი
სურათი თანამედროვე ჩინეთის ეპოქიდან

1

უკვე მოხუცდა ლი-სუან-ჩანი,
თმა გაუთეთრდა კარგა ხანია,
არც ენანება.—ახალგაზრდობას
მისთვის რა კარგი მოუტანია?!
ჯერ კიდევ ბავში იყო პატარა,
როცა გააბეს მძიმე უღელში,
ის ქარხანაში იყო „ბავ“ მუშად,
მყრალი ნიჩაბით ნახშირს ღუმელში.
შემდეგ კი, როცა წამოიზარდა,
ქარხნის პატრონმა მიაპყრო თვალი,
„ბედი შეჰყარა“ და აწმენდინა
ხან ფეხსაცმელი, ხანაც შარვალი.
იქ ლი-სუან-ჩანს მისივე სისხლით
ჩინელი ქალი,—საბედო შეხვდა,
ბატონთან ისიც ლი-სუანსავით,
ხან იატაკს და ხან კედლებს ხეხდა.
აინთო ორთავ წმინდა ლამპარათ
ტრფობის ისარი გულმა გულს სტყორცნა,
ლი-სუან-ჩანმა სატრფოს ტუჩებზე
მარწყვათ მოსწყვიტა პირველი კოცნა.
დაფიქრდა და თან გულის ნადები
სატრფოს-საცოლეს გაუზიარა.
დასთანხმდა იგი... და ლი-სუან-ჩანს
იმ დღიდან აზის გულზე იარა.
განრისხდა ჯიმი (ასე ქვიოდა
ლი-სუან-ჩანის სახელად ბატონს)
მას, დაუბღვირა,—ურჩმოდ ირთავ?!.
გინდა ასცილდეს იგი ჩემს საწოლს?!—
განრისხდა იგი... და ლი-სუანი
ათრევს მის შემდეგ ჯიმის ორთვალას.
შიგ გაებმება როგორც პირუტყვი;—
ხშირად გრძნობს ზურგზე მათრახის ძალას.

2

ბევრჯერ მობრუნდა მიწა მის შემდეგ,
ბევრი წაიღო ქვიშანი წყალმა,
ბევრი ჩინელი „კულტუროსანთა“
ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა...
ბევრს კიდევ დღესაც ზურგზე მათრახი
„მხსნელთა“ წყალობა აჩნია დაღად,
ბევრი თავისით მოსწყდა—სიცოცხლეს—
სთქვა—სხვის გინება ვითმინო რაღათ?!
ჯიმიც (ინგლისის „კეთილშობილი“,
„კულტუროსანი“, მხეცი, ნადირი)—
ჯიმიც მოხუცდა. მოხუცდა, მაგრამ
მაინც მრუშობდა ბებერი ვირი.
ლი-სუან-ჩანიც მოხუცდა უკვე...
მაინც დაათრევს ორთვალას მხეცის.
დარბის მთელი დღე... დაათრევს ბატონს,
ზურგი მათრახით ხშირად აეწვის...
მაგრამ მოხუცის გული ბებერი
კვლავ სიხარულით არის ანთილი,
თავის ქოხისკენ მიეჩქარება,
მზეს რომ ჩაჰყლაპავს ბინდის აჩრდილი.
იქ, ლი-სუან-ჩანს თავის სოროში
პირმშო ასული გამოეზარდა.
ჯაგლაგ ცხოვრებას მისთვის იტანდა,
ყოფა პირუტყვის მით არ უმწარდა.
ის იყო მისი იმედი, შვილა,
მზის სინათლე და წუთის სოფელი,
მისგან ელოდა საფლავის მიწას,
და ნუგეშს შვილის—ქირში მყოფელი.
ბებერ სიცოცხლეს გაძაღლებულსა,
გამწარებულსა მისთვის ზოგავდა,
თოხარიკივით მთელ დღეს დარბოდა,
თუმცა მიწაზე ძლივს-ღა ბორგავდა.
და აი, ლი-ჩანს მოხუცობის ჟამს
კვლავ ერგო ბილი პირშავი, მწარი...
სიკვდილის კარზე მის დაფლეთილ გულს
კვლავ გადაასხეს უხეშად ძმარი.

3

ჯიმომ გაიგო, მოხუცმა მრუშმა,
რომ ლი-სუან-ჩანს ასული ჰყავდა,
მთვარე პირ-ბადრი, თვალებ ტბიანი,
ლერწამ ხხოლით ჯეირანს ჰგავდა
(ლი-სუან-ჩანი ხომ იყო მონა!)
უთხრა მრისხანედ: დღეს საღამოზე
ჩემთან მომგვარე შენი გოგონა.
რომ დედა-მიწას მზე იმავ წუთში,
დასეტქებოდა ცას მოწყვეტილი,
და იან-ცზიან*) ამომშრალიყო,
წყალ ბაოაქა და ნაპირ კეცილი,
ვერ გაიგებდა, ვერას იგრძნობდა
გამწარებული ლი-სუან-ჩანი.
მოსტყდა... ორთვალას დაეყრდნო ობლად.
(ორთვალამ შთანთქა სუანის ჯანი)
ჯიმის ფეხებში მყის ჩაუვარდა,
მუხლებს მოეხვია ხელი ვედრებით
და მთრთოლვარე ხმით, გაბზარულ გულით
სთხოვა მან ბატონს, ოდნავ ყვედრებით:
— მთელი სიცოცხლე და ჩემი ჯანი,
ბატონო, შენთვის შემიწირია,
არ დამიზოგავს შენთვის არა რა
ჩანი ერთგული შენი ვირია,
დღე აქ ვაღამებ, ღამეს ვათენებ,
ბედაურივით ორთვალით ვქროლავ,
თვალში შეგყურებ, მსურს რომ გაამო,
და შენს რისხვაზე ვკანკალებ, ვძრწოლავ.
კვლავაც მე შენთვის ამ ჩემს სიცოცხლეს
არ დავინანებ, არ დავიშურებ;
გთხოვ, ოღონდ, აი, მუხლებ მოდრეკით,
ცრემლების დინით, შენც ხომ უყურებ—
დამეხსენ ჯიმი, იგი ქალია
ჩემი მზე, ჩემი სინათლე თვალის.
მას ჰყავს საქმარო... მას სურს სიცოცხლე...
ის შემყურეა ჯერ მომავალის...
და ნუ მოსწამლავ!.. მე მაპატიე
შენს ყმას და იმის მოხუცსა მამას.
ნუ გამიმწარებ ამ წუთი სოფელს
მოხუცი ცრემლით გავედრებ ამას.
— იქით გაეთერ, ბრიყვო, პირუტყვო,
განა არ გახსოვს ჩემი ხარ მონა?
ფეხზე მკიდია მე შენი გრძნობა,
სახლში მომგვარე შენი გოგონა,
— გთხოვ მაპატიო...
— გარეთ გაეთერ!...
— გთხოვ მაპატიო, ბატონო, შვილი.
— გაეთერ მეთქი... ეი მსახურნო!
დაჰკარით მაგას ჯოხები მსხვილი.

4

დალევრემილი და დაღონებული
მივიდა ჩანი თავის ბინაზე.
ქუჩაში შვილი შემოეგება,
(იას შეშურდა მისი სინაზე)
თბილი ალერსით მოქანცულ მამას,
მზრუნველი შვილი გადაეხვია
და მოკრძალებით, პატივისცემით
შრომით დამანჭულ შუბლზე ემთხვია...
და ლი-სუან-ჩანს ცრემლები წასკდა...
ვერ შეიმაგრა ბერმა ქვითინი,
ცრემლებს ყლაპავდა და ლუღლუღებდა...
— ჩემს სისხლს კვლავ სვამენ... სვამენ ისინი...
— რაა, ძვირფასო, რა დაგემართა?
ეგ შენ რა მოგდის, გეთაყვა მამა?!
სთქვი ვინ დაგჩაგრა, ვინ შეურაცხყო,
მამა, სიცოცხლე ვინ მოგიშხამა?!
სთქვი, არ შევარჩენთ, შენც კარგად იცი,
ჩვენ პატრონი გვყავს—ჩემი საქმარო!
ჩვენ ცოცხალნი ვართ, შენ სიმწარისგან,
ეგ რა მოგვესწრო, ცრემლები ღვარო?!
სთქვი, სთქვი მამილო ვინ მოგაყენა
შეურაცხყოფა შენ ეგრე მწარე.—
— შვილო ძვირფასო!.. ამ სიბერის დროს
მე ახალ ხიფათს გადავეყარე...
და სუან-ჩანმა პირმშოს აუხსნა
„კულტუროსანი“ მხეცის ბრძანება.
ქალი დაფიქრდა და უთხრა მამას,
— დაე, ასრულდეს იმისი ნება.
მაგრამ უთხარი, ჩემი პირობა:
ღვინო, სასმელი, სასმელი ბევრი,
თუ მომინდება, შამპანიურის
უნდა მომართვას მე იმან ქვევრი.
განცვიფრდა მამა... მაგრამ ასული
შემოეხვია ალერსით ყელზე
და მოხუც მშობელს კვლავ მოკრძალებით
ემთხვია იგი დაკოჟრილ ხელზე.
საღამოს ჩანმა თვით მიიყვანა
პირუტყვ ბატონთან თავისი შვილი,
და სიმწარისგან, კვლავ აუყუჩდა
ლი-სუანს გული მოხუცის—ჩვილი.

5

ჯიმის ტუჩებზე მოადგა ნერწყვი,
დადგა ბებერი... გაშალა სუფრა...
მაგრამ ასულმა წინასწარ იმას,
თავის პირობა ამოიგდა უთხრა:
— მოვედი ხედავ... ვერსად წაგივალ.
შენ ბატონი ხარ, მე შენი მონა,
და ის მსურის, მაინც, დრო გავატაროთ,
ისე რომ დამრჩეს კვლავ მოსაგონად.
დავლიოთ ღვინო, დავითროთ ორთავ,
და სიყვარული უფრო გატკბება.
ჯერ ჩემი გული გაყინულია,
იგი ღვინოთ როგორ გათბება?!—
ჯიმი სიამით დასთანხმდა რჩევას,
აილო ჭიქა, გაავსო ღვინით,
შესვა, დაასხა... და დაუწაფა
ასულის ტუჩებს ბებრული ჟინით...
და აი, იმ დროს, როცა ბებერი,
გამოეხვია მრუშ ვნების ალში,
ასულმა ფრთხილად იმის სასმისში,
ბანგი ჩაასხა გაძრული წყალში.
მიიჩუნდა ისევ ჯიმი სასმისთან,
აილო ხელში და ალერსებით,
სთქვა სადღეგრძელო ტურფა ასულის,
მასთან რომ იგი მოვიდა ნებით...
გადაჰკრა ის და... დაჰკიდა თავი,
მყისვე ღრმა ძილში შეცურდა ბერი,
აუშვა ხვრინვა, ხვრინვა ისეთი,
რომ ზანზარებდა მაღლაც კი ჭერი.
მაშინ ასულმა ანთილ სანთელით
ჯერ შეარუჯა ბერს ულვაშ-წვერი,
შუბლზე სანთლის დაასვა რქები,
ბოლოთ მიაბა ტილოს ნაჭერი,
გახადა ტანზე, მოდღოთა კუპრით,
და ამოსვარა ბუმბულში მთლიანად,
შემდეგ მოუხმო მამას, საქმაროს,
და გაუსწორდა სამართლიანად:
იშოვეს ვირი და ვირი ვირზე
კუპრში და ბუმბულში გასვრილი მთელად,
თანაც წვერ-ულვაშ შემორუჯული,
წამოასკუპეს უკუღმა ხელად.
და რომ იმ ვირზე სწორად მჯდარიყო
(მძინარე იყო ბებერი ჯიმი)
მაგრად დააკრეს ის ვირის კუდზე
ამოიყარეს ამგვარად ჟინი.
მრუშში ბებერი ამ ყოფით,—ვირით
იმ დროს ქალაქში შემოატარეს
გზაში ბუმბულიანს, ვირზე მძინარეს
ლაფი, ტალახი, ბლომად აყარეს.
ჯიმის ქალაქში გამოღვიძება
(ის ვირზე იჯდა კიდევ პირქვემოთ,)
მრისხანე ღრიალით, ბრაზით ბებერი
ლამის დაირჩო, ბრდღვინავდა; სლუკუნდა...
ცას და ქვეყანას სწყევლიდა იგი...
ემუქრებოდა ყველა ჩინელებს
ეხლაც კი ახსოვს თავის შერცხვენა,
ჯავრს, სანამ ცოცხლობს, ვერ მოინელებს.

6

ლი-სუან-ჩანი, მისი ასული
და მათი სიძე (სიძეა უკვე)
კანტონის ჯარმა იხსნა განსაცდელს,
როს უ-პეი-ფუ დაამხო პირქვე.
სიძე-სიმამრი კანტონის ჯარში
დღეს ითვლებიან მამაც მეომრად
მათ მტრის მტრულად ძალუძთ მიღება
და მეგობრისა კიდევ მეგობრად.

ხოზიკა.

---

*) დიდი მდინარე ჩინეთში.

ა.-კ. პროფსაბჭოს პლენუმი

მეოთხე სხდომა

ამხ. ბაბაჯანოვის მოხსენება

8 ოქტომბრის დილის სხდომაზე ამხ. ბაბაჯანოვმა მოხსენება გააკეთა საფაბრიკო - საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების გადარჩევის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წრევანდელი კამპანია გაცილებით უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე წინა წლებში ჩატარებული კამპანიები. კამპანიისათვის დიდი წინასწარი მუშაობა იყო ჩატარებული. კრებებს ყოველთვის მრავალი ხალხი ესწრებოდა და მუშაობაც უფრო ნაყოფიერათ მიმდინარეობდა.

გადახალისებული იქნა საფაბრიკო - საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების შემადგენლობა; მუშაობაში ჩაბმულია მუშა - მოსამსახურეთა ახალი კადრები.

მეხუთე სხდომა

საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. ბაბაჯანოვის მეორე მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ზრდა ნაწილობრივ ხდება არაპროლეტარული ელემენტების ხარჯზე, რაც აიხსნება იმით, რომ ზრდა მეტად სწრაფად ხდება. მომავალში კავშირის გაძლიერება უნდა მოხდეს სასოფლო - სამეურნეო მუშების ხარჯზე.

ამხ. ბაბაჯანოვი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მიერ ჩატარებული იყო პროფმუშაობის გამოკვლევა ადგილებზე; ამ გამოკვლევიდან გამოირკვა, რომ სოფლად პროფმუშაობა ვერ არის სათანადოთ დაყენებული, პროფაქტივი მცირერიცხოვანია, წევრებს დროზე არ შეაქვთ საწევრო გადასახადი, შრომის ხელშეკრულებები ყოველთვის არ სრულდება და სხვა.

ადგილებზე სუსტათ არის დაყენებული შრომის დაცვის საქმე. ხშირია კონფლიქტები მუშებსა და მწარმოებლებს შორის. კონფლიქტების გადაწყვეტას დიდხანს აგვიანდება.

ამხ. ბაბაჯანოვის მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, ისე ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა.

ორატორები აღნიშნავდენ სოფლად მუშაობის ნაკლს და ხაზს უსვამდენ ადგილობრივი კავშირების ფინანსიურ სისუსტეს.

უკანასკნელი სხდომა

მეექვსე სხდომაზე პლენუმმა მოისმინა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები. რეზოლიუციების განხილვის და დამტკიცების შემდეგ პლენუმი დაიხურა.

საპაიო გადასახადი

კოოპერაციაში

კოოპერაციამ წამოაყენა სამომხმარებლო კოოპერაციაში საპაიო გადასახადის გადიდების საკითხი. ამ მოთხოვნილებას კოოპერ. ასაბუთებს იმით, რომ სამომხმარებლო კოოპერ. სისტემის გაძლიერებული ბრუნვა მოითხოვს, რომ კოოპერატიულ მეურნეობას ჰქონდეს საკუთარი თანხები, და ეს თანხები შექმნილი უნდა იქნეს, უმთავრესად, საპაიო გადასახადებისაგან.

ამჟამად საპაიო გადასახადი უდრის 5 მანეთს. საპაიო გადასახადები მთლიანადაც რომ იქნეს შეგროვებული, რაც ვერ ხორციელდება, მაშინაც კი ქვედა საფეხურის კოოპერატიული ქსელის კაპიტალი არ აღემატება 60.000.000 მანეთს მთელს საბჭოთა კავშირში. ეს თანხა მხოლოდ ერთი მესამედი ნაწილია იმ ბრუნვის, რომელიც ექნებათ საქალაქო, სატრანსპორტო და სამომხმარებლო კოოპერაციას 1926-27 წელში.

ამიტომ წამოყენებულია საკითხი საპაიო გადასახადის 15 მანეთამდე გადიდების შესახებ.

ეს საკითხი განხილული იქნა ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე. საგეგმო კომისიამ აღნიშნა, რომ ეს ციფრი მეტად დიდია, რასაც შეუძლია კოოპერაციის წევრთა რიცხვის შემცირება.

საგეგმო კომისიის აზრით, ძალაში დატოვებული უნდა იქნეს არსებული საპაიო გადასახადი (5 მანეთი) ყველა ადგილებში, გარდა სატახტო და დიდ ქალაქებისა, სადაც საპაიო გადასახადი შეიძლება გადიდებული იქნეს 10 მანეთამდე.

ახალი მოგებიანი სესხი

პროფორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ ახალი სესხის ობლიგაციების გავრცელებას

(საქართველოს პროფსაბჭოს ცირკულიარული წერილი)

საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის ამხ. ფანცხავას და საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამხ. მარკმანის ხელის მოწერით, საქართველოს ყველა პროფორგანიზაციებს შემდეგი ცირკულიარული წერილი დაეგზავნა:

„ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა 1926 წლის სახელმწიფო შინაური სესხი.

ამ სესხს მიზნად აქვს გაადიდოს კავშირის საბრუნავი თანხები, რომელნიც სავსებით და მთლიანად მოხმარდება ჩვენი მრეწველობისა, სასოფლო-მეურნეობისა, ვაჭრობისა და საბინაო აღმშენებლობის გაფართოებას.

გარდა ამისა, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, როგორც თავისი ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი, მაქსიმალურად არის დაინტერესებული საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ ძალ-ღონის გაძლიერებასა და განმტკიცებაში, ეს სესხი მეტად სასარგებლოა მისი შემძენისათვის, ვინაიდან იგი დიდ შანსებს იძლევა მოგებისათვის (საშუალოთ ყოველ 12 ობლიგაციაზე მოდის ერთი მოგება).

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს საქართველოს ყველა პროფორგანიზაციებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ და მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინონ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკს და ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს აღნიშნული სესხის ობლიგაციების გავრცელების საქმეში. ეს დახმარების აღმოჩენა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ საწარმოთ კრებებზე, რომელნიც უნდა მოხდეს ა.-წ. 25 ოქტომბრამდე (ამ ვადის შემდეგ ობლიგაციებზე ხელის მოწერა შეწყდება), ჩატარებულ იქნან ახსნა-განმარტებითი მოხსენებანი სესხის შესახებ და შემდეგ და გვარად აწარმოონ მოლაპარაკება წარმოებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელობასთან, რომ მათ თანამშრომლებს მიეცეთ ავანსი სესხის ობლიგაციების შესაძენად.

მომხსენებლის გამოსაძახებლად ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სახელმწიფო ბანკს, რომელთაც ტელეფონით (ამ.-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატი—№ 4—64 და სახელმწიფო ბანკი—11—30) უნდა აცნობონ საზოგადო კრების დრო და ადგილი“.

ინდო

6 ოქტომბერს, კენინგამი დასთანხმდა კონფლიქტის ლიკვიდაციაზე კავშირის მიერ წამოყენებულ პირობებში, ხოლო 7 ოქტომბერს განუცხადა ც. კ., რომ „ინდოს“ კომპანია ვერ დასთანხმდება კვირა დღეების ანაზღაურებაზე მთელი გაფიცვის განმავლობაში. რამდენიმე საათის შემდეგ კენინგამმა ისევ შეიცვალა აზრი და განაცხადა, რომ დაიცავს ამ პირობებს. ც. კ.-ში მოსალაპარაკებლად გამოცხადდენ კენინგამი და კ. კ.

დადებულ იქნა წინასწარი კოლხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა „ინდოს“ წარმომადგენელმა მოითხოვა გაგრძელებულიყო 1929 წლის 30 სექტემბრამდე. ამაზე ც. კ. არ დასთანხმდა. რადგან კენინგამმა და კომპანიამ დაარღვიეს ის პირობები, რომლებზედაც ისინი წინედ დასთანხმდებოდენ, ამიტომ მთავარ სავაჭრო კომიტეტმა განაცხადა რა პროტესტი მათი ასეთი საქციელის გამო, სთხოვა ცეკას შემდეგში ის არავითარ დათმობაზე აღარ წასულიყო და წინადადება მისცეს ინდოს კომპანიას, რომ კომპანიის მიერ მის წარმომადგენლებთან დადებულ ხელშეკრულების პირობების მიღებამდე, არ იქნება განხილული არავითარი ახალი წინადადებები.

ქსანის ველის მორწყვა

წყალთა მეურნეობის სამმართველომ გაგზავნა გორის მაზრაში ტეხნიკოსთა პარტია ინჟ. ჯათარიძის მეთაურობით ქსანის ველის სარწყავი სისტემის გეგმის შესადგენათ.

ძველად ეს ველი ირწყვებოდა პრიმიტიული საშუალებებით, მაგრამ ომიანობის დროს უყურადღებობის გამო ეს ძველი სარწყავი სისტემა სრულიად მოიშალა.

წელს, თანახმად ახლობელ სოფლების შუამდგომლობისა განზრახულია გაყვანილ იქნეს ველზე სარწყავი არხები.

სულ მოირწყვება 350 დესეტინა სახნავი მიწა.

ს. მ. უ. საბჭოში

თამბაქოს ტრესტის ბინები

ს. მ. უ. ს. საბჭომ დაადგინა მიღებულ იქნეს ზომები თამბაქოს ტრესტის საგილზო საწყობებისათვის ახალი ბინების რაოდენობის გასადიდებლად.

აბრეშუმის ტრესტის სტრუქტურა

ს. მ. უ. ს. მიერ დამტკიცებულია აბრეშუმის ტრესტის დროებითი სტრუქტურა და შტატები.

შტატების საბოლოოთ შემუშავება მოხდება ტრესტის საბოლოოთ ჩამოყალიბების შემდეგ.

ახალი სააქციო საზოგადოება

ს. მ. უ. ს. საბჭომ დაადგინა შეიძინოს აქციონერათ თბილისში ახლად დაარსებულ სააქციო საზოგადოება „მკერვალში“, რომელიც ეწყობა ყოფ. „გრუზშვეიპრომის“ მაგიერ.

ლაბორატორიის მოწყობა

საშუალო კვალიფიკაციის ტეხნიკოსები

განათლების კომისარიატის ცნობებით წელს სპეციალური ტეხნიკუმები დაასრულა 504 მოწაფემ, რომელთაც მიენიჭათ საშუალო კვალიფიკაციის ტეხნიკოსის უფლება. ტეხნიკუმები დაამთავრეს:

თბილისში

სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმები დაამთავრა 300 მოწაფემ, მათ შორის 49 ქალია; ეროვნების მიხედვით—237 ქართველია, 29 სომეხი, 3 თურქი, 19 რუსი, 2 ოსი, 6 ებრაელი, 4 დანარჩენი ეროვნების.

სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები დაამთავრა 48 ვაჟმა, მათ შორის 39 ქართველია.

ინდუსტრიალური ტეხნიკუმი დაამთავრა 42 კაცმა, ყველა ქართველია.

ქიმიური ტეხნიკუმი დაამთავრა 37 ვაჟმა, აქედან 36 ქართველია.

პროვინციაში

თელავში პედაგოგიური ტეხნიკუმი დაამთავრა 16 მოწაფემ, მათ შორის 5 ქალია.

სიღნაღში პედაგოგიური—7 მოწაფემ, აქედან 3 ქალია.

ქ. გორში პედაგოგიური ტეხნიკუმი—24 მოწაფემ, მათ შორის 8 ქალია.

ზესტაფონში სამრეწველო-ეკონომიური 30 ვაჟმა.

ქუთაისში სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი 23 მოწაფემ, ერთი ქალია. პედაგოგიური ტეხნიკუმი კი დაამთავრა 40 მოწაფემ, მათ შორის 22 ქალია.

ხონში პედაგოგიური ტეხნიკუმი დაასრულა 23; მათ შორის 21 ქალია. ინდუსტრიალური ტეხნიკუმი დაამთავრა 10 ვაჟმა.

ახალ-სენაკში პედაგოგიური ტეხნიკუმი დაასრულა 31 მოწაფემ, მათ შორის 15 ქალია

ამ 504 საშუალო კვალიფიკაციის ტეხნიკოსებიდან ნაწილი განაგრძობს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო ნაწილი კი ხელს კიდებს პრაქტიკულ მუშაობას.

საერთო აღწერა

სრულიად საკავშირო აღწერასთან დაკავშირებით, საქართველოში აღწერის ჩატარების შესახებ ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

— საერთო აღწერის დღეთ დანიშნულია 17 დეკემბერი. სწარმოებს ამჟამად წინასწარი სამზადისი, რომ აღწერა ჩატარდეს უნაკლოდ და თავის დროზე. ამისათვის შედგენილია სქემატიური რუკები—ქალაქების, დაბების, სოფლების და საზოგადოთ დასახლებული ადგილების. რუკებზე აღნიშნული იქნება დაწვრილებით ყველა ის პუნქტები, სადაც უნდა მიიღონ აღწერლები, თორემ ძველი აღწერების დროს ყო შემთხვევები, რომ აღწერიდან სრულებით გამორჩათ ზოგიერთი უბნები და ხშირათ სოფლებიც. გარდა ამისა სდგება ადგილებზე მცხოვრებთა სია, რაც უკვე დამთავრებულია ჩვენში 30 პროცენტით.

აღწერას ხელმძღვანელობს ცალკე აღწერის განყოფილება. ქალაქებისათვის განყოფილება ამზადებს ცალკე გეგმებს ქუჩების, უბნების და სახლების აღნიშვნით.

საღწერო პერსონალის რაოდენობა უკვე გამოკვლეულია და მაზრებს დაეგზავნათ ინსტრუქციები იყოლიონ ისინი აღრიცხვაზე. აღწერის ჩასატარებლად იბეჭდება ფორმულიარები. საქართველოსათვის (ქართულ ენაზე) უკვე დაიბეჭდა ორი მილიონ ნახევარი ცალი საღწერო ბარათი. ერთი—პირადობის ბარათით, მეორე საოჯახოთი და მესამე სახლკარის.

ამას გარდა იბეჭდება საგიტაციო ხასიათის წიგნაკები და პლაკატები. რაც დარიგებული იქნება ადგილებზე საღწერო კამპანიის ჩატარების წინ.

ლაბორატორიის მოწყობა

ს. მ. უ. ს. ცენტრალური ლაბორატორიის მოწყობისა და მომავალი მუშაობის გეგმის შესახებ ლაბორატორიის გამგემ ინჟ. ა. დევდარიანმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— ლაბორატორიას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს ეკონომიკაში. ჩვენი მიზანია შევისწავლოთ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი და განსაკუთრებით კი ნედლი მასალის გამოყენების საკითხი. ამისათვის საჭიროა ჩვენში არსებულ მრეწველობისათვის საჭირო ნედლი მასალების დაწვრილებითი შესწავლა ლაბორატორიული მეთოდებით. მაგრამ ამისოთ დღემდე ჩვენ არ გვქონდა არც ერთი სრულად მოწყობილ ლაბორატორია. ეხლა უკვე დაძლეულია ეს დაბრკოლება და ჩვენ შევუდექით დიდი ლაბორატორიის მოწყობას, რომელიც ერთი საუკეთესოთაგანი იქნება მთელ კავშირში.

გარდა ამისა, რომ შევიძინეთ ადგილობრივ რამოდენიმე ლაბორატორია, ვფიქრობთ აგრეთვე გამოვიწეროთ საზღვარგარეთიდან უკანასკნელი ტიპის გაუმჯობესებული აპარატები. ამ საქმისათვის განზრახული გვაქვს დავხარჯოთ 25.000 მანეთამდე.

გამოსაწერ აპარატებიდან აღსანიშნავია— ელექტროლიტიური აპარატები, სპექტროსკოპები, ვააკუმის ხელსაწყოები (შეთხელებული ჰაერის შესაქმნელად), თერმოსტატები, მოლეკულათა სასწორები და სხ.

ლაბორატორიას ექნება აგრეთვე საწარმოო ხასიათი. აქ დავამზადებთ სხვადასხვა ქიმიურ პრეპარატებს და ქიმიურ ელემენტებს რაც ეხლა შემოგვაქვს ან საზღვარ გარეთიდან და ან რუსეთიდან.

ვარაუდით ლაბორატორია უნდა შეუდგეს მუშაობას 1-ლ დეკემბრიდან.

ქრონიკა

გერმანიის თავისუფალ მოაზროვნეთა დელეგაციის გამგზავრება

გუშინ დილით საქ. სამხედრო გზით თბილისიდან კავკავში გაემგზავრა გერმ. თავისუფალ მოაზროვნეთა დელეგაცია.

„ატლას დიზელის“ წარმომადგენელი თბილისში

გუშინ ღამით სტოკჰოლმიდან თბილისში ჩამოვიდა „ატლას დიზელ“-ის წარმომადგენელი ტეილერი, რომელიც 1921-23 წ. შვეციის კონსულად იყო ბათომში.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ტეილერმა აღნიშნა, რომ თბილისის სახ.-სამ. გამოფენამ შვეციაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ამაზე გაზეთები ბევრს სწერდენ. მას განზრახული ჰქონდა დასწრებოდა გამოფენას, მაგრამ დააგვიანდა.

ტეილერი თბილისში დარჩება ორი დღე. ხოლო შემდეგ გაემგზავრება მოსკოვში „გოსტორგთან“ მოლაპარაკების მიზნით.

ამხ. შეფლერის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭ. კავშირის ცენტრალური სას.-სამ. ბანკის თავმჯდომარე შეფლერი.

მარგანეცის გატანა

ს.-ბა „ქართული მარგანეცი“-ს მიერ მიმდინარე წლის სექტემბერში ფოთის ნავთსადგურიდან საზღვარგარეთ გატანილია 5.218 ტონა მარგანეცი.

მთელი სექტემბრის თვის განმავლობაში კონცესიონერების მიერ გატანილია 6040 ტონა, აქედან 819 ტონა პეროქსიდი.

დაზღვევა

— კამპანია. სოც. დაზღვევის ცენტ. სამმართველოს დადგენილებით სოც. დაზღვევის კამპანია გადადებულია 1927 წლის თებერვლისათვის.

— დაზღვევა. სოც. დაზღვევის სამმართველომ შეიმუშავა ცირკულიარი ერთეულ მშენებელ მუშების დაზღვევის შესახებ.

— ანგარიშები. სოც. დაზღვევის სამმართველო შეუდგა ცნობების შეკრებას ადგილობრივ პუნქტებზე მყოფ დაწესებულებების დავალიანების შესახებ.

— დახმარება. სოც. დაზღვევის სამმართველო იმუშავებს შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს დახმარების გამოანგარიშების პროექტს.

სოც. უზრუნველყოფის კომისარიატში

— არტელები. სოც. უზრუნ. კომისარიატის ცნობით ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობს ინვალიდთა 33 არტელი, რომლებშიაც მუშაობს 350 ინვალიდი.

— გადარჩევა. გლეხკომების გადარჩევა დღემდე დამთავრდა: სიღნაღის, თელავის, შორაპნის, ახალციხის, ახალქალაქის, რაჭის, ლეჩხუმის, ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში.

— **გაძლიერებული პენსიები.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა—დამსახურებულ რევოლიუციონერებს, საზოგადო მოღვაწეებს და ასეთების ქვრივ-ობლებს სექტემბერში დაურიგა გაძლიერებული პენსიების სახით 3.300 მანეთი.

— **ერთდროული დახმარებები.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მთავარმა სამმართველომ სექტემბერში ერთდროული დახმარების სახით დაურიგა: ქვრივებს, ობლებს, ინვალიდებს და უკიდურესი სიღარიბეში ჩავარდნილ პირებს—4.711 მანეთი.

— **კომისარიატის განყოფილებებიდან გაცემული დახმარებები.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის თბილისის განყოფილებამ სექტემბერში დახმარებათ დაურიგა: ქვრივებს, ობლებს და გაჭირვებულებს—3.279 მანეთი.

— **ომის და შრომის ინვალიდებს.** პენსიების სახით კომისარიატის თბილისის განყოფილებამ სექტემბერში დაურიგა—ომის და შრომის ინვალიდებს 3.407 მანეთი და 50 კაპ.

— **რამდენი დაიხარჯა საინვალიდო სახლებზე.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა სექტემბერში დახარჯა საინვალიდო სახლების შესანახად—5.390 მანეთი და 97 კაპ.

— **გლეხკომების კონფერენცია.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით—დღეს, 9 ოქტომბერს, სენაკში შესდგება სენაკის მაზრის ურთი-ერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოებების (გლეხკომების) სამაზრო კონფერენცია. კონფერენციას თბილისიდან დაესწრება კომისარიატის და სრულიად საქართველოს ურთი-ერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოებების ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი.

სას.-სამ. ბანკში

— **სახელოსნო.** სასოფლო-სამეურნეო იარაღების და ტრაქტორების შესაკეთებელ სახელოსნოს მოსაწყობათ გორში, გადადებული იქნა 7.500 მან.

— სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოსატანად წელს დაიხარჯება 569.000 მანეთი.

— „მწყემსი“-ს ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა სესხად მისცა 15.000 მან.

საბინაო მშენებლობა

— ბინების იაფად აშენების მიზნით საბინაო-კოოპერატივებმა გადასწყვიტეს მთავრობის ნებართვით, თვითონ უშუალოდ სატყეოებში დაამზადონ სატყეო მასალა.

— **სახლების აგება.** მიმდინარე წელში გარეუბნებში სახლები აგებული იქნება მხოლოდ დაგეგმილ ადგილებზე.

— **ახალი ამხ-ბა.** სიღნაღში არსდება საბინაო აღმშენებლო კოოპერატიული ამხ-ბა.

— ჭიათურაში მუშათა საბინაო მშენებლობის გასაფართოებლად დამხმარე კომიტეტი ამუშავებს ცალკე გეგმას.

— **სესხი.** საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა დააკმაყოფილა ცხინვალის საბინაო კოოპერაციის შუამდგომლობა სესხის მიცემის შესახებ.

კრებები და მოხსენებები

— **დამცველთა კოლეგიის წევრთა კრება.** კვირას დილის 10 საათზე დანიშნულია დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება.

სხვადასხვა

— **საკურორტო სამმართველომ** ბორჯომში აიღო 60 საწოლი. ავადმყოფების პირველი წყება გაიგზავნება 1 ნოემბერს. ზამთრის სეზონში სულ გაიგზავნება 200 ავადმყოფი.

— **არტელი.** ქუთაისში დაარსდა: „დასავლეთ საქართველოს ფოტოგრაფების არტელი“, ურთიერთ დახმარების საფუძვლებზე.

შემთხვევები

— **ქურდი სტუმარი.** 8 ოქტ. მოლოკნის ქ. № 31 თედორე ფურცელაძის ბინა გაქურდა მასთან სტუმრათ მყოფმა გიორგაძემ.

— **შეპყრობა.** 8 ოქტ. ქურდობისათვის შეიპყრეს მამედ მამედოვი.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით სასამართლოს ქუჩა № 31 გაქურდეს თამარა ვარძიელის ბინა. წაიღეს 500 მ. ნივთები.

— **ქურდობა.** 8 ოქტ. დავიდოვის ქუჩა № 27 იულია შაპოვის ბინიდან მოიპარეს 500 მ. ნივთები.

— ამავე დღეს კურსკის შესახვევი № 16 გაქურდეს ვარვარა პრიშაძის ბინა.

— ამავე დღეს ალექსანდროვის ქუჩა № 11 გაქურდეს სიოათიმა ახმედ ლაშიძის ბინა.

— **დაწვა.** გუშინ საღამოს (გონჩაროვის ქ., № 43) ვასილ იაკუტოვმა შემთხვევით დასწვა გურგენ საკოვი, რომელიც გადაიგზავნა რესპ. საავადმყოფოში.

— **ჯიბგირობა.** გუშინ საბადურის ქ. № 10 მიხეილ კურდიკოვს ჯიბიდან ამოაცალეს 83 მანეთი.

წყალდიდობა აჭარისტანში

ამ დღეებში მოსულმა დიდმა ნიაღვრებმა ძლიერ დააზიანეს მერისის, ხიხათის და სხვა გზატკეცილები, რომელთა გასაყვანი მუშაობა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ბევრგან ჩამოწყვეტ მეწყრები და ჩაინგრა გზები.

ზემო აჭარაში დასდო დიდი თოვლი. რამაც დალუპა თამბაქოს და სხვა მოსავალი.

ზარალი ძალიან დიდია.

ზარალის გამოსაკვლევათ დაინიშნა სპეციალური კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

გოგირდ-მჟავას ქარხანა

ამას წინეთ ა.-კ. ავიაქიმმა მიანდო ინჟენერ-ტეხნოლოგ ქართველიშვილს შეემუშავებინა ამიერ-კავკასიაში გოგირდის-სიმჟავის ქარხნის მოწყობის პროექტი.

ინჟ. ქართველიშვილის მიერ შემუშავებული პროექტი გადაეცა ა.-კ. საგეგმო კომისიას, რომელმაც თავის მხრივ იგი გადაუგზავნა ა.-კ. უმაღ. ეკ. საბჭოს დასკვნის გამოსატანათ.

გოგირდის სიმჟავეზე დიდი მოთხოვნილებაა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მრეწველობაში. განსაკუთრებით დიდი საჭიროებაა გოგირდ-მჟავაზე ქიმიურ მრეწველობაში.

ქარხნის ასაგები ადგილის გამოსარკვევათ და აგებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლათ არჩეულია სპეციალური კომისია. ქარხნისათვის საჭირო ნედლი მასალა განსაკუთრებით მრავლათ მოიპოვება აზერბეიჯანსა და სომხეთში.

წიგნების გავრცელება

მიმდინარე საოპერაციო წელში დიდი ყურადღება ექცევა ლიტერატურის და საკანცელარიო ნივთების გავრცელებას სოფლად. „ცეკავშირი“ ამჟამად აწარმოებს ფართო კამპანიას წიგნების გასასაღებელ პუნქტების შესაქმნელათ.

„ცეკავშირმა“ გახსნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ლიტერატურის მიმწოდებელი 50 პუნქტი, აქედან 45 პუნქტი მოწყობილია დასავლეთ საქართველოში, ხოლო 5 პუნქტი აღმოსავლეთ საქართველოში. რასაკვირველია, ამით შეუძლებელია მთელი მოსახლეობის დაკმაყოფილება. ამიტომ „ცეკავშირის“ მუშაობა მიმართულია ამ პუნქტთა ქსელის გაფართოებისაკენ განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. ამ მიზნით გადაწყვეტილია კიდევ რამოდენიმე ახალი პუნქტების გახსნა.

მიმდინარე შემოდგომაზე განსაკუთრებით სექტემბერში აღნიშნულ პუნქტებს „ცეკავშირმა“ მიაწოდა 100.000 მანეთის ღირებულების ლიტერატურა.

ეკონომიური რუკა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის თაოსნობით სწარმოებს მუშაობა საქართველოს თანამედროვე ეკონომიური რუკის შესადგენათ.

რუკა იქნება ორ ვერსიანი მასშტაბის და შეიცავს 36 დიდ ფურცელს.

რუკის შედგენას ხელმძღვანელობს ტოპოგრაფი ი. ბარამიძე.

ხელოვნება

ქუთაისის აკადემიური დრამა

რეჟისორ ივ. ბარველის ხელმძღვანელობით შესდგა მსახიობთა შრომის კოლექტივი, რომელმაც უნდა აწარმოოს დრამის 1926—27 წლის სეზონი. კოლექტივს დახმარების სახით ეძლევა ქუთაისის სამაზრო აღმასკომიდან 13.887 მანეთი სამაზრო პროფბიუროდან 1.000 მანეთი.

ყოველთვიურად გაიმართება 10 ფასიანი წარმოდგენა და 1 უფასო პროფკავშირების წევრთათვის, სეზონის განმავლობაში გაიმართება სულ 65 ფასიანი და 10 უფასო წარმოდგენა

რეპერტუარში შეტანილია შემდეგი პიესები: „სიკვდილი“—ჰ. გოთუასი, „ბეთქილ“—დიანელისა, „ურაგან“—მისივე, „სინათლე“ 1 და 2 ნაწილი—ი. გედევანიშვილისა, „თილისმის ხანი“—გ. ერისთავისა, „მეფე არლეკინი“—დ. კასრაძისა, „ხალიფის მემკვიდრე“ და „ვირის ჩრდილი“—ლ. ფულდისა, „სპარტაკ“, „ლატავრა“ და „ზურაბ თევაური“—ა. შანშიაშვილისა. —თამარ ცბიერი“—აკაკისა. „გუშინდელნი“—შალვა დადიანისა, „პირიმზე“—შოთა დადიანისა, „კაოუს გრახკუს“—მონტისა, „ჯანყი გურიაში“—ნინოშვილისა, „რაც გინახავს“—ა. ცაგარელისა, „მეამბოხე“—ბერ. შოუსი და „გლეხის ქალი“—ი. ბარველისა.

სავასტროლოდ მოწვეული იქნებიან სახალხო მსახიობნი ნ. ჩხეიძე და ნიკო გოცირიძე და დამსახურებული მსახიობი ნინო დავითაშვილი; რამოდენიმე პიესის დასადგმელად მოწვეული იქნებიან რეჟისორები კოტე მარჯანიშვილი და ალ. წუწუნავა.

დასის შემადგენლობა ასეთია: ქალნი—ა. ვარნელი, ს. ლორთქიფანიძე, აჭარისტანის სახალხო მსახიობი—მარო მდივანი, თ. მაკარაშვილი. ე. ყენრადიანი, ნ. ჩიხლაძე, ო. ჩხეიძე და ნ. წინამძღვარი.

ვაჟები: ჰ. აბაკელია, ვ. ადამია, ა. ალაზნისპირელი, ნ. გოძიაშვილი, გ. გრიკო, შ. ინასარიძე, ე. კოსტავა, ნ. კრავეიშვილი, ვ. ლოლაძე, შ. მანაგაძე, მ. სვანიძე, გ. როსიძე, მ. ციციაშვილი. ამათ გარდა, ჯამაგირით მოწვეულნი არიან ახალგაზრდა თანამშრომლები 4 ქალი და 10 ვაჟი.

მთავარი ხელმძღვანელი და რეჟისორი—ივ. ბარველი მორიგე რეჟისორები ნ. გოძიაშვილი და მანაგაძე, თანაშემწე—ნ. მეძმარიაშვილი, მოკარნახენი—კ. დოლიძე და პ. ლოლაძე.

მოსამზადებელი მუშაობა სეზონის გახსნისათვის დაიწყო 16 სექტემბრიდან; სეზონი გაიხსნება 21 ოქტომბერს დ. კასრაძის პიესით—„მეფე არლეკინი“.

შეღავათიანი ბილეთები მუშათა თეატრში

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან მოწვეულ კულტთათბირზე მოსმენილ იქნა თბილისის მუშათა თეატრის (რუსული დრამატიული თეატრი) ადმინისტრატორის — ამხ. ალექსანდროვის მოხსენება ადგილების ფასის შესახებ.

გამოირკვა, რომ დირექციის მიერ დაწესებულია ბილეთების ფასი 30 კაპ.—2 მანეთამდე.

კულტთათბირმა დიდათ სცნო ეს ფასები. თათბირის აზრით, მუშათა თეატრი უნდა იყოს მუშებისთვის. ამიტომ საუკეთესო ადგილის ფასიც ისე უნდა იყოს დაწესებული, რომ მუშამ შესძლოს მისი ყიდვა.

თათბირმა მიზანშეწონილად სცნო, რომ საუკეთესო ადგილის ფასად დაწესებული იქნეს ერთი მანეთი.

იმისათვის, თუ როგორ უნდა განაწილდეს დანარჩენი ადგილების ფასები მანეთის ფარგლებში, გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს აგრეთვე აბონემენტების ფასები.

ხელოვნების ქრონიკა

— სახალხო არტისტ ვასო აბაშიძის გარდაცვალების გამო გუშინ აკადემიურ დრამაში გადაიდო „ზამუკ“-ის რეპეტიცია.

—მომღერალ არაბ-ქალის არლე ტიცის პირველი კონცერტი გაიმართება დღეს, რუსთაველის საკონცერტო დარბაზში.

— **„მშვენიერა“.** ახლო ხანში გამოვა ი. იმედაშვილის პოემა: „მშვენიერა“.

— **ნაძალადევის კლუბში.** ოთხშაბათს, 13 ოქტომბერს გაიმართება სამუსიკო-სალიტერატურო საღამო. მონაწილეობენ: დები თარხნიშვილები, ნ. ზომლეთელი, ციმბირელი, ხერხეულიშვილი, შინატეხელი, ხიდისთაველი, მაშაშვილი, ნავთლუღელი, კ. რამიშვილი, ბებურიშვილი და სხვა.

— **დისპუტი.** კვირას 10 ოქტომბერს 12—საათზე სამხატვრო აკადემიის დარბაზში შესდგება დისპუტი ამავე აკადემიის მხატვრულ გამოფენების გარშემო.

— **ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა კონცერტი.** ხუთშაბათს, ოქტომბრის 14-ს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების ორკესტრი მართავს დიდ სიმფონიურ კონცერტს სახალხო არტისტის ვანო ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. პროგრამაში მხოლოდ ქართული მუსიკაა. კონცერტზე მონაწილეობას ღებულობენ საუკეთესო ძალები.

— **პროლეტარულ მწერალთა შორის.** ორშაბათს, 11 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა.

მეორეთ ასვლა მყინვარზე

გამგზავრება

15 სექტემბერს დილითვე სტეფანწმინდიდან გადავედით სოფ. გველეთში, საიდანაც იწყება ასვლა დევდორაკის მყინვარისაკენ. ექსპედიციიდან სამნილა დავრჩით: ს. ჯაფარიძე, ალ. ჯაფარიძის ასული და მე (ატო აღნიაშვილი). გამყოლებათ მოგვდევდენ განუყრელი გახა (წიკლაური) და იაგორი (კაზალიკაშვილი), მზიდავათ მიხა ზაგაშვილი.

ღამე გვეძინა დიდებულიძის ნაბინავარზე და მეორე დღეს, 16 სექტემბერს, ავედით შევარდნის ბუდეში. შუა დღეზე ამინდი გაფუჭდა: ატყდა ქვეალმა. ქარი ქვეიდან გვაყრიდა ხორხოშელას და ხელფეხს გვიყინავდა. ბარგით ზურგზე ასეთ ამინდში ასვლა საკმაოთ ძნელია. მიუხედავათ ამისა დიდებულიძის ნაბინავრიდან შევარდნის ბუდემდე 5 ნახევარ საათში ავედით.

აქ პრიმუსზე დავადნეთ თოვლი (წყალი არ იყო) და ჩაი ავიდუღეთ. გამყოლებმა ბანდულები ახლათ ამოგვიბანდეს და თუმცა ამინდი სანუგეშო არ იყო — ასასვლელათ მომზადებულებმა დავიძინეთ.

ასვლის წინა ღამეს

ხვალ—გადამწყვეტი დღეა: სანოვაგე მხოლოდ ერთი დღისა გვაქვს. მეტი ჩვენ თითონ ვერ ამოვიტანეთ და მზიდველების ფული კი აღარ გვქონდა. თუ ხვალ ავდარი დაგვიდგა—ვერ ავალთ მწვერვალზე, ვერ ჩამოვიტანთ ხელსაწყოების ჩანაწერებს და მაშასადამე ექსპედიციის შინაარსის საუკეთესო ნახევარი ჩაიფუშება. ეს გარემოება მეტად ჩამაფიქრებელი იყო. მაგრამ რატომღაც ყველა იმედიანათ ვიყავით.

ხვალ დასვენებული უნდა ვიყოთ და ამიტომ დღეს ადრე ვწვებით. მაგრამ ვაი ამ დაწოლას: შევარდნის ბუდე მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია:ოდესღაც ის ცინკით იყო გადაფარებული; რევოლიუციის ხანებში აქ ამოსულან ახლო სოფლებიდან მცხოვრებლები და სახურავი აუყრიათ და თავისთვის წაუღიათ. დარჩენილი ხის ჭერი წვიმას უშვებს და იატაკი წუმპეს წარმოადგენს. აქ დაწოლა კლდეზე გაჩერება სჯობს. ჩვენ კიდეც გადაწყვეტილი გვქონდა „ყინვართ გუმბათთან“ დაბანაკება, რომ თანაც უფრო ახლოს ვყოფილიყავით მწვერვალთან, მაგრამ ამოვარდნილი ქარბუქი გვაიძულებს თავი „ბუდის“ კედლებს შევაფაროთ.

რამდენათაც შესაძლებელია იატაკი გავაშრეთ და გამოვასუფთავეთ და ნაბდებში გამოხვეულნი სითბოსთვის მჭიდროთ დავწექით. ღამის 12-მდე ქარი არ შეწყვეტილა და ღრუბლები და ნისლი სქლათ ეფინა არე-მარეს. „იბრძვიან, აი! იბრძვიან ქარი და ნისლი“, იძახიან გამყოლები; რომელი მოერევა, ვინ იცის. ნისლი ქვეიდან, ქარი კი ზეიდან აწვება ომია მყინვარწვერისთვის“.

ერთი გვაინტერესებს: გათავდება დილამდის ეს ბრძოლა, თუ არა? „ვერარა კაცი გაიგებს მყინვარის ამბავს. ზოგჯერ 4 და 5 დღე იბრძვიან ხოლმე. მძლავრია ქარი, მაგრამ ნისლიც ქოფაკია: ხან გვერდიდან უვლის, ხან გველივით ხევიდან მოიგრიხება“. ვერაფერ სანუგეშოს გვეუბნება მოხუცი გახა, მთავარი გამყოლი.

12 საათზე ქარმა უმატა და 1-ლზე უკვე გაფანტა ნისლი და ღრუბლები. ეხლა ქარის ჩადგომაღა გვენატრება.

ასვლის დღე, 17 სექტემბერი

დილის 3-ზე ყველა ფეხზეა. წინა ღამით დადნობილი თოვლის წყალით ავადუღეთ, მოვამზადეთ ჩაი და საფუძვლიანათ ვისაუზმეთ. მშიერი გასვლა ძნელ მგზავრობაში არ ვარგა და ამიტომ თუმცა ასე ადრიანათ ჭამა გვეძნელება—მუყაითათ ვილუკმებით.

ქარი ჩადგა და ყველა მშვენიერ გუნებაზეა. სწორეთ 5 საათზე ოდნავ იბჟუტა აღმოსავლეთმა და ჩვენც ერთ რიგათ მოწყობილებმა დავადექით, ბარტ-კორტის ქედზე. ეგრედ წოდებულ „გახა წიკლაურის ბილიკს“. ტემპერატურა ამ დროს უდრიდა—2.

ძალიან გვეჩქარებოდა, რადგან ამინდი ნაშუადღევს თითქმის მუდამ ფუჭდება. მწვერვალს 1 საათამდე უნდა მოუსწროთ. ერთ საათში მივედით „კლდე ქოხზე“ და 2 ნახევარში—„ყინვართ გუმბათთან“ ვიყავით. დროგამოშვებით ცოტ-ცოტას ვისვენებთ. „მრისხანე“ კლდესთან თოვლყინულზე ნაპრალები შეგვხვდა, ამიტომ „მრისხანის“ კალთეზე გავიარეთ. ეს მეტად სახიფათო გზაა, რადგან „მრისხანიდან“ განუწყვეტლივ მოგორავს გამოფიტული კლდის ნამტვრევები და მგზავრს დიდი დაკვირვება სჭირია თავის მოსარიდებლათ. თოვლყინულაზე გახამ დიდის დაკვირვებით გაგვატარა პატარა ნაპრალებზე და დიდი—კი მოგვატარა.

9 საათზე და 20 წუთზე მივადექით, პოწის ძირს. ტემპერატურა იყო—9. ბანდულები გაიყინა და ფეხზე მოგვეჭირა. ამიტომ უძრავათ მყოფი ფეხები უარესათ გვეყინებოდა. მაღალი ახალი თოვლი ძლიერ აძნელებდა წინსვლას: ფეხი ნახევარ არშინზე იფლებოდა.

შუა წოწზე წრიაპები გავიკეთეთ და აქედან დაწყებული საფეხურების ჭრა იაგვეჭირდა. ყველა კარგათ იყო, მხოლოდ მე მწვერვალთან მიახლოებისას ცოტა სისუსტეს ვგრძნობდი.

მწვერვალზე

პირველს 10 წუთი აკლდა, როცა ვაშას ძახილით მწვერვალს შევადგით ფეხი. დიდია ასვლის წუთი, ამ წუთის ყველა აფრთოვანებულია, მაგრამ ჩვენ არ გვცალია ამისათვის.დაუყონებლივ ჩავდივართ ბაქანზე, სადაც მეტეოროლოგიური ბუდრუგანა დგას. საქმე იმაშია, რომ ხელსაწყოების ჩანაწერი უნდა შეწყდეს ზუსტად გარკვეულ საათზე, უწუთებოთ. ჩვენ კი უათო პირველზე ავედით. მაშინათვე ამოტანილ ტერმომეტრით ჯაფარიძის ქალმა შეამოწმა ტემპერატურა და აღნიშნა ტერმოგრაფის ჩანაწერზედაც. ორთავე იარაღი ჩინებულ ყოფაში დაგვხვდა. ტემპერატურა აქ იყო—7.

გადავიღეთ ბუდრუგანის სურათი, მოვხსენით ხელსაწყოები, სიფრთხილით ჩავაწყვეთ ყუთებში, ავკიდეთ მზიდავს და დავბრუნდით წვერზე. აქედან გადაგვეშალა დიდებული სურათი თითქმის მთელი კავკასიონის, აღმოსავლეთით ღრუბლებიდან თავამოყოფილი სჩანან ყუროს წვერი და შინოს წვერი, დასავლეთით კი მყინვარიდან დაწყებული ჯიმარაი-ხოხი, ადაი ხოხი, ტეტნულდი შხარა და სხვა მრავალი და უთვალავი ვიდრე დარბაისელ მოხუც იალბუზამდე!..

ჩამოსვლა

მწვერვალზე გავჩერდით 1 საათი და 15 წუთი. შემდეგ ჩამოსვლა დავიწყეთ. ჩამოსვლა ასვლაზე უფრო გაგვიძნელდა. ახალ თოვლში გათხრილი საფეხურები ინგრეოდა და საჭირო იყო დიდი სიფრთხილე, რათა არ დავგორებულიყავით. დაღლილებს გზა დაუსრულებლათ გვეჩვენებოდა. ჩასვლის დაწყების შემდეგ არ გასულა 1 საათიც, რომ ქარი დაიწყო. ეს ქარი სწრაფათ ძლიერდებოდა და როცა გავცდით მარად თოვლს, ის ქარბუქათ იქცა. მისი მძლავრი დაბერვა წაქცევას გვიქადდა, მაგრამ ჩვენ აღარაფრის დარდი გვქონდა: მწვერვალიდან ჩანაწერები ჩამოტანილია!

დაბრუნება, 18 სექტემბერი

ქარბუქი მთელი ღამე გაგრძელდა და მეორე დილასაც არ შეწყვეტილა. შევარდნის ბუდეში სანოვაგე აღარ გვქონდა: ასვლის წინ უკანასკნელი პური შევჭამეთ და ეხლა მთელ დღე-ღამის მშიერებს გვეჩქარება ჩასვლა სოფელში. ამ საშინელ ქარბუქში დატვირთულებისათვის ძნელი იყო კლდეებზე ჩასვლა, ამიტომ გადაველით ნაყარზე და იმით ჩამოვცურდით ქვევით. იაგორი ამ დროს კლდეებზე ჩამოდიოდა. განზრახული ჰქონდა ჯიხვებზე ნადირობა. მართლაც მალე მოგვესმა თოფის ხმა და ქვევით დაგვხვდა მოკლული 5 წლის ჯიხვი. ეს ჯიხვი ძლივსძლივს გადავიტანეთ დევდარაკის ყინვარზე. აქ მისი გულ-ღვიძლით ვისადილეთ და იმავე დღეს ჩაველით სოფ. სტეფანწმინდაზე.

ასე დასრულდა მთებში მგზავრობა. 23 სექტემბერს კი თბილისში ჩამოველით.

ყინვარზე ორჯერ ასვლა 8 დღის განმავლობაში ეს არის ჯომარდული (სპორტიული) დიდი მიღწევა. ეს ერთი. მეორე და უმთავრესი არის ის ჩანაწერები, რომელიც მწვერვალზე იქნა მიღებული. ასეთი ჩანაწერი მთელ კავშირში ჯერ არსად მიუღიათ. ევროპის ალპებში, მონბლანზე არსებობს ობსერვატორია, მაგრამ ის თითქმის 300 მეტ. დაბალია მყინვარზე და ამიტომ ამ ჩანაწერს უდიდესი ღირებულება ეძლევა. აქვე, სადაც ელაპარაკობ ექსპედიციის მნიშვნელობაზე, არ შემიძლია გვერდი აუხვიო ჩვენ გამყოლების ქებას, რომელთაც მოგვეცეს საშუალება დაკისრებული მუშაობის ჩატარებისა. განსაკუთრებით თავდადებული უნდა იყოს კაცი, რომ ასეთ დაგვიანებულ დროს დასთანხმდეს ექსპედიციას გაუძღვეს მყინვარზე. ისეთ მცირე საფასურით, რომლითაც გამოგვყვა ეს ორი ადამიანი: გახა წიკლაური და იაგორა ყაზალიკაშვილი.

ატო.

სტუმრათ პირაქეთელ ხევსურებთან

სადგურ სტეფან-წმინდის (ყაზბეგის) მიდამოებში ბევრი საინტერესო და შინაარსიანი ექსკურსიის ჩატარება შეიძლება.

ერთ-ერთ ასეთ საინტერესო სვლიგეზათ (маршрут) პირაქეთელ ხევსურეთში გადასვლა უნდა ჩაითვალოს.

ერთი დღის განმავლობაში შეიძლება უახლოეს ხევსურულ სოფელში მისვლა, მისი დათვალიერება და იმ დღესვე უკან, სტეფან-წმინდაში დაბრუნება.

საქ. გეოგრ. საზ-ბის ექსპედიციამ, მყინვარწვერზე ასვლის და დაბრუნების შემდეგ, განიზრახა ამ სვლიგეზის შესრულება, მით უმეტეს, რომ ხევსურეთის და ხევსურების ნახვა ყველას დიდი ხანია გვენატრებოდა.

სად. ყაზბეგიდან, საქ. სამხედრო გზით თბილისის მიმართულებით სამი ვერსი გავიარეთ, რის შემდეგ მარცხნივ გადაუხვიეთ და ფეხი შევსდგით სნოს ხეობაში. გავიარეთ სნოს ხეობის სოფლები: სნო, ჯოსელნი, ახალციხე და კარკუჩა.



აქაც, ისე როგორც ხევში, მოხევეები სცხოვრობენ.

გზა სნოს წყალის ნაპირზე, ვეებერთელა, ცამდის აზიდულ მთებს გაზდევს. მოისმის ტკბილი, დამამშვიდებელი ნანას მაგვარი მდინარის ჩუხჩუხი.

მთის კალთების ხავერდოვან მწვანეზე, ურიცხვი ცხვარი ხარბათ შეექცევა ნოყიერ და სურნელოვან ბალახს. აი, დამთავრდა კიდეც სნოს ხეობა. მივედით გზაჯვარედინზე.

ამ ადგილას სნოს წყალს, ე. წ. ქვენა [illegible] ჩვენ დჯუთას ხეობას გავყევით. ბუნება უეცრივ შეიცვალა. მოჩუხჩუხე სნოს წყალის მაგივრად ჩვენ წინ ფაფარაყრილი, აზვირთებული მდინარე წამოიჭრა.



დჯუთას წყალი გველივით იკლაკნება მაღალ კლდეებს შორის და ალაგ-ალაგ საშინელის ღრიალით მოსწყდება შვეულ კლდეებზე და ჩანჩქერსავით ძირს გადმოეშვება.

კვლავ მშვენიერი ალპიური საძოვრები, კვლავ ცხვრის ფარა... ბოლოს გამოჩნდა ხევსურეთის უახლოესი სოფელი დჯუთა. სოფელი მთის კალთაზეა გაშენებული. სახლები ყველა ბანიანია. სახლის კედლები მოლოობილია და გარედან ტალახით არის შელესილი. ათი წლის განმავლობაში ალპობს ტალახი, მოლოობილ კედლებს და საჭირო ხდება ახალის მოლობვა.

სოფელში შეგვხვდა ქერის ნათესები; სხვა არაფერი არ მოდის. პური ქარტოფილიც კი ვერ ხარობს. სახლების წინ მრავლად აწყვია წივა, ანუ როგორც ადგილობრივად უწოდებენ,ქურთი—ზამთრისთვის სათბობი მასალაა. ტყე ახლომახლოს სრულიად არ მოიპოვება. საძოვრების სიმცირის გამო საქონელიც ცოტა ჰყავთ და ოქტომბრიდან მაისამდე სახლში კვებავენ.

შევედით ჩვენი მასპინძლის, ნათელის-ძე არაბულას სახლში. აქ დაგვხვდენ პირ-იქეთელ ხევსურეთიდან სტუმრად ჩამოსული ხევსურნი.

უქმე დღე იყო. ხევსურთ ხეობა ჰქონდათ. ყველა შეზარხოშებული იყო არაყის სმით და არაფრად მოეწონათ, რომ ორ ჩვენთაგანს მოკლე შარვალი ეცვა და ტიტველი ხორცი მოუჩნდათ. ხევსუ[illegible] მებას და სიამოვნების გრძნობით გვეუბნებოდა, თუ როგორ „გადმოთქრიალდებოდა“ ჩვენი სისხლი, როდესაც ის თავის „ლაჯიას“*) დაატრიალებდა.

ნათლად ვხედავთ თუ რა მარტივ რამედ მიაჩნდა ამ ხევსურს ადამიანის სიცოცხლე და მასთან გამოსალმება. ხიფათის თავიდან ასაშორებლად უმჯობესი იყო დროზე „გაპარვა“, მაგრამ თანაც სურათების გადაღება გვინდოდა და საუბედუროთ კი სწორედ ჩვენი „ფოტოგრაფი“ იყო მოკლე შარვალში.

ნათქვამია გაჭირვება მანახე, გაქცევას დაგანახებო, და ჩვენც კიდევ ერთხელ გავამართლეთ ეს ხალხური თქმა... ერთ მოკლე შარვლიანს გამყოლი მოხევეს გრძელი „შინელი“ ჩავაცვით, მეორეს კი ნაბადით დაიფარა ხევსურების ამაღელვებელი ტიტველი ფეხები...

შევუდექით სურათების გადაღებას. ირგვლივ ბუმბერაზი მთები აზიდულან... აგერ, აღმოსავლეთით გველის მთა და იქვე გველის მთის გადასავალი, რომლითაც ნახევარ დღეში ქისტეთში შეიძლება გადასვლა აქვე ქისტების მიჯნაზე.

შიბუ-ღელეში ვერცხლის და ოქროს მადანი არისო, გვეუბნება ადგილობრივი ხევსური, მაგრამ მოკლე შარვლის არ იყოს, ალბად არც ოქროს მადნის საძებრად სიარული მოეწონებათ დალოცვილ ხევსურებს... მოსჩანს თოვლიანი მთა **შიუხი, არხოტის მთა,** რომლის იქით არხოტის ხევსურეთია, **საძელის მთა,** საიდანაც უკვე პირიქითელი ხევსურეთი იწყება.

ხევსურეთის ბუნების შემდეგ თვით ხევსურები გადვიღეთ. ერთ-ერთ სურათში ჩვენი მასპინძელი ნათელის-ძე არაბულა ზის თავის თეთრ მერანზე, იქვე გვერდით მინდია არაბულა ზის ცხენზე, რომელიც სისტემატიურად პირველობას იღებს ყველა დოლში.

დოლი მეტად გავრცელებული და მიღებული სპორტია ხევსურეთში. აქ განსაკუთრებით ზრდიან სადოლე ცხენებს და მართლაც საგანგებო ცხენებია, რომლებსაც თავდაუზოგველი ქროლვა შეუძლიათ უცნაურ კლდოვან ბილიკებზე.



მეორე სურათზე ხევსური გიგიტა არაბული სდგას, რომელსაც ტანზე ჯაჭვი აცვია, თავზე მუზარადი, ანუ ხევსურულად ჩაჩქანი ხურავს, ხელში ფარი უკავია და მარჯვენა ხელის ცერზე ე. წ. ლაჯია აქვს წამოცმული.

მის გვერდით სდგანან ხევსური ქალები: **მზე-ქალა, თამარი** და **ძილა.** წინ კი ახალგაზრდა ხევსურები.

მესამე სურათზე ხევსურელი ქალებია. მოსჩანს აგრეთვე რამოდენიმე სახლი, რომლების წინ საზამთროდ გამზადებული ქურთი (წივა) აწყვია.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ხევსურელი ქალები ორ ჯგუფად არის გაყოფილნი და ეს არა შემთხვევით, არამედ განგებ, მიუხედავად ჩვენი თხოვნისა ერთ ჯგუფად დამდგარიყვნენ მაინც არ თანხმდებოდენ, საქმე იმაში ყოფილა, რომ ორ მათგანს თვიური ჰქონია და ამიტომ როგორც „უწმინდურს“ ნება არ აქვთ სხვებთან ერთად დადგენ.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი მეტად საინტერესო ჩვეულება, რომელიც სვანეთშიც არსებობს, სახელდობრ ის, რომ მშობიარე ქალს, ხევსურები მშობიარობამდე რამოდენიმე დღით წინ, განსაკუთრებულ შენობაში, ე. წ. სამრევლოში ათავსებენ.

სურათების გადაღებაში და ხევსურებთან საუბარში დაბინდდა კიდეც; ჩვენ ბინამდე კი 25 ვერსი გვაქვს გასავლელი.

შეუდექით დაბრუნებას. როდესაც სოფელში მივდიოდით, ზევიდან წივას ბელტები დაგვიშინეს. არაფრად გვეამა, მაგრამ მეტი გზა არ იყო, უნდა მოგვეთმინა ეს შეურაცხყოფა, მით უმეტეს, ესეც მოკლე შარვალის ხილვამ გამოიწვია ალბად.

გავსცილდით დჯუთას წყალს და თავისუფლად ამოვისუნთქეთ. გზაში სულ ხევსურეთზე ვფიქრობდით.

ამ დღიდან კიდევ უფრო მძლავრად აღგვეძრა პირ-იქითელ ხევსურეთის ნახვის სურვილი, მაგრამ რასაკვირველია „გრძელ“ და არა „მოკლე“ შარვალში.

სტეფან-წმინდანში ღამის 11 საათზე მივედით. ყველანი დაქანცულები ვართ, დღეს 50 ვერსზე მეტი გავიარეთ.

სამაგიეროთ ღამით ყველას ტკბილად გვეძინა.

დევი მიქელაძე

---

*) ლაჯია, მარჯვენა ხელის ცერზე წამოსაცმელი დაკბილული სპილენძის რგოლი, რომელიც ყოველი ხევსურისათვის მიუცილებელი იარაღია.

კალოშები

კოოპერატიულ ორგანიზაციების მოთხოვნილება კალოშებზე წელს ძლიერ გაიზარდა გასულ წელთან შედარებით. „ცეკავშირის" ცნობით ეს მოთხოვნილება გამოიხატება დაახლოებით 100.000 წყვილ კალოშში.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატმა უკვე მოახდინა კოოპერატიულ უწყებებს შორის კალოშების განაწილება. განაწილებით საქართველოს კოოპერატივებს ეთმობათ 40.000 წყვილი კალოში. აღნიშნული რაოდენობა ვერ დააკმაყოფილებს ჩვენი კოოპერატივების მოთხოვნილებას. ამის გამო „ცეკავშირმა" შუამდგომლობა აღძრა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა საქართველოს კოოპერატივებს მიეცეთ 100.000 წყვილი კალოში.

ღვინის დამზადება

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობა დასავლეთ საქართველოში შეუდგა ღვინის დამზადებას. ამ საქმისათვის სამმართველოს დასავლეთ საქართველოს განყოფილებას გაეხსნა კრედიტი 175.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხით შესყიდული იქნება უმთავრესად ყურძენი.

აღნიშნული თანხის გარდა, ამხანაგობას გამგეობა იღებს საკუთარის საშუალებებიდან ამ ოპერაციის ჩასატარებლად 180.000 მანეთს. ღვინის დამამზადებელი აპარატი დასავლეთ საქართველოში უკვე მოეწყო. 10 ოქტომბრიდან შეუდგებიან ყურძნის შეძენას.

მიმდინარე სამეურნეო წლის 1-ლ მეოთხედში განყოფილებამ უნდა დაამზადოს არა ნაკლებ 80.000 ვედრო ბუნებრივი და დაწყოერებული საექსპორტო ღვინო, 5.000 ვედრო ბადაგი და 150.000 გრადუსი არაყი.

თამბაქოს მოსავალი

ს. ა. უ. ს. სტატისტიკური განყოფილების ცნობით თამბაქოს სათესი მოედანი და მოსავალი ამჟამად ასეთ სურათს იძლევა:

1925—26 წლის თამბაქოთი დათესილი იყო 7.000 დესეტინა სივრცე; წელს კი დათესილია 8.500 დესეტინა; შარშან თამბაქოს მოსავალი უდრიდა თითო დესეტინაზე 67,5 ფ., წრეულს კი უდრის 70 ფუთს.

საერთო მოსავალი შარშან უდრიდა ათას ფუთებში—526, ხოლო წელს 680 ათას ფუთს უდრის. შარშანდელ მოსავალს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის მოუცია 7.371.000 მანეთი. წელს თამბაქოს მოსავლის ღირებულება უდრის 9.520.000 მანეთს.

შინამოსამსახურენი

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა შეადგინა შინა-მოსამსახურეთა დაქირავების და მათი შრომის პირობების დაცვის პროექტი, რომლის მიხედვით შინა-მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღება ხდება შრომის ბირჟის საშუალებით, ან დამქირავებლის და დაქირავებულის უშუალო შეთანხმებით. შინა-მოსამსახურის სამუშაოზე საბოლოო მიღებას შეიძლება წინ უძღოდეს წინასწარი ორკვირეული გამოცდა.

დამქირავებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შინა-მოსამსახურეს სამსახურში მიღებისას მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ.

დამქირავებელი ვალდებულია შინა-მოსამსახურის სამუშაოზე მიღების დროიდან არა უგვიანეს შვიდი დღისა, მისცეს მას საანგარიშო წიგნაკი.

შინა-მომუშავის სამუშაო დღე შეიძლება დაიყოს რამოდენიმე ნაწილად, იმ პირობით, რომ დაქირავებული თავისუფალ დროს გამოიყენებს თავის სურვილისამებრ.

შინა-მოსამსახურენი სამუშაოდან თავისუფლდებიან: 1 და 22 იანვარს, 25 თებერვალს, 12 და 18 მარტს, 1 მაისს, 20 სექტემბერს და 7 ნოემბერს და აგრეთვე განსაკუთრებულ დღეებში, რომლებიც წესდება შრომის კომისარიატის და პროფსაბჭოს მიერ.

მუშათა ჯანმრთელობა

წელს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, სხვა მუშათა დასასვენებელ სახლების გარდა ბორჯომში თავის ხარჯზე მოწყობილი ჰქონდა ნახევრად სანატორიუმი, სადაც ზაფხულის განმავლობაში იგზავნებოდენ მუშა-მოსამსახურენი. აღნიშნულ სანატორიუმში ზაფხულის სეზონში სულ გაიარა 500 კაცმა. აქედან სანატორიუმში იყო ორ-ორი კვირით 387 კაცი, ერთი თვით 113.

ავათმყოფთა შორის 98 ქალი იყო. ფიზიკური მუშა—335, გონებრივი მომუშავე—165 კაცი.

ეროვნების მიხედვით სანატორიუმში იქნიმა—237 ქართველმა, 125 რუსმა, 91 სომეხმა და 47 დანარჩენ ეროვნების მუშამ.

ავათმყოფებს მოსვლისთანავე სინჯავდენ და ანაწილებდენ სათანადო კამერებში. მათ ეძლეოდათ დღეში საკვები 5-ჯერ და ამოწმებდენ ჯანმრთელობის მხრივ დილა-საღამოს.

მომავალ წელში განზრახულია სანატორიუმის გაფართოება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ს. ა. კ. პ. ცენ. საკონ. კომისია წინადადებას აძლევს ვასილ ვასილისძე ბოგდანოვს გამოცხადდეს ამა თვის 11, 12, 13, საკონტროლო კომისიაში, ოთახი № 9. მესამე სართული.

— ს. კ. პ. ცენ. საკ. კომისია წინადადებას აძლევს გიორგი რევიშვილს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში 11 ოქტომბერს ოთახი № 9.

— ს. ა. ლ. ქ. კ. ცენტ. კომიტეტის პრეზიდიუმი იუწყება, რომ ამა წლის 18 ოქტომბერს პროფსაბჭოს შენობის წითელ დარბაზში მოწვეული იქნება **ს. ა. ლ. კ. კ. ცენ. კომ. პლენუმი.** დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1) ცენ. კომ. პრეზიდიუმის ანგარიში.
2) ბავშვთა კომუნისტური ორგანიზ. ცენ. ბიუროს მოხსენება.
3) კომკავშირის საზოგადოებრივ პოლიტიკური მუშაობა.
4) მოწაფეთა შორის მუშაობა.
5) საანგარიშო-გადამრჩევ კამპანიის შესახებ.
6) საკონფლიქტო კომისიის ამოცანების შესახებ.
7) ს. ა. ლ. კ. კ. სამ. ოსეთის საოლქო კომიტეტის მოხსენება და აგრეთვე ს. ა. ლ. კ. კ. სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის გამომკვლევი კომისიის მოხსენება.
8) სხვადასხვა ცენ. კომიტ. წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ. მდივანი გოზეჩია

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პროპაგანდისტთა კურსების მორიგი მეცადინეობა შესდგება სამშაბათს 12 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე.

1) რუსული ჯგუფი—განათლების მუშაკთა სახლში.
2) სომხური ჯგუფი—მესამე რაიონის პარტკლუბში.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონი აცხადებს, რომ ორშაბათს 11 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება **უჯრედთა გაერთიანებული დახურული კრება.**

სახელ. ბანკი, „ხლებოპროდუქტი", „ტელეგრაფი", ტელეფონი, ამ. კავ. მუშათა და გლეხ. ინსპექცია, ბანკების, საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკები, სოც. უზრუნ. სახ. კომისარიატი, ტრანსპორტელები, ამ. კავ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამ. კავ. ცენტ. სტატ. სამმართველო, სახკომსაბჭო, იუსტიციის სახალხო კომისარიატი, კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა, სახელმწიფო ოპერა, სომხური მუშფაკი, მეტყევეები, მშენებლები, მელითონენი, სახალხო კვება, ელექტრო სადგური, „ა. რ. ტ. ო", სავაჭრო ქარხნები, სატყეო ტრესტი, გზათა სახალ. კომისარიატის რწმუნებული, ამიერ-კავკასიის სახელ. დაზღვევის, მეეზოვეების, და წითელ არმიის მომხმარებელი საზოგადოება „ბოეც"—უჯრედები.

მომხსენებელი ამხ. ელიავა.

— საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის **აგიტპროპკოლეგიის სხდომა** შესდგება ოთხშაბათს 13 ოქტომბერს, დილის 9 საათ. ტფილ. კ. კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თვითგანვითარების ბიუროს მორიგი სხდომა შესდგება ოთხშაბათს 13 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე აგიტპრომმუშაკის ცენ. კაბინეტში.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის აღმრიცხველ-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ ამხ. ეგოროვთან.

1) ვართანიანც ვართქეს, 2) ვოლგეიკოვი ივანე, 3) ხეთაგური ნიკოლოზ, 4) დიკანოზოვი ორლანდი, 5) რაქვასი ივანე, 6) შანცი მიხეილი, 7) შინგელია ერემია, 8) ნიკიფოროვი ევგენი, 9) მიქაძე ილია, 10) ვასიევი ავდრეი, 11) გოგიბერიძე ლავრენტი, 12) კოლონაკი ვერა.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ კვირას, 10 ოქტომბერს, დილის 10 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება ბესარაბიელთა ამიერ-კავკასიის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

დღის წესრიგი: გამგეობის, სარევიზიო კომისიის მოხსენება და არჩევნები.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, ორშაბათს, ა.-წლის 11 ოქტომბერს, დილის 9 ნახ. საათზე გამოცხადდნენ განათლების სახალხო კომისარიატში ამხ. მეძმარიაშვილთან ოთახში № 22.

1) ხუნდაძე სერგო, 2) მამულაიშვილი ევრაფი, 3) კახაძე აკაკი, 4) კვიცარიძე გრიგოლი (განათლების მუშაკთა კავშირი), 5) თალაკვაძე ისიდორე (სახელმწიფო უნივერსიტეტი), 6) ჩიჩუა თეოფილე, 7) ძიძიგური (ნორჩ პიონერთა ცენტრ. ბიურო), 8) ლივშიცი (კავკასიის წითელი არმიის შტაბი), 9) მინასიანცი არამ (ამიერ-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი), 10) თუმანიანი აშოტ (ამიერ-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი), 11) პოლოსოვი (განათლების მუშაკთა კავშირი), 12) მონატოვი (ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი), 13) ვაშაძე (დამთ. ამ.-კავკ. კომუნ. უნივერსიტეტი), 14) საჯაია (დამთ. ამ.-კავ. კომუნ. უნივერსიტეტი 15) კრუჩკოვა სოფიო (დამთ. ამ.-კავკ. კომუნ. უნივერსიტეტი), 16) ორაგველიძე, 17) ზურაბიანი (ამიერ-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი).

— მუშათა ახალ კლუბში ორშაბათობით, სამშაბათობით და შაბათობით საღამოს 7 ს-დან 9 საათამდე დაწესებულია პოლიტიკური თვითგანვითარების კონსულტანტთა მორიგეობა.

საორგანიზაციო მეთოდებისა და ქალაქის რაიონის წრეებისა, პარტმუშებისა და ინდივიდუალების საკითხების შესახებ უნდა მიმართონ მორიგ კონსულტანტს.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მეკუთვნის თუ არა რაიმე წილი საერთო ქონებიდან

კითხვა

16 წლის ვიყავი რომ მამინაცვალთან მივედი შვილობილად ჩემი კუთვნილი ადგილ-მამულით და ვიყავი როგორც ერთ-ერთი წევრი ოჯახისა. მაქვს გაწეული დიდი ხარჯი: ავაგე 4 ოთახიანი სახლი და სხვ.

დღემდე ცოლ-შვილი მყავდა მამინაცვალთან. მე ვმუშაობ ქალაქად და ვეხმარებოდი მას ფულად დახმარებას. დღეს კი მამინაცვალმა ცოლ-შვილი გარეთ გამომიგდო და არ მაძლევს არავითარ წილს.

გთხოვთ მომცეთ დარიგება მეკუთვნის რაიმე წილი ქონებიდან თუ არა. ვარ კავშირის წევრი.

დ. ჩალაძე.

პასუხი

შვილად აყვანილს აქვს იგი უფლებები შვილად ამყვანთა ქონებაზე, რა უფლებებიც აქვთ ამყვანელ შვილებს მათ მშობლების ქონებაზე. შვილად ამყვანი და მიმღები შვილად აყვანილთა და მიღებულთა მიმართ სისხლით ნათესავებად ითვლებიან. (იხ. დეკრეტი № 28-ის მუხ. 142) ამას გარდა ის ქონება, რომელიც შეძენილია თქვენი პირადი შრომით და ხარჯით უდავოდ გეკუთვნით თქვენ. (იხ. მიწის კოდექსის მუხ. 51).

გაქვთ უფლება სასამართლოს წესით მოითხოვოთ საერთო ქონებისა და მამულის გაყოფა. (იხ. მიწის კოდ. მუხ. 65).

სახელმწიფო დრამის მსახიობნი და მუშა-მოსამსახურენი, მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ქართული თეატრის მამა-მთავრის—სახალხო არტისტის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ შაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო მსახიობი

ვასო აბაშიძე

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი დიდი მწუხარებით აღნიშნავს რესპუბლიკის სახალხო მსახიობის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას ამა ოქტომბრის 9-ს

სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილება მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას.

კორპორაცია „დურუჯი" მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, ქართული თეატრის ბუმბერაზის რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ვასო აბაშიძის

გარდაცვალებას

„თეატრი და ცხოვრება"-ს რედ. იოსებ იმედაშვილი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ოქტომ. 9 ნაშუადღევის სრულ 3 საათზე გარდაიცვალა ქართული თეატრის ნათობი

ვასო აბაშიძე

ღრმად დამწუხრებულნი: დარია გრიგოლის ასული, ბარბალე, თამარი და ეთერ ვლადიმერის ასულნი, ნინა გრიგოლის ასული და შალვა ილიასძე ხეთერელი, ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 ოქტომბერს ხანგრძლივ, და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი მეუღლე მეორე, მესამე და მეოთხესი ერთად ერთი ნუგეში მამილო და უკანასკნელის სიძე, ქვისლი და გულითადი მეგობარი ალმასკომის ტექნიკოსი

ვლადიმერ სიმონისძე ყიფიანი

გამოსვენება მოხდება სამშაბათს 12 ოქტომბერს ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარ ბინიდან. პალიოვის ქ. № 1

ღრმად დაწუხრებულნი: დედა სურათა, რძალი ზინა და ძმა ვასო ულრმეს მადლობას უხდიან; „ზაჰესში" მომუშავე ამხანაგებს, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს (მინას ამხანაგებს); ხაშურის რკინის გზის დაწესებულებების, განსაკუთრებით კი ლიანდაგის განყოფილების მეხუთე უბნის მუშა-მოსამსახურეებს, რკინის გზის თვითკონტროლში მომუშავეებს და აგრეთვე ყველა ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს, რომლებმაც პატივი სცეს და დაესწრნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის უდროოდ გარდაცვალებულ უძვირფასესი

მინა (მინუკა) ნესტორის ძის ჩლაიძის

გამოსვენება-დაკრძალვას

აპოლო

არტისტო

სოლეი

მაყურებელთა თხოვნით მეორე კვირაში გაგრძელდება ჩვენება სურათ

„ხანუმა"-სი

(ქეთო და კოტე)

რეჟის.—ა. რ. წუწუნავა. ოპერ.—ს. პ. ზაბოზლაევი.

მთავარ როლებში: ე. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, თ. ბოლქვაძე, ც. წუწუნავა, ი. ნაზარაშვილი, ვ. აბაშიძე, მ. ქიაურელი, ი. ტრაპაიძე.

სიმფონიური ორკესტრი და საზანდარი. სეანსი დღის საღამოს 5 საათ. და 30 წ. 1833 0—7.

საქართველოს პროფკავშირების გამომცემლობა

შრომა

გამოსცა და იყიდება

შემდეგი საკუთარი გამოცემანი

1. ნ. ლენინი—სიტყვები და წერილები პროფმოძრაობის საკითხების შესახებ.
2. ი. ჭელიძე—მუშათა კლუბი.
3. ს. გოგაბერიძე—შრომის ხელფასი
4. მ. ს—ძე—ჭადრაკის სახელმძღვანელო.
5. რა უნდა იცოდეს მუშკორმა—გადმოკეთებული რუსულიდან.
6. მ. ჩხეიძე—საბჭოთა კონსტიტუცია.
7. სოფლის პოლიტწრეების საუბართა კრებული.
8. პ. ჯიჯაძე—შრომის დაცვა და შრომის ნაყოფიერება.
9. ექიმი ზუნტურიძე—მუშაობა ადამიანის ორგანიზმისა როგორც ფაბრიკის (რუსულ ენაზე).

საერთაშორისო მუშათა მოძრაობიდან

10. არქ. ა—ნ—ინგლისის, საფრანგეთის გერმანიის მუშათა მოძრაობის ისტორია. (პირველი გამოცემა გაყიდულია. იბეჭდება შევსებული მეორე გამოცემა).
11. ა. ჩეკინი—მსოფლიო ინდუსტრიის მუშაკნი.
12. ა. ლოზოვსკი— პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო მოძრაობა.
13. ა. ჩეკინი—ნარკვევები თანამედროვე ტრედ-უნიონიზმის ისტორიიდან (გაყიდულია).
14. დ. ანტოშკინი—პროფესიონალური მოძრაობა რუსეთში.
15. გრინევიჩი—მუშათა პროფესიონალური მოძრაობა რუსეთში.
16. აიზნაშტი—ზუბატოვობა და გაპონობა.
17. პიასეცკი—პროფესიონალური მოძრაობა საბჭოთა საქართველოში.
18. ჩეკინი—პროფესიონალური მოძრაობის ანბანი. (ქართულ და სომხურ ენებზე).
19. ა. ლოზოვსკი—პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო მოძრაობა.
20. ს. გირინისი—ლენინი და პროფესიონალური მოძრაობა.
21. ს. გირინისი—რა არის საწარმოო პროფესიონალური კავშირი.
22. ჩეკინი—ორგანიზაციის პრინციპები.
23. ზინოვიევი—პროფკავშირები და ჩვენი ამოცანები
24. ექ. ზ. ბაქრაძე—მუშათა კლასის პროფესიონალური სნეულებანი.
25. ბიხოვსკი—რა არის დამზღვევი კასა (ქართულ და სომხურ ენებზე).

ფიზკულტურის დარგიდან

26. ფეხბურთის თამაშის წესები.
27. ხტომა.
28. რბენა.
29. ტყორცნა.
30. რა უნდა იცოდე რომ გახდე კარგი მსროლელი.

სამხატვრო ლიტერატურიდან

31. მ. ჯავახიშვილი—ჯაყოს ხიზნები (მეორე გამოცემა)
32. უ. სინკლერ—სამუელ მაძიებელი. (რომანი)
33. ა. ნევეროვ—ტაშკენტი ქალაქი პურის (რომანი).
34. ვოინიჩ—კრაზანა (რომანი).
35. მ. გორკი—მოთხრობები.
36. დ. სულიაშვილი—ცხოვრების ტალღებში.
37. დ. ჭონქაძე—სურამის ციხე (მეორე გამოცემა).
38. იურ. იურინი—საბჭოთა ეშმაკი (პიესა).
39. მ. ჯავახიშვილი—ტყის კაცი.
440. მ. ჯავახიშვილი—მართალი აბდულა.
41. მ. ჯავახიშვილი—ჩანჩურა და ხუთის ამბავი.
42. ვაჟა ფშაველა—საბავშვო მოთხრობები.
43. დ. კლდიაშვილი—სამანიშვილის დედინაცვალი.

პოპულიარული მეცნიერებიდან

44. რუბაკინი—როდის და როგორ გაჩნდა ადამიანი დედამიწაზე.
45. პანოვი—სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე.
46. ბ. გამყრელიძე—ხელოსნობა თბილისში.
47. ბ. ჯულელი—პროფესიათა ტერმინოლოგია და კლასიფიკაცია.

იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა

1. რაფიელ ერისთავი— ლექსები.
2. ი. დავითაშვილი—ლექსები
3. საბა სულხან ორბელიანი—იგავ არაკები (ვრცელი ბიოგრაფიით)
4. სინკლერი—მეფე ნახშირი (რომანი).

მზადდება დასაბეჭდათ

კარლ მარქსი და ფ. ენგელსი—პროფესიონალური კავშირები და სოციალიზმი. პირველად გამოვა როგორც ქართულ ისე რუსულ ენებზე. (სეით დევდარიანის თარგმანით—გერმანულიდან).

კარლ მარქსის პირადი ცხოვრებიდან—(პირველად რუსულ ენაზე სეით დევდარიანის თარგმანით გერმანულიდან).

ორ კვირით დასახელებულ წიგნებზე მიიღება ხელისმოწერა. დაწვრილებით გამოცხადებული იქნება ცალკე. ნ. 27

საქ. პროფკავშირების გამომცემლობა „შრომა"

და საქ. შრომის სახ. კომ. გამომცემლობა „შრომის საკითხები"

1 ოქტომბრიდან გაერთიანებულია ერთ გამომცემლობაში.

საქართველოს პროფკავშირების კოოპერატიული გამომცემლობა

„შრომა"-ს

სახელობით

მთავარი კანტორა—თბილისი რუსთ. გამზირი № 17 მუშათა სასახლე. ტელეფონი 6—18

მაღაზიები თბილისში წიგნის და საკანცელარიო ნივთების.

ცენტრალური—რუსთაველის გამზირი № 17. № 2—რუსთაველის გამზირი № 23.

განყოფილებები ქუთაისში, ბორჯომში, ჭიათურაში და სამტრედიაში.

სააგენტოები საქართველოს ყველა ქალაქებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ფასები

ყველგან შეღავათიანი—ამის გარდა პროფესიონალურ კავშირების წევრებს, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სახელმწიფო დაწესებულებებს განსაკუთრებული ფასდაკლებით

იყიდება

სახელმძღვანელოები, პროფმოძრაობის, შრომის, სოც. დაზღვევის, მუშათა ცხოვრების და მხატვრული ლიტერატურა. აგრეთვე ყველა ოფიციალური გამოცემანი პროფსაბჭოსი და შრომის სახალხო კომისარიატისა

ყველა სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები. ნ. 24

არაჩვეულებრივი ინტერესის გამო მეორე კვირაში გრძელდება ჩვენება სურათის

ხანუმა

რეჟისორი ა. რ. წუწუნავა. (ქეთო და კოტე)

სიმებიანი ორკესტრი და საზანდარი

ნ. 30

სახელმწიფო ოპერა 1926 წ. 16 ოქტომბერს,

სეზონის გახსნა

(აბონიმენტის გარეშე) **აბესალომ და ეთერი**

17 ოქტომბერს. ბოგოლეპოვასა, დამსახურებული მსახიობი ქალის სკიპიცკისა, ვიქტინგისა და შარაშიძის გამოსვლისათვის **აიდა**

18 ოქტომბერს. ტენორ კანცბურგის გამოსვლისათვის

ევგენი ონეგინი

ნ. 31

„ზაკავტოპრომტორგ"

ოთხშაბათს, 13 ოქტომბრს, დღის 4 საათიდან და ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს, მთელი დღის განმავლობაში, ყოველ საათში

ივლიან ახალი ავტობუსები.

თბილისი—მცხეთა და უკან

ავტობუსები გაემგზავრებიან თავისუფლების მოედნიდან.

სამგზავრო ფასი თბილისი—მცხეთა (სობორო)—2 მან.

სადგური მცხეთა—სობორო—50 კაპ. ნ. 28

თბილისის

წიგნის მთავარ მაღაზიაში

იყიდება

პოპულიარულად დამუშავებული შემდეგი წიგნები:

1. წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი, 1926 წლის გამოცემა . . . 50 კ.
2. არითმეტიკა—ჩვეულებრივ და ათწილად ნაწილთა თეორია . . . 50 კ.
3. ფუნქციონალური დამოკიდებულება და მისი ასახვის მათემატიკური საშუალებანი, 1926 წ. გამოცემა . . . 50 კ.
4. ტრიგონომეტრია, მეთოდიური ცდა, მასწავლებელთათვის, 1926 წლის გამოცემა . . . 1 მ.
5. აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის . . . 30 კ.
6. ძველი აღმოსავლეთის წარსული და ვეფხისტყაოსანი. . . . 40 კ.

წიგნების გამოწერა და შეძენა შეიძლება ავტორისაგანაც სოფლის მასწავლებელთათვის 50 % ფასდაკლებით: თბილისი, ველაბრის ფოსტის განყოფილება.

15—1 ქვ. 1—0 ი. ჯიშკარიანი

საქართველოს ტექნიკური საზოგადოების გამოცემანი:

პ. ლანდია. „ფინანსიური განგარიშების სახელმძღვანელო", ფ. 2 მან.

ინჟ. ვ. კაკაბაძე. „საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი და პერსპექტივები", ფ. 1 მან.

" " „ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები საქართველოში" ფ. 1 მან.

" " „ქიმიური ომი და მშვიდობიანი მრეწველობა" ფ. 50 კაპ.

" " „ხის მასალის ქიმიური გადამუშავება" ფ. 30 კაპ.

იყიდება წიგნის მაღაზიებში და მთავარ საწყობში (თბ., კამოს ქ. № 70). 119 2—1

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

0—1

თბილისის შინამრეწველ ხელოსანთა საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობის გამგეობა

ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ ორშაბათს, ამა წლის 11 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე შინამრეწველ ხელოსანთა კავშირის ბინაზე (პლეხანოვის ქ. № 66) დანიშნულია ამხანაგობის წევრთა

საზოგადო კრება

ყველა წევრთათვის კრებაზე დასწრება სავალდებულოა.

ნ. 29 გამგეობა.

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო

საწოლებით

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 54825 —1

ექიმი

ე. მ. მქინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1.

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

სვადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე სამიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—9

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი **ზ. ა. ტარუმოვი**

დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა** სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59, ნ. ღ

ექიმი

არსენ ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა ავადმყოფთ. და უწევს აგრეთვე სამეანო დახმარებას დღის 9—12 ს. საღამოს 4—6 საათამდე ლენინის ქ. № 35 3824 13—

სათვალეების მორგება

უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1,

---

„ზაჰეს"-ის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, 11 ოქტომბერს, 1926 წ. ზაჰესის ხაზი, დიდუბის ქვე დგურიდან ზემო-ავჭალამდე იქნება დაყენებული მაღალ ძაბვის ქვეშ და სადენების შეხება

სასიკვდილოა

ყველა საყრდნობებზე არის გაკრული სათანადო გამაფრთხილებელი წარწერები.

ნ. 17 3—3. სამუშაოთა უფროსი: ინჟინერი შიშინაძე

თორტიზის მომხმ. კოოპერატიის

სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს, რომ მან დაასრულა კოოპერატივის საქმეთა ლიკვიდაცია, საბოლოოდ გაუსწორდა ანგარიში ყველა კრედიტორებს და საქმეები ჩააბარა „ცეკავშირის" არქივს.

დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა სალიკვიდაციო კომისია ითვლება დაშლილად.

სალიკვიდაციო კომისია.

120

თბილისის ქალაქის ლომბარდის საკომისიო მაღაზიების სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს საკომისიო მაღაზიების №№ 1 და 2 კლიენტების საყურადღებოთ, რომ ყველა დარჩენილი და მოუთხოვნელი საკომისიო ქონება სალიკვიდაციო კომისიის მიერ გადაცემულია მაღაზია „უნივერსალ"-ზე მდებარე კომინტერნის (ყოფ. სასახლის) ქ. № 3. მოქალაქეები, რომელთაც აქვთ ხელზე მაღაზიების ქვითარები და არა აქვთ დღემდე თავიანთი ნივთები ოთხოვნილი ვალდებულნი არიან წაიღონ ასეთები 2 კვირის განმავლობაში, ე. ი. ა. წ. 22 ოქტომბრამდე და გაასწორონ თავის ქვითარები სრული საბოლოვო ანგარიში საკომისიო მაღაზიის „უნივერსალი"-ს საშუალებით. სალიკვიდაციო კომისია ა. წ. 22 ოქტომბრიდან სწყვეტს თავის მოქმედებას და შემდეგში არავითარი პრეტენზიები მიღებული არ იქნება. ქონებაზე რომელიც არ იქნება პატრონების მიერ მაღაზია „უნივერსალი"-დან 22 ოქტომბრამდე ა. წ. გამოთხოვილი, პასუხისმგებლობა შემდეგში ეკისრება საკომისიო მაღაზია „უნივერსალი"-ს მეპატრონეთ, რომლებსაც მიღებული აქვთ თანახმად ლომბარდთან ხელშეკრულებისა 30 სექტემბრიდან ა. წ. ყოველგვარი უფლება მევალეობანი, რომლებიც აღნიშნულის მაღაზიის ქვითარებში. როგორც რეალიზაცია ქონებისა აგრეთვე გადახდევინება ქონებაზე არსებულ ვალისა. ნ. 32

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. სამიორის) 19 იღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი

ლ. ა. ხარალიძე

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს ა ბეთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87 25—

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 12

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—2

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა თბილისში

და განაგრძობს შინაგან ავადმყოფების მიღებას საღამოს 5 საათიდან 8 ს-მდე კვირა დღის გარდა. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7). 3755 13—1

ექიმი **შუხმანი**

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს.-დე.

განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი

ნ. პ. ფალიაშვილი

დაბრუნდა და განაახლა მიღება-ყოველგვარ მედიკურ გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღე. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

ექიმი-ქალი

თოფურიძე-ფანიევა

იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.

მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექიმი

ნ. მელიქიშვილი

დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება და სამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2. საღამოზე 4—6 საათამდე. 3896 25—2

ექ. კ. ტყეშელაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1 25—1.

დაკარგა საბინაო დავთარი სიკო დუშურაშვილის სახელზე, ჩ. გ. 121

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 5001, ეკატერინე წულუკიძეს სახელზე, ჩ. გ. 118

დაკარგა საბინაო დავთარი გ სული წლისა ქეთევან ესტატეს ასული ტერაძის სახელზე, ჩ. გ. 115

დაკარგა პირადობის მოწმობა № 39482, ვასასი მელივას სახელზე, ჩ. გ. 113

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 2394, მიხეილ ლალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 115

დაკარგა მოწმობა № 1195, გაცემული ახ. ხრამულის თემ-აღმასკომის მიერ სამსონ ჯინჯღავას სახელზე, ჩ. გ. 117

დაკარგა გან. კავშირის წიგნაკი № 17555, ანეტა კირილეს ასული თოდუას სახელზე, ჩ. გ. 117

დაკარგა პირადი წიგნაკი ფორმა № 4. № 30, ვასილ გუგულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 123

დაკარგა ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან მიღებული პირადობის მოწმობა № 2701, ოლია ტურძილაძის სახელზე, ჩ. გ. 122

დაკარგა პირადობის მოწმობა № 213 და კავშირის წიგნაკი № 6087, ანნა ლობჟანიას სახელზე, ჩ. გ 11

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68